საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
23 ნოემბერი **ოთხშაბათი** 2011
№276 (13573) ფასი 80 თეთრი

# არმიამ ლეიდენი გამორთო



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

12

## საქართველო გიგანტების კალათაში

ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა 4 დეკემბერს გაიმართება. მანამდე ფიბა-ევროპამ გუნდები კალათებში დაანაწილა. საქართველოს ნაკრები ევრობასკეტი 2011-ზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით პირველ კალათაში ევროპული კალათბურთის გიგანტებთან მოხვდა.

I კალათა: სერბეთი, თურქეთი, გერმანია, ფინეთი, საქართველო, ხორვატია.

II კალათა: უკრაინა, ბულგარეთი, პოლონეთი, ბოსნია, ისრაელი, იტალია.

III კალათა: ჩერნოგორია, ლატვია, ბელგია, პორტუგალია, უნგრეთი, შვედეთი.

IV კალათა: ჩეხეთი, ესტონეთი, ჰოლანდია, შვეიცარია, ავსტრია, აზერბაიჯანი.

V კალათა: ბელარუსი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ალბანეთი, ლუქსემბურგი, კვიპროსი.

VI კალათა: ისლანდია.

4 დეკემბერს ნაკრებები ხუთ ჯგუფში განაწილდება. სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზურს პირველ-მეორე ადგილზე გასულები და საუკეთესო ოთხი მესამეადგილოსანი მიიღებს.

## რეალს პლეი ოფში ინტერი, ბენფიკა და ბაიერნი მიჰყვნენ



9

## AND THE OSCAR GOES TO...

### ოსკარიც გველირსა... ჯერ მხოლოდ რაგბიში



13

ეროვნული ბიბლიოთეკა

U17, U19




# უეფამ ბედის კალათები გაამზადა

## ჩვენ სადა ვართ? აქაც, იქაც მესამეში

29 ნოემბერი ნიონში, უეფას შტაბბინაში წილისყრების დღეა – ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოში ეს პროცედურა ერთბაშად ოთხჯერ ჩატარდება. 17 და 19-წლამდელებში გაირკვევა როგორც ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის ჯგუფების შემადგენლობა, ისე ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფები. ელიტრაუნდი გაისად, გაზაფხულზე გაიმართება, მომავალი შესარჩევი ციკლი კი შემოდგომაზე დაიწყება.

■ ■ ■

დავიწყოთ 17-წლამდელებით. როგორც ვვარაუდობდით, საქართველოს ნაკრები, რომელიც ამ ასაკის რეიტინგში ევროპაში მე-18-ეა, ელიტრაუნდის მესამე კალათაში განთესეს. **ვასილ მაისურაძის** გუნდი შეიძლება მოხვდეს როგორც ძალიან ძლიერ, ასევე შედარებით სუსტ ჯგუფში. პირველი კალათიდან ყველაზე უხერხული მეტოქე, ბუნებრივია, ესპანეთია, მეორიდან კი – ამ ასაკში ევროპის მოქმედი ჩემპიონი ჰოლანდია. ბოლო კალათიდან ყველაზე არასასურველი შვეიცარიელებთან დაპირისპირება უნდა იყოს.

ფინალურ ეტაპზე, რომელსაც 4-16 მაისს სლოვენია უმასპინძლებს, მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ.

მეორე კალათიდან საქართველოს ნაკრებს ვერ შეხვდება შვედეთი, რომელსაც მაისურაძის გუნდი პირველ ეტაპზე დაუპირისპირდა.

### U17

**პირველი კალათა:** საფრანგეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, დანია, სერბეთი, გერმანია;

**მეორე კალათა:** ინგლისი, შვედეთი, შოტლანდია, რუსეთი, პორტუგალია, ბელარუსი, ჰოლანდია (მოქმედი ჩემპიონი);

**მესამე კალათა:** პოლონეთი, იტალია, ბელგია, **საქართველო,** ისლანდია, თურქეთი, ირლანდია;

**მეოთხე კალათა:** შვეიცარია, ბულგარეთი, უკრაინა, ალბანეთი, ლუქსემბურგი, ლიტვა, უელსი.

■ ■ ■

ელიტრაუნდში ასევე მესამე კალათაშია განთესილი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები. **გიორგი დევდარიანის** გუნდი რეიტინგში მე-15-ა და მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით ჩამორჩა დანიას, რომელიც ბოლო მეორეკალათელია.

19-წლამდელთა პირველი კალათიდანაც ყველაზე ძლიერი, ალბათ, ევროპის ჩემპიონი ესპანეთი უნდა იყოს, მეორიდან გერმანია, შვეიცარია და ჰოლანდია არ უნდა ვისურვოთ, მეოთხიდან კი – იტალია.

ელიტრაუნდი აქაც 17-წლამდელთა მსგავსი სისტემით იმართება – ოთხგუნდიანი ჯგუფებიდან ფინალურ ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსნები გადიან.

ფინალური ეტაპი მომავალი წლის 3-15 ივლისს ესტონეთში ჩატარდება.

### U19

**პირველი კალათა:** ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი (მოქმედი ჩემპიონი), ბოსნია, პორტუგალია, საბერძნეთი, უნგრეთი;

**მეორე კალათა:** გერმანია, ხორვატია, ბელგია, უკრაინა, შვეიცარია, ჰოლანდია, დანია;

**მესამე კალათა: საქართველო,** რუმინეთი, სლოვენია, ირლანდია, სომხეთი, ჩეხეთი, თურქეთი;

**მეოთხე კალათა:** ავსტრია, ნორვეგია, კვიპროსი, ისრაელი, იტალია, სერბეთი, ჩერნოგორია.

■ ■ ■

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატს 2013 წელს სლოვაკეთი უმასპინძლებს, შესარჩევი ტურნირის სტრუქტურა კი აქაც და 19-წლამდელებშიც უცვლელია – ელიტრაუნდში ყოველი ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი გადის, რომელთაც ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი ემატება.

აქ სულ ორი კალათაა, თითოეულიდან ჯგუფებში ორ-ორი ნაკრები მოხვდება. 17-წლამდელებში საქართველო პირველ კალათაშია, რადგან ბოლო წლებში ამ ასაკში ჩვენი ნაკრებები ყოველთვის ახერხებენ ელიტრაუნდში გასვლას.

მომავალი წლის შემოდგომაზე 17-წლამდელთა ნაკრების სტატუსი ამჟამინდელ 16-წლამდელებს ექნებათ, რომელთაც **გელა შეყილაძე** წვრთნის.

### U17

**პირველი კალათა:** ინგლისი, ჰოლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჩეხეთი, თურქეთი, შვეიცარია, პორტუგალია, ხორვატია, საბერძნეთი, რუმინეთი, სერბეთი, დანია, იტალია, ავსტრია, ნორვეგია, ირლანდია, ბელგია, **საქართველო,** ფინეთი, უნგრეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, პოლონეთი, ბელარუსი, შოტლანდია;

**მეორე კალათა:** უკრაინა, რუსეთი, ლუქსემბურგი, უელსი, შვედეთი, ისრაელი, ისლანდია, აზერბაიჯანი, ესტონეთი, სლოვენია, ბოსნია, ჩერნოგორია, ბულგარეთი, ლატვია, ყაზახეთი, ლიტვა, კვიპროსი, მალტა, ფარერები, სომხეთი, ანდორა, ალბანეთი, მოლდოვა, მაკედონია, სან მარინო, ლიხტენშტაინი.

■ ■ ■

ჩვენმა 19-წლამდელებმა წლეულს ელიტრაუნდში დამაჯერებლად კი გააღწიეს, მაგრამ ეს შედეგი მხოლოდ საელიტრაუნდო განთესვაში წაადგათ. საქართველოს ნაკრების ზოგადი რეიტინგი კი მხოლოდ მცირედით გაუმჯობესდა, რადგან ბოლო წლებში ამ ასაკში ქართველები ბრძოლას პირველივე ეტაპიდან ეთიშებოდნენ. შესაბამისად, ევროპის მომავალი ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები მეორე კალათაშია და იმედია, პირველი კალათიდან ორივე თუ არა, ერთი მეტოქე მაინც ეყოლება არაწამყვანი საფეხბურთო ქვეყნიდან.

ლოგიკურად, ამ ნაკრებს **კობა ჟორჟიკაშვილმა** უნდა უხელმძღვანელოს.

### U19

**პირველი კალათა:** ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, პორტუგალია, ჰოლანდია, ირლანდია, გერმანია, უკრაინა, საბერძნეთი, ჩეხეთი, ნორვეგია, რუსეთი, იტალია, ხორვატია, შვეიცარია, შოტლანდია, სლოვაკეთი, ავსტრია, უნგრეთი, დანია, პოლონეთი, უელსი, აზერბაიჯანი, ფინეთი;

**მეორე კალათა:** ჩრდილოეთ ირლანდია, სლოვენია, ბელარუსი, რუმინეთი, ლატვია, ბოსნია, ესტონეთი, ისრაელი, ისლანდია, ჩერნოგორია, მოლდოვა, მაკედონია, **საქართველო,** შვედეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, ყაზახეთი, კვიპროსი, სომხეთი, ფარერები, მალტა, ლუქსემბურგი, სან მარინო, ანდორა.

■ ■ ■

სავსებით რეალურია, საქართველომ რომელიმე ასაკში ან ელიტრაუნდის, ანაც შემდგომი შესარჩევი ეტაპის მასპინძლობის უფლება მიიღოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

ინტერვიუ დავით სირაძესთან

# გულის ამბავი

## მე ვატკინე თუ მე მატკინეს... ქეცბაიასთვის არ მითქვამს, დავიღალე, გამომცვალე-მეთქი

**გასრულებულ ევროშესარჩევ ციკლში ეროვნული ნაკრების თანაბომბარდირი, 30 წლის დავით სირაძე ნაკრების ბოლო შეხვედრებში აღარ ჩანდა და ამით უკმაყოფილება არც დაუმალავს. ისიც ცნობილი გახდა, რომ პოლონეთთან ამხანაგურ შეხვედრაზე ჩამოუსვლელობის გამო თემურ ქეცბაია მასზე ნაწყენი იყო.**

**დავით სირაძემ გადაწყვიტა, ამ ყველაფერზე კომენტარი გაეკეთებინა და "ლელოს" დაუკავშირდა.**

- ბოლო დროს იმდენი რამ ითქვა ნაკრებში ჩემი უთამაშებლობის მიზეზებზე, გადავწყვიტე, ამ ყველაფერზე კომენტარი გავაკეთო.

ეროვნულ ნაკრებში გამოძახების და თამაშის სურვილი ყოველთვის მქონდა და მექნება. მათამაშებდა თუ არა, ცხადია, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია და ამაზე არც ვდავობ, მაგრამ, არ დავმალავ, ევროშესარჩევის ბოლო, ბერძნებთან მატჩზე ჩემს გამოუძახებლობას ნამდვილად არ ველოდი. მიმაჩნია, რომ იმის ღირსი მაინც ვიყავი, დამკავშირებოდნენ და მიზეზი აეხსნათ, თანაც, იმ დროს თბილისში ვიმყოფებოდი.

პრესასა და ტელევიზიაში ჩემი ხსენება საერთოდ არ იყო და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ეროვნული ნაკრების წევრი არასოდეს ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, ამან ძალიან დამწყვიტა გული, რის თაობაზე განვაცხადე კიდეც და ამაზე ლაპარაკი აღარ მსურდა, სანამ არ მოხდა ის, რამაც ძალიან გამაოცა: ევროციკლის დამთავრების შემდეგ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემა "საფეხბურთო მიმოხილვაში" სპორტულ ჟურნალისტებთან შეხვედრისას თემურ ქეცბაიამ განაცხადა, ყველაზე მეტად გული სირაძის სიტყვებმა მატკინაო და გაიხსენა პოლონეთთან ამხანაგურ მატჩზე ჩემი ჩამოუსვლელობა, თითქოს ნაკრებში თამაშს თავი განზრახ ავარიდე.

ეს არასწორია. ნამდვილი მიზეზი ისაა, რომ ვიზა არ მქონდა და მის აღებას ველარ ვასწრებდი. როდესაც ეს ფედერაციას ავუხსენი, ქეცბაიასგან თანხმობა მივიღე და კლუბში დავრჩი, რადგან ნალჩიკის "სპარტაკს" სამი დღის მერე პეტერბურგში „ზენიტთან" უნდა ეთამაშა.

**- პოლონეთის ვიზა პრობლემა რატომ გახდა?**

- პასპორტი ნალჩიკიდან უნდა გამომეგზავნა და სამ დღეში ამას ვერ ვასწრებდი. ქეცბაიას ეს ავუხსენი და შემომითვალა, მაშინ დარჩიო. სწორედ ამიტომ გამიკვირდა მისი ნათქვამი, გამოვიძახე, მაგრამ არ ჩამოვიდაო.

ისიც ვერ გავიგე, ჩამოსულიყო, ითამაშებდაო, რუსეთში დარჩა და "ზენიტთან" 15 წუთი გავიდა მოედანზეო. მიმაჩნია, რომ ნაკრების მწვრთნელმა უნდა იცოდეს, მისი გუნდის კანდიდატებიდან ვინ თამაშობს და ვინ არა — "ზენიტთან" არა 15 წუთი, როგორც ქეცბაია აცხადებს, არამედ ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე და 75-ე წუთზე შემცვალეს. ასე რომ, სათამაშო პრაქტიკაც მქონდა და ფორმაშიც ვიყავი.

ქეცბაიას მეორე განცხადებასაც მინდა, გამოვეხმაურო. ხორვატებთან სტუმრად თამაში ძირითადში დავიწყე. მან თქვა, რომ მეორე ნახევარში შეცვლა მოვითხოვე, თითქოს მეთქვას, დავიღალე და სირბილი აღარ შემიძლია-მეთქი. საერთოდ, თუ შეუძლოდ არის, ფეხბურთელს აქვს უფლება, შეცვლა მოითხოვოს. მაგრამ ჩემს შემთხვევაში ასე არ ყოფილა და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - ასეთი რამ ქეცბაიასთვის არ მითხოვია და გულშემატკივარმა თავად განსაჯოს, ყოველივე ამის შემდეგ მქონდა თუ არა საფუძველი, ნაწყენი დავრჩენილიყავი.

**- ამ განცხადების შემდეგ ნაკრებში რომ აღარ მიგიწვიონ?**

- ეს უკვე ვიცი და დარწმუნებულიც ვარ, ქეცბაია ნაკრებში ისედაც აღარ გამომიძახებს, მაგრამ მინდა, რომ ხალხმა სიმართლე გაიგოს.

**- იქნებ, სამომავლოდ ქეცბაია ნაკრებში ველარ გხედავდა და ამიტომ გადაწყვიტა სხვებზე დაყრდნობა? ასეთი რამაც ხომ არის შესაძლებელი?**

- თუ ასეა, ხომ შეგიძლია, ფეხბურთელს დაელაპარაკო და აუხსნა, რა ჩანაფიქრიც გაქვს? ამბობს, შე კაი ადამიანო, ჩვენ თუ გიგებთ, შენც გაგვიგე, სხვა ფეხბურთელების ნახვა გვსურსო. მითხარით, ერთი, შესარჩევი ციკლის მატჩზე გასასინჯ მოთამაშეებს ვინ აკვირდება? მაშინ რისთვის არის ამხანაგური შეხვედრები, ახალ ფეხბურთელებს იქ ვერ ნახავდა?


დავით სირაძე

მახსოვს, ნაკრებში ფეხბურთელებს შემადგენლობაში არ აყენებდნენ და მიდიოდნენ. მე რომ ვთქვი, გამოუძახებლობა მეწყინა-მეთქი, ერთი ამბავი ატეხეს. აბა, რა უნდა მეთქვა, გამიხარდა, მოვალშიც ასე გააკეთეთ-მეთქი? როცა არავინ გიკავშირდება და მიზეზსაც არ გიხსნიან, კითხვა ხომ გაგიჩნდება. მწვრთნელს არც ვაკრიტიკებ, უბრალოდ, კითხვა გამიჩნდა და ეს რატომ არის მიუღებელი? ფეხებზე რომ დაგიკიდებენ და დაწერენ, ტრავმის გამო ნაკრებს ესა და ეს დააკლდებაო და შენ არც გახსენებენ, ეს როგორ არ მეწყინება. როდესაც ნაკრებში დანიშნეს, თავად არ ამბობდა, ფეხბურთელს მხოლოდ ნაკრებში გამოძახება არ უნდა აკმაყოფილებდეს, თამაში უნდა სურდესო? ჰოდა, მსურდა, ვთქვი და ეს მაინც ეწყინა.

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ მასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

პარტიტა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

მისამართი: ოთახებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში გამოყენება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია



# პაიჭაძე პაიჭაძედ რჩება

## დინამო არენა ისე, შინაურულად

თბილისის "დინამომ" ეროვნული სტადიონი იჯარით აიღო, სარემონტო სამუშაოები ჩაატარა, გამოცვალა მოედნის საფარი და განათების სისტემა. ახლა საქართველოს მთავარი სტადიონი უეფას მოთხოვნებს მაქსიმალურად მიუახლოვდა.

თუმცა დღეს სხვა რამ გვაინტერესებს - განახლების შემდეგ კლუბის წარმომადგენლები მას მუდმივად "დინამო არენას" უწოდებენ. ბოლო დროს ეს იმდენად ხშირად ხდება, რომ კითხვა გაჩნდა, ხომ არ აპირებენ სტადიონისთვის სახელის გადარქმევას?

გავრცელდა კიდეც ინფორმაცია, "ბორის პაიჭაძეს" სახელი შეუცვალეს და ამიერიდან თბილისის „დინამოს" საშინაო სტადიონს „დინამო არენა" ეწოდებაო. ცნობამ გულშემატკივრებში აღშფოთება გამოიწვია:

*- იქნებ ამსტერდამისთვის მიგებაძათ და „თბილისი-არენა" დაგერქმიათ?*

*- მაპატიონ "დინამოს" მესვეურებმა და საზიზღარი გადაწყვეტილებაა. მესმის, რომ არაფრისმთქმელი სახელი გადაერქმიათ, მაგრამ ბორის პაიჭაძის სახელი როგორ შეცვალეს... ისიც ხომ დინამოელი იყო!*

*- იტალიაში 18 სტადიონიდან 9 გამოჩენილი ადამიანის სახელს ატარებს. პაიჭაძემ რა დააშავა?*

*- ბორის პაიჭაძის სახელს ასე ადვილად და უცერემონიოდ როგორ აშორებთ "დინამოს" სტადიონს?! ფიფია, ეს არ არის მოსაწონი ნაბიჯი. იყოს ბორის პაიჭაძის სახელობის "დინამო არენა"! პატივი ეცით დიდ ფეხბურთელებს და ახლებს კიდევ მოტივაციას ნუ დაუკარგავთ, რომ შეიძლება მომავალში მათი სახელიც დაერქვას რომელიმე სტადიონს!*

*- სტანდარტებს რომ აკმაყოფილებს, კარგია და ძალიან მიხარია, მაგრამ "დინამო არენა" მთლად ქართული არ მგონია. არ შეიძლება, ბორის პაიჭაძის სახელობის რომ დარჩეს, თუ ეს გადმონაშთია?*

"ლელო" საკითხით დაინტერესდა და გავარკვიეთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია არაზუსტია.

"სტადიონის "დინამო არენად" ხსენება მხოლოდ ჩვენი რებრენდინგის ნაწილია და ამიტომ ვიყენებთ, თორემ ოფიციალურად სახელი არ გადაგვირქმევია. ეს დაახლოებით ისევეა, როგორც მილანის სტადიონის შემთხვევაში – მას იშვიათად იხსენიებენ ჯუზეპე მეაცას სახელობის სტადიონად, უფრო ხშირად "სან სიროს" ამბობენ. ასე იქნება ამ შემთხვევაშიც" - ამბობს სტადიონის დირექტორი **სანდრო შახოვი**.

შეგახსენებთ, რომ „დინამოს" საშინაო არენას ბორის პაიჭაძის სახელი 1995 წელს ეწოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ყაზაიშვილი მომავალს იახლოვებს

## WOW, ვაკო! ჰეთ თრიქი ეინდჰოვენს

**ვაკო ყაზაიშვილს** "ვიტესის" მთავარ გუნდში ოფიციალური მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია, მაგრამ მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ ეს დღე მალე დადგება. 18 წლის ნიჭიერმა ქართველმა ნახევარმცველმა, რომელიც არნემული კლუბის დუბლ-შემადგენლობაში თამაშობს, კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და პსვ-სა და "ვიტესის" შეხვედრაში ჰეთ თრიქი შეასრულა. "ვიტესის" რეზერვისტებმა სტუმრად 4:2 გაიმარჯვეს. ყაზაიშვილმა სამივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




პრობლემა






"ზესტაფონელთა კარში გატანილი გადამწყვეტი გოლის შემდეგ მოედანზე შეიჭრა მასპინძელთა ახალგაზრდა ქომაგი, რომელმაც მიირბინა სტუმართა გოლკიპერთან, მას ჩამოსართმევად ხელი მიაწოდა, ზეიმი უცენზურო ლექსიკის მდიდარი მარაგის დემონსტრირებით გააგრძელა და მოედნიდან გასვლა, ისე, რომ მისთვის ეს არც არავის მოუთხოვია, საჭიროდ მხოლოდ ამის შემდეგ ჩათვალა", -ამას "ზესტაფონის" ვებგვერდზე ვკითხულობთ. ეს შემთხვევა ფოთში, "კოლხეთისა" და "ზესტაფონის" დუბლ-შემადგენლობათა მატჩისას მოხდა.

ქართული ფეხბურთის სახე მხოლოდ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები, უმაღლესი ლიგა, კეთილმოწყობილი და კეთილმოუწყობელი სტადიონები ან ფეხბურთის ფედერაციის შენობა არ არის – ვალდებული ვართ, უფრო "ქვემოთაც" ჩავიხედოთ, სადაც ლამაზი სურათი ნამდვილად არ დაგვხვდება. შეიძლება, ზემოთ აღწერილი შემთხვევა მხოლოდ "ორიგინალურობით" გამოირჩეოდეს, თორემ უწესრიგობები ეროვნული ჩემპიონატის ქვედა, დუბლების, ჭაბუკთა და ბავშვთა ლიგებში წესი უფროა, ვიდრე გამონაკლისი.

გასაგებია, რომ ქართულ ფეხბურთში დიდი ფული არ ტრიალებს, უამისოდ კი ვერც სტადიონს მოუვლი და ვერც მატჩის ჩატარებისთვის აუცილებელ ელემენტარულ პირობებს შექმნი, მაგრამ ფული არ ღირს კულტურა და შეგნება, რისი დეფიციტიც ფეხბურთთან კავშირში მყოფ ხალხში აშკარად იგრძნობა.

ისიც ძალიან კარგად ვიცით, რომ ზემოხსენებულ გათამაშებებს არ აქვთ იმხელა ბიუჯეტი, რომ მატჩებისთვის უსაფრთხოების სამსახური დაიქირაონ, მაგრამ, როგორ განვითარდება ფეხბურთი იმ ქვეყანაში, სადაც ბევრს უყვარს მოედანზე მატჩის მსვლელობისას შესვლა, თანაც, არა მხოლოდ "სასეირნოდ"?

ფოთში მომხდარი ინციდენტი გამონაკლისი რომ არ გეგონოთ, საკუთარი თვალით ნანახზე გიამბობთ – მიმდინარე სეზონში საქართველოს ჩემპიონატის მეორე (იგივე რეგიონული) ლიგის რამდენიმე მატჩს დავესწარი და გამუდმებით მეორდება ასეთი სურათი:

- ორივე გუნდის მწვრთნელები მატჩის მსვლელობისას მოედანზე ორი-სამი მეტრის სიღრმეზე შედიან, რაზეც მსაჯთა რეაქცია ნულის ტოლია;

- შეხვედრისას არ ფორმდება შეცვლები, რადგან რეგიონულ ლიგაში სათადარიგო მსაჯი საერთოდ არ არის და არბიტრი მხოლოდ ნამატჩევს, კლუბების წარმომადგენლების მონათხრობის საფუძველზე იწერს შეცვლებს;

- მწვრთნელები მატჩის შემდეგ არბიტრს სთხოვენ, ოქმში ყვითელი ბარათი არ გაუფორმოს მის იმ ფეხბურთელებს, რომლებიც გაფრთხილებების გამო მომდევნო ტურს გამოტოვებენ. ზოგჯერ მწვრთნელი გაძევებულ ფეხბურთელსაც კი აიმედებს, რომ მსაჯთან ყველაფერს "მოაგვარებს" და დისკვალიფიკაციას გადაურჩება;

- ინიშნება ჯარიმა, მწვრთნელი შერბის მოედანზე და საკუთარ ფეხბურთელებს იქ უხსნის, როგორ უნდა შეასრულონ სტანდარტი. მსაჯი აქაც დუმს;

- სტადიონს (უფრო ზუსტად, მოედანს) გასახდელებისა და სათადარიგოთა სკამების პრობლემა აქვს. ფეხბურთელები მოედანზევე, ჩამომსხდრები ან წამოწოლილები ისვენებენ და, გაოფლილები რომ არ გაცივდნენ ან (ზამთრისპირზე ან ნაზამთრალზე) გაიყინონ, ტაიმებს შორის შესვენება არა 13-14, არამედ 7-8 წუთია.

- შესვენებაზე მწვრთნელის გარდა (ან მაგივრად), რჩევა-დავალებებს იძლევიან მშობლები, მეგობრები და ზოგჯერ შემთხვევითი გამვლელებიც;

- არ გაგიკვირდეთ და, გუნდების აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰყავს არათუ ექიმი, არამედ არ გააჩნია მცირე სააფთიაქო ყუთიც კი. რაღა თქმა უნდა, შეხვედრებს არც სასწრაფო დახმარების ბრიგადა ემსახურება და ღმერთმა დაიფაროს, ფეხბურთელმა სერიოზული ტრავმა მიიღოს — ვინმემ იქვე უნდა აკრიფოს 113.

- ბევრ ფეხბურთელს არ აქვს ისეთი აუცილებელი და არცთუ ძვირად ღირებული ნივთი, როგორიცაა წვივსაფარი, ბევრ სათადარიგო ფეხბურთელს აცვია ჩვეულებრივი "ბოტასი" და თუ მოედანზე შევიდა, იცვამს გამოცვლილი თანაგუნდელის ბუცებს. თუ ზომა არ მოერგო, ცდილობს, ბუცები სხვა სათადარიგოებს შორის მოიძიოს.

- რეგიონულ ლიგაში, სადაც ასაკობრივი ცენზი არ არის, უხელფასოდ თამაში ჩვეულებრივი ამბავია, ზოგ კლუბში კი, რომელსაც სპონსორი ჰყავს (ფურცელზე მაინც), ფეხბურთელებისთვის გადასახადია დაწესებული.

ალარაფერს ვამბობთ მსაჯთა ყველა ბრუნვაში მოხსენიებაზე, რაც უმაღლეს ლიგაშიც "სტანდარტია". არბიტრმა მისი ყველა შემგინებელი რომ გააძევოს, მატჩი ჩაიშლება, რადგან, მოგეხსენებათ, არ შეიძლება, გუნდის შემადგენლობაში შვიდზე ნაკლები ფეხბურთელი დარჩეს.

საბედნიეროდ, გამონაკლისიც არსებობს და იმასაც აღვნიშნავთ, რომ ზოგ სტადიონზე ელემენტარული სათამაშო პირობები ნამდვილად არსებობს, და ისეთი გუნდებიც გვინახავს, კეთილსინდისიერი მწვრთნელები რომ ჰყავთ, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში კორექტულად იქცევიან და ამასვე მოუწოდებენ შეგირდებს - ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, რომლებიც ფეხბურთელებს ზედმეტ ფსიქოლოგიურ წნეხში აქცევენ და მსაჯების შეურაცხყოფისკენ აქეზებენ. მსაჯები ხშირად მართლაც სცოდავენ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ბევრი მწვრთნელი მარცხის გამო ფეხბურთელებსა და მათ ახლობლებთან (რეგიონულ ლიგაში ქომაგი სანთლითაა საძებარი) თავის გამართლებას სწორედ მსაჯზე აპელირებით ცდილობს.

მოედანზე სამი მსაჯია, ფეხბურთელი კი გაცილებით მეტი და თუ ვინმეს "შავოსნებზე" ანგარიშსწორების სურვილი გაუჩნდა, მსაჯთა საქმე მართლაც შავად წავა, რადგან მათი დამცველი იქ არავინაა.

ვერ ვიტყვით, რომ ზემოთ აღწერილი მძიმე სურათი მხოლოდ ტურნირის ორგანიზატორის ბრალია. ელემენტარულ მოთხოვნებს არც კლუბები ასრულებენ. მასპინძელი მხარის ვალდებულებებს ბევრი არღვევს. სხვა რომ არაფერი, ხშირად არ სრულდება ისეთი ელემენტარული მოთხოვნა, როგორიცაა ბურთების საჭირო რაოდენობა – არცთუ იშვიათად, როცა ბურთი მოედნის ფარგლებს დატოვებს, სანამ რომელიმე სათადარიგო არ მოიტანს ან გამვლელი არ შეიწუხებს თავს, თამაში შეფერხებულია.

მასპინძელი გუნდი ვალდებულია, სტუმარს გასახდელი (საშხაპე დაბალ ლიგებში თითქმის ყველასთვის ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება) და რამდენიმე ბურთი დაახვედროს მატჩამდელი მოთელვის ჩასატარებლად. ეს მოთხოვნაც მხოლოდ შიგადაშიგ სრულდება.

სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ რეგიონული თუ ბავშვთა ლიგების ორგანიზატორები ერთ ტაფაში მოქცევას არ იმსახურებენ. ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია და უნდა ვთქვათ, რომ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩატარებული ტურნირები შედარებით ორგანიზებულია – სხვა თუ არაფერი, აქ გუნდებს ის მაინც მოეთხოვებათ, რომ ფეხბურთელებს ერთნაირი სათამაშო ფორმები ეცვათ და ნომერი ყველას ეწეროს. სხვათა მიერ გამართულ პირველობებზე კი ზოგი გუნდის მოთამაშეები სხვადასხვა ფერის მაისურებით გამოდიან მოედანზე, ზოგს ნომრები არ აწერია, ზოგი კი მხოლოდ გადასაცმელებს სჯერდება.

მოკლედ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ფეხბურთი საყოველთაო ყურადღებას მოკლებული არაერთი შრისგან შედგება და თუ იქ არსებულ პრობლემებს არ შევეხეთ და მათი მოგვარების გზები ვერ ვიპოვეთ, ვერასდროს გველირსება ვერც კარგი ნაკრებები და ვერც – ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## ლეგიონერები



# გოლები იყოს და, იყოს ყვითელი
## დვალიშვილმა ნავსი გატეხა

ისრაელის ჩემპიონატის გასული ტური **ლადო დვალიშვილისთვის** წარმატებული გამოდგა. საქართველოს ნაკრების 25 წლის თავდამსხმელი ჰაიფას "მაქაბის" ძირითად შემადგენლობასაც დაუბრუნდა და გოლის გემოც გაიხსენა.

"მაქაბიმ" იერუსალიმში "ბეითარი" 4:1 გაანადგურა, დვალიშვილმა კი დუბლი შეასრულა – მან თავი 62-ე და 66-ე წუთებზე გამოიჩინა და ანგარიში ჯერ 2:1, შემდეგ კი 3:1 გახადა. დვალიშვილი 72-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი გაფრთხილების მიღებაც მოასწრო – გოლით გამოწვეული სიხარული მაისურის გახდით გამოხატა.

შეგახსენებთ, ბოლო დროს ლადო "მაქაბის" სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა, ეს გოლები კი მისთვის მიმდინარე სეზონში პირველია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მათეს ამბავი: წასვლა შეგიძლია, მაგრამ დარჩიო

ახლახან რუსული მედია იუწყებოდა, სხვა ქართველებთან ერთად ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგადან" **მათე ვაწაძის** წასვლაც თითქმის გადაწყვეტილიაო.

უკვე დაიწერა, რომ კლუბს შეიცვლიან **ლაშა სალუქვაძე** და **გოჩა ხოჯავა**, თუმცა მათით დაინტერესებული კლუბები ჯერ არ დასახელებულა. ის ამბავი კი, რომ **გოგიტა გოგუა** თბილისის „დინამოში" ითამაშებს, უშუალოდ თბილისელთა გენერალური დირექტორისგან **ზურაბ პოლოლიკაშვილისგან** შევიტყვეთ.

და სად ითამაშებს მომავალი წლიდან მეოთხე ქართველი მათე ვაწაძე, რომელიც, რუსული მედიის მტკიცებით, „ვოლგას" ამ ზამთარს დატოვებს? როგორც ჩანს, მათი ინფორმაცია ვარაუდი უფროა - 22 წლის ქართველმა თავდამსხმელმა პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 19 მატჩში (8 ძირითადში, 11 შეცვლაზე) ერთადერთი გოლი გაიტანა და სწორედ ამაზე დაყრდნობით ივარაუდეს, რომ გუნდი ქართველ ფორვარდს შეელეოდა.

სინამდვილეში, ამ ინფორმაციამ "ვოლგაში" უსიამოვნება გამოიწვია და კინაღამ კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელი შეიწირა.

მანამდე კი ის იყო, რომ „ვოლგას" სპორტულ დირექტორ **მამუკა ჯუღელს** ფინანსურ კრიზისში მყოფ კლუბში მათეს დატოვება არ სურდა, ნიჟნინოვგოროდელთა მეპატრონეებს მის მომავალზე დაელაპარაკა და ფეხბურთელთან კონტრაქტის განყვეტა შესთავაზა.

როგორც დავადგინეთ, ვაწაძის მიწვევა საბერძნეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის კლუბებს სურდათ, მაგრამ "ვოლგამ" არათუ არ გაუშვა, ფსიქოლოგიც კი დაუქირავა, რათა გაიხსნას. მთავარმა მწვრთნელმა **დმიტრი ჩერიშევმა** თავისი ესპანური გამოცდილება გაუზიარა, ხიხონის "სპორტინგში" ადაპტირებისთვის ორი წელი დამჭირდა და მხოლოდ ამის შემდეგ გავიხსენიო.

ნიჟნი ნოვგოროდის სახელისუფლებო სტრუქტურებში ფეხბურთის კურატორ ვიცე-გუბერნატორ **დმიტრი სვატკოვსკის** მათესთვის უთქვამს, შენი და **ზურაბ არზიანის** დატოვება გვსურსო. ერთი უცნაური ამბავიც: ვაწაძეს "ვოლგას" ძველმა პრეზიდენტმა **ალექსეი გოიხმანმაც** არ ურჩია წასვლა. ისე ჩანს, რომ სვატკოვსკისთან დაპირისპირებულ გოიხმანს კლუბში დაბრუნების იმედი აქვს.

არადა, მათეს კონტრაქტის განყვეტის იურიდიული საფუძველი გააჩნია – კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი კი აკავშირებს, მაგრამ ისევე, როგორც გუნდის სხვა წევრებს, მეხუთე თვეა, ხელფასი არ მიუღია. ფიფას წესებით კი, თუ ფეხბურთელი ხელფასს დროულად ვერ იღებს, შეუძლია, ფიფაში სარჩელი შეიტანოს და კონტრაქტი განყვიტოს.

ასე რომ, მათე, ალბათ, ისევ "ვოლგაში" დარჩება. შეგახსენებთ, ვაწაძე „ვოლგაში" თბილისის „დინამოდან" ერთი წლის წინ გადავიდა, შემდეგ თბილისელები მას ისევ იწვევდნენ, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ნიჟნინოვგოროდელებმა ფეხბურთელი "დინამოში" გაუშვან, საამისოდ დიდ თანხასაც მოითხოვენ.

სამწუხაროდ, გუნდში არსებული ფინანსური კრიზისის გამო დღემდე ოპერაციას ვერ უკეთებენ ფეხმტკივან გოჩა ხოჯავას, რომელიც კლუბს მალე დატოვებს.

**მერაბ მამულაშვილი**



მათე ვაწაძე (მარცხნივ)

## საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა, XIV ტური

### ა ზონა

**მერცხალი-ჭიათურა 1:0**

19. 11. ოზურგეთი. „მეგობრობა". 1500 მაყურებელი

1:0 ლ. კალანდაძე (45)

მერცხალი: გ. გოგუა, მ. ქობულაძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ზ. ტულუში, ლ. კალანდაძე (83. ლ. კოტრიკაძე), ზ. ვარდუაშვილი, ს. ვ. ჩიგოგიძე, თ. ვარდუაშვილი, ი. ბაჯელიძე (62. ნ. მაჭავარიანი), გ. ტყეშელაშვილი, ი. ტაკიძე

*სათადარიგოები:* თ. ჩხატარაშვილი, ლ. ათუაშვილი, ზ. ხურციძე, ი. მურუსიძე

*მწვრთნელი:* ხ. ჩხატარაშვილი

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ლ. ქურდაძე, ნ. გაფრინდაშვილი, გ. ბრეგვაძე (53. გ. ვაშაძე), ლ. ცუცქირიძე, გ. ქირია, ზ. ნოზაძე, ნ. სტეფანიშვილი, ლ. ბარათაშვილი (60. შ. ფირცხალავა), დ. სევასტოპულო, ზ. ხაჭიპერაძე

*სათადარიგოები:* ზ. ჯაფარიძე, ა. ბაბლიძე, ო. კურტანიძე, გ. სამყურაშვილი

*მწვრთნელი:* მ. კიპაროიძე

გაფრთხილება: ი. ბაჯელიძე, თ. ვარდუაშვილი; გ. ქირია, ლ. ბარათაშვილი, შ. ფირცხალავა

გაძევება: თ. ვარდუაშვილი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**დინამო (ბთ)-სამტრედია 3:0**

19. 11. ბათუმი. „ადელი". 100 მაყურებელი

1:0 ზ. ლობჟანიძე (14), 2:0 მ. ჯორბენაძე (45), 3:0 ვ. ქორიძე (72)

დინამო: შ. მამინაშვილი, ვ. ქორიძე, ნ. ხუხია, ლ. რამიშვილი, დ სამსეიშვილი, ა. მუჯირი, გ. გოგიტიძე, თ. ბერიძე (33. ნ. დიასამიძე), მ. ჯორბენაძე (75. ა. ბაციკაძე), ზ. ლობჟანიძე, გ. ნასუაშვილი (71. ვ. თევდორაძე)

*სათადარიგოები:* რ. ტაკიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია, ი. ცანავა

*მწვრთნელი:* ი. ნასუაშვილი

სამტრედია: ი. შენგელია, დ. ჩხიკვაძე, ლ. ხაჭაპურიძე, ზ. მიქელთაძე, ა. გუბელაძე, ლ. სუთიძე (46. ს. მიქაძე), შ. კერძევაძე, გ. რუხაძე, რ. ნინუა (71. ბ. ახობაძე), ი. ხვადაგიანი (63. ა. თელია), პ. შათირიშვილი

სათადარიგო: ნ. ბანძავა

მწვრთნელი: გ. ბენდელიანი

გაფრთხილება: ნ. ნასუაშვილი; ი. შენგელია, ა. გუბელაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ჩხერიმელა - კოლხეთი (ხ) 2:1**

19. 11. ხარაგაული. „სოსო აბაშიძე". 200 მაყურებელი

1:0 დ. კოსტავა (22), 2:0 ბ. ახალაია (45), 2:1 ვ. ფირცხალავა (70)

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ი. გვეტაძე, გ. თურმანიძე, ი. ჭანკვეტაძე (42. ბ. ახალაია), ა. დოლონაძე (17. დ. ბერუაშვილი), გ. ჭაავა, გ. გოგიჩაიშვილი, გ. ზაქარაშვილი, დ. კოსტავა, ო. გიორგობიანი, გ. ბოხუა (90. ჯ. არევაძე)

*სათადარიგოები:* ი. გვარჯალაძე, ა. ქაშაკაშვილი, ი. ორბელაძე

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, გ. ლომაია, ლ. გოგენია, ც. ბუკია (84. რ. ადონია), კ. ალანია (46. რ. ცობეხია), პ. გაბრავა (46. ვ. ფირცხელავა), ლ. ჩაჩიბაია, ლ. მეფიშვილი, მ. ჭკადუა, ი. გერგაია.

*სათადარიგოები:* გ. ხუნჭუა, გ. პაჭკორია

მწვრთნელი: კ. ხურცილავა

გაფრთხილება: მ. ჭკადუა

გაძევება: მ. ჭკადუა

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**სტუ - ლოკომოტივი 4:3**

20. 11. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 200 მაყურებელი

0:1 გ. შარანგია (5), 0:2 დ. ჯიქია (10), 1:2 ლ. ჯიქიძე (45), 1:3 გ. გოროზია (49), 2:3 დ. საჯაია (63, საკუთარ კარში), 3:3 ა. ბაგაშვილი (69), 4:3 ლ. ჯიქიძე (74)

სტუ: ა. აბულაძე, გ. კვახაძე, ა. ლალაძე, ლ. თვალავაძე, ნ. მაღრაძე, ნ. ბინკინაშვილი, გ. ბიბილეიშვილი (83. ლ. ციკოლია), ზ. ჭავჭავაძე (60. ჯ. კოლუა), ლ. ჯიქიძე, ა. ბაგაშვილი, გ. ჯიშკარიანი

*სათადარიგოები:* მ. კოსტავა, გ. გოგატიშვილი, ა. ლეჟავა

*მწვრთნელი:* გ. ყორყოლიანი

ლოკომოტივი: ბ. საჯაია, გ. მჭედლიშვილი (72. გ. მაკასარაშვილი), დ. საჯაია, ნ. ჭანტურია, ბ. მახარაძე, ლ. კვარაცხელია (78. გ. მაისურაძე), დ. მიქავა, გ. გოროზია, დ. ჯიქია, მ. ცინცაძე, გ. შარანგია (60. გ. კაპანაძე)

*სათადარიგოები:* ა. გუგუშვილი, გ. ბაქრაძე, დ. დარციმელია, გ. ასლამაზიშვილი.

*მწვრთნელი:* გ. ჩიტაური

გაფრთხილება: ლ. ჯიქიძე, გ. ბიბილეიშვილი; გ. მჭედლიშვილი, ნ. ჭანტურია

არბიტრი: ბ. ნინუა

მესხეთი - მეშახტე გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 14 | 11 | 2 | 1 | 24-7 | 35 |
| 2. მერცხალი | 14 | 9 | 2 | 3 | 19-12 | 29 |
| 3. ჭიათურა | 13 | 7 | 3 | 3 | 18-10 | 24 |
| 4. ჩხერიმელა | 14 | 6 | 3 | 5 | 18-21 | 21 |
| 5. სტუ | 14 | 6 | 2 | 6 | 28-32 | 20 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 4 | 3 | 6 | 23-22 | 15 |
| 7. მესხეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-12 | 14 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 14 | 3 | 4 | 7 | 11-16 | 13 |
| 9. მეშახტე | 13 | 2 | 3 | 8 | 12-19 | 9 |
| 10. სამტრედია | 13 | 1 | 4 | 8 | 10-23 | 7 |

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| ლევან ჯიქიძე (სტუ) | 8 |
| მიხეილ ჯორბენაძე (ბათუმი) | 8 |
| გიგა ბოხუა (ჩხერიმელა) | 7 |
| დაჩი კოსტავა (ჩხერიმელა) | 7 |
| ავთანდილ ბაგაშვილი (სტუ) | 7 |

**მომდევნო მატჩები**

**24 ნოემბერი**

**გამოტოვებული შეხვედრები**

სამტრედია - ლოკომოტივი (თბილისი)
ჭიათურა - მესხეთი (ახალციხე)

**XV ტური**

**28 ნოემბერი**

მესხეთი (ახალციხე) - დინამო (ბათუმი)
მეშახტე (ტყიბ.) - მერცხალი (ოზურგეთი)
ჭიათურა - ჩხერიმელა (ხარაგაული)
კოლხეთი (ხობი) - აეტი (სოხუმი)
ლოკომოტივი (თბილისი) - სამტრედია

### ბ ზონა

**სულორი - ნ. დინამოელი 1:2**

18. 11. ვანი. „გიორგი ნიკოლეიშვილი". 300 მაყურებელი

0:1 ლ. ლაბარტყავა (17), 0:2 ზ. კვარაცხელია (31), 1:2 თ. მაღლაკელიძე (69)

სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, ა. როხვაძე, ნ. გიორგაძე (46. კ. გოგაძე), თ. ძაგნიძე (46. ბ. მჭედლიძე), თ. მაღლაკელიძე, მ. ნაფეტვარიძე (46. გ. ნიკოლეიშვილი), ბ. ბელექანია, ბ. სულაბერიძე

*სათადარიგოები:* ი. დვალიშვილი, მ. დვალიშვილი, გ. ბრეგვაძე, ნ. ბრეგვაძე

მწვრთნელი: მ. კორძაძე

ნ. დინამოელი: ა. ბილიხოძე, ა. ჩუენსუ, გ. ლომიძე, გ. ბერიშვილი, ზ. კვარაცხელია (46. ბ. შუბითიძე), ა. შენგელია, ა. ღვთისავრიშვილი, გ. ქვარაია, ი. ქავთარაძე (54. ლ. მაჭავარიანი), ლ. ლაბარტყავა, გ. ჩუბინიძე

*სათადარიგოები:* ა. ნონოსი, ზ. ქარდავა

*მწვრთნელი:* რ. ბარამიძე

გაფრთხილება: თ. ძაგნიძე, ბ. ბელექანია, ა. როხვაძე; ა. ჩუენსუ, გ. ლომიძე

გაძევება: კ. გოგაძე

არბიტრი: დ. სანოძე

**აეტი - სამგურალი 2:1**

18. 11. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

1:0 გ. მარგიანი (20), 1:1 ი. შალიკაშვილი (30), 2:1 გ. ნარსია (53)

აეტი: ზ. ჭიჭინაძე, მ. კორსანტია, ლ. ბიწაძე, გ. ბაგალიშვილი (72. თ. მეტრეველი), დ. ლობჟანიძე, გ. ნარსია (61. გ. ქურდაძე), პ. კვიკვინია, დ. მაჭარაძე, ლ. ომიაძე, ნ. ზაქარიაძე (61. გ. სოსელია), გ. მარგიანი

*სათადარიგოები:* ლ. ეზიეშვილი, გ. ჯაჭვლიანი

*მწვრთნელი:* ო. სოხაძე

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, კ. ძაგანია, ზ. ჩიხლაძე, ი. შალიკაშვილი (63. გ. გრძელიძე), ხ. უგრეხელიძე, გ. გელენიძე (46. ზ. კუხალაშვილი), რ. ჩიხლაძე (55. ლ. ცხადაძე), თ. შეყრილაძე, გ. ბუხაიძე

*სათადარიგოები:* გ. გორგოძე, ლ. ნავერიანი, ნ. უგრეხელიძე, დ. მემანიშვილი

*მწვრთნელი:* გ. გოგიაშვილი

არბიტრი: ი. ურუშაძე

**ზოოვეტი - გურია 1:0**

18. 11. თბილისი. სპორტის აკადემიის სტადიონი. 100 მაყურებელი

1:0 ი. სვანიძე (67)

**ზოოვეტი:** მ. ძიძიგური, შ. გალეგაშვილი, ი. ალასანია, გ. პატარქალიშვილი, ბ. მამარდაშვილი. შ. ფარულავა, თ. მოსიაშვილი (90. ი. ჯოჯიშვილი), ლ. ლობჟანიძე (65. მ. მახათაძე), ი. სვანიძე, ზ. ტიელიძე, ლ. ჯოხაძე (81. ს. ლორთქიფანიძე).

*სათადარიგოები:* მ. ბაბაიანი, თ. ჯიმშელეიშვილი, გ. კუხალაშვილი, უ. მამულაშვილი

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

გურია: დ. კეკელიძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი, ზ. რაზმაძე (86. ლ. რუსიეშვილი), გ. მელქაძე, ლ. კობახიძე, გ. შეწირული (73. გ. კვიტაშვილი), ტ. კუკულაძე, ი. კილაძე, გ. კვერენჩხილაძე

*სათადარიგოები:* ს. ფირცხალაიშვილი, მ. გოგუაძე

მწვრთნელი: გ. იმნაძე

გაფრთხილება: თ. მოსიაშვილი; ზ. რაზმაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**სქური - ადელი 2:1**

18. 11. წალენჯიხა. „საშა კვარაცხელია". 200 მაყურებელი

1:0 გ. ხაჩიძე (27, საკუთარ კარში), 2:0 დ. რაფავა (63), 2:1 ვ. ხიდეშელი (64)

სქური: ნ. ჯოლოგუა, დ. რაფავა, ი. ფაცაცია, ა. მიქენაია, თ. ფურთუხია, შ. გაბუნია, ლ. გაბუნია, ბ. სვანიძე, [illegible] ბოჯგუა (19. ა. სოხინი, 74. ჯ. ყურუა), გ. ჭკუასელი (90. ზ. მოლაშხია).

*სათადარიგოები:* ზ. გახარია, გ. კვირკვია, ზ. ლარიბაშვილი, კ. გაბელია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

ადელი: თ. ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე, ი. ჰაადი, გ. ხაჩიძე, ვ. ხიდეშელი, ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი (46. დ. ჯალაღანია), ლ. მამეიშვილი, ა. აბუსელიძე, ნ. დავითაძე (46. გ. სირაბიძე), ზ. მჟავანაძე (46. გ. ქოქოლაძე)

*სათადარიგოები:* გ. ზოიძე, ა. ლორია, გ. რომანაძე

*მწვრთნელი:* გ. ჯორბენაძე

გაფრთხილება: ა. მიქენაია; გ. ხაჩიძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**იმერეთი - ჩიხურა 0:2**

18. 11. ხონი. „ცენტრალური". 200 მაყურებელი

0:1 ლ. ნოზაძე (35), 0:2 ი. ლილუაშვილი (74)

იმერეთი: გ. ნიქაბაძე, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, რ. კაშია, დ. გოდერიძე (78. გ. გენძეხაძე), გ. ცაგარეიშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, ბ. ჩხეტიანი (82. ნ. ჩაჩიბაია), ნ. ჩიხლაძე (76. დ. სულაბერიძე)

*სათადარიგოები:* ს. მეძველია, კ. ქუთათელაძე, დ. ქუთათელაძე, დ. ხაბურძანია

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ე. ზივზივაძე, ლ. ჭელიძე, ჯ. ბერიანიძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ზაბახიძე, ლ. ნოზაძე (77. გ. ქიმაძე), ი. ლილუაშვილი (86. ა ივანიშვილი), გ. სილაგავა, ნ. კვასხვაძე (83. ლ. ვაშაკიძე), გ. სალარიძე

*სათადარიგოები:* გ. ცარციძე, ნ. გუშარაშვილი, შ. დოლაძე

გაფრთხილება: გ. ცაგარეიშვილი, დ. კუხალაშვილი გ. ნიქაბაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

**გამოტოვებული მატჩები**

**22 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| გურია (ლანჩხუთი) - სულორი (ვანი) | 2:2 |
| ჩიხურა (საჩხერე) - აეტი (სოხუმი) | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 14 | 13 | 1 | 0 | 34-3 | 40 |
| 2. გურია | 14 | 9 | 3 | 2 | 34-11 | 30 |
| 3. ნ/დინამოელი | 14 | 7 | 1 | 6 | 25-18 | 22 |
| 4. იმერეთი | 14 | 7 | 1 | 6 | 24-19 | 22 |
| 5. ზოოვეტი | 14 | 7 | 1 | 6 | 18-24 | 22 |
| 6. სქური | 14 | 6 | 2 | 6 | 19-22 | 20 |
| 7. სამგურალი | 14 | 5 | 4 | 5 | 20-15 | 19 |
| 8. ადელი | 14 | 3 | 1 | 10 | 14-28 | 10 |
| 9. სულორი | 14 | 2 | 3 | 9 | 8-31 | 9 |
| 10. აეტი | 14 | 2 | 1 | 11 | 8-33 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იაგო დეისაძე (გურია) | 14 |
| თორნიკე მუმლაძე (ჩიხურა) | 10 |
| იაკობ დეისაძე (იმერეთი) | 9 |

**მომდევნო ტური. 27 ნოემბერი**

ზოოვეტი (თბილისი) - ნ/დინამოელი (თბ.)
სულორი (ვანი) - იმერეთი (ხონი)
გურია (ლანჩხუთი) - სქური (წალენჯიხა)
ადელი (ბათუმი) - აეტი (სოხუმი)
სამგურალი (წყალტ.) - ჩიხურა (საჩხერე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეიენოორდი

# ყველაფერი იწყება თავიდან

ერედივიზიეს მე-12 ტურში "ფეიენოორდმა" არნემის "ვიტესს" გასვლაზე საშინელი დღე აყარა – 4:0 მოუგო. კაპიტანმა **რონ ვლაარმა** დიდებულად ითამაშა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მისი დიდი დამსახურებაა, რომ მასპინძლებმა **ერვინ მიულდერის** კარს გასაღები ვერაფრით მოარგეს. თამაშის მეორე დღეს ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი ჟურნალისტებს შეხვდა და გუნდში არსებული ვითარების შესახებ დიდხანს ელაპარაკა: "ვიტესთან" მოსაგებად სრულად კონცენტრირებულები ვიყავით. უპირატესობა თამაშის დაწყებისთანავე ჩავიგდეთ ხელთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ეს გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან საშუალება მოგვეცა, მეტისმეტად არ ჩამოვრჩენოდით საჩემპიონო რბოლას. კარგია ლამაზ სტილში მოპოვებული სამი ქულა, მაგრამ აუცილებელია, რომ ის ახლავე დავივიწყოთ, რადგან მიმდინარე სეზონში არაერთხელ ყოფილა, როცა ერთი მოგებული მატჩის შემდეგ მეორეში ფრედ გვითამაშია ან სულაც წაგვიგია. ახლა ჩვენ წინ "ვაალვაიკთან" მატჩი გვაქვს. სწორედ ამიტომ არის საჭირო ყველაფრის ნულიდან დაწყება, რათა ძველი შეცდომები აღარ გავიმეოროთ".

"ვიტესთან" შეხვედრის 56-ე წუთზე 26 წლის კოტდივუარელმა თავდამსხმელმა **სეკუ სისემ** ისტორიული გოლი გაიტანა – "ფეიენოორდისთვის" 4000-ე ჰოლანდიის ჩემპიონატში. თავად აფრიკელისთვის ეს პირველი სრულფასოვანი მატჩი იყო მიმდინარე სეზონში. იქამდე მას ზურგის ტკივილები აწუხებდა. "მოხარული ვარ, რომ შევძელი და 90 წუთი ვითამაშე. მეჩვენება, რომ ეს იყო საუკეთესო შეხვედრა, რომელიც აქ ჩამიტარებია. თანაც წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ, რომ ტკივილები აღარ მაწუხებს. ტრავმების გადამკიდემ ურთულესი პერიოდი გამოვიარე. ახლა შემიძლია, რომ ბოლომდე კონცენტრირებული ვიყო თამაშზე, რადგან ბურთის ყოველი შეხება ბედნიერების განცდას მგვრის. ძველებური ფორმის აღსადგენად რამდენიმე თამაშის ჩატარება დამჭირდება. თამაშის შემდეგ სასიამოვნო რამ მითხრეს, "ფეიენოორდის" შემადგენლობაში საიუბილეო გოლი გამიტანია. ძალიან გამიხარდა, რომ ასე მოხდა".

რუსული პრესის ინფორმაციით, "ფეიენოორდის" საყრდენი ნახევარმცველის,



რონ ვლაარი

26 წლის მაროკოელი კარიმ ელ აჰმადის შეძენით "ზენიტი" დაინტერესდა და "დე კუიპის" მკვიდრთ ტრანსფერის ღირებულების დასახელება სთხოვა. ამ ეტაპზე "ფეიეს" ოფიციალური პასუხი უცნობია, მაგრამ ჟურნალისტების ვარაუდით, როტერდამელები მასში მინიმუმ 3,5-4 მილიონ ევროს მოითხოვენ. კლუბი სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის, რის გამოც იძულებულია, წამყვან მოთამაშეებს გამოეთხოვოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი



ჯო კოული საფრანგეთში თავს ბედნიერად გრძნობს

მას შემდეგ, რაც **ჯო კოული** სათამაშოდ საფრანგეთში გადავიდა, ყოველ ინტერვიუში აღფრთოვანებული ლაპარაკობს იმ სიახლეებზე, რაც ამ ქვეყანაში ცხოვრებამ მას მოუტანა. განსხვავებაზე, როგორც წმინდა საფეხბურთო, ისე ცხოვრებისეულ საკითხებში, მაგრამ არის რაღაც, რასაც დღემდე ვერ ეგუება, რაც უბრალოდ უკვირს. ფეხბურთელი სწორედ ამ თემაზე საუბრობს. გთავაზობთ მის ნააზრევს:

1. ფეხბურთი. იმისთვის, რომ საფრანგეთში ფეხბურთი ითამაშო, მეტი უნდა იფიქრო და ნაკლები ირბინო. მე კიდევ, როგორც აქამდე ვიყავი შეგუებული, მინდორზე დამდუღრულივით დავრბივარ. თანაგუნდელები ისე მიყურებენ, როგორც არანორმალურს. მეკითხებიან ხოლმე, კი, მაგრამ ენერგიას რატომ არ ზოგავო? შემდეგ დავფიქრდი და მივხვდი, რომ ჭკვიანურია ასე მოქცევა, ამიერიდან ძალებს გადამწყვეტი მომენტებისთვის დავზოგავ.

2. მსაჯობა. საფრანგეთში ტექნიკურ ფეხბურთელებს მსაჯები განსაკუთრებულად იცავენ. ინგლისში კი გიჭირს შენივე თამაშის კონტროლი, რადგან ხანდახან მსაჯები სიხისტის მეტისმეტად მაღალ ზღვარს აწესებენ. ამ დროს ტექნიკურ ფეხბურთელებს უბრალოდ გამატებით ურტყამენ ფეხებში. საფრანგეთში კი მათ ყველანაირი პირობა აქვთ პროგრესისთვის.

3. ტანსაცმელი. შევამჩნიე, რომ ფრანგებს ჭრელი ფერის საცვლები უყვართ. ინგლისში კი ის შეიძლება იყოს მხოლოდ თეთრი, შავი ან შავ-თეთრი.

4. ჩვეულება. ფრანგებს ერთი უცნაური ჩვეულებაც აქვთ. ვარჯიშის დაწყებამდე ისინი ერთმანეთს რატომღაც ორივე ლოყაზე კოცნიან ხოლმე. თავიდან გაოგნებული ვიყავი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ისინი ასე გუნდური სულის ამაღლებას ცდილობენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

დისციპლინა

# სიხარულსაც ცოდნა უნდა

ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ორი მილიონი ჩეხური კრონით, დაახლოებით 106 ათასი დოლარით დააჯარიმა. ამის მიზეზი კი ჩერნოგორიასთან მატჩის შემდეგ მათი უდისციპლინო საქციელი გახდა. ექსიუგოსლაველების დამარცხების შემდეგ მოთამაშეებმა ჩემპიონატზე გასვლის აღსანიშნავი ზეიმი მოაწყვეს. აშკარაა, რომ სიხარულის გამოხატვასაც ზღვარი უნდა. ისინი ადგნენ და შუა აეროპორტში სპონტანურად შექმნილი სიმღერა წრეში ჩამდგრებმა სულ ხტუნვა-ხტუნვით დაამღერეს. ტექსტი ჩეხოსლოვაკიისა და ჩეხეთის ნაკრებების ყოფილ ფეხბურთელს, 49 წლის **რადეკ დრულაკს** მიეძღვნა. კულტურულ ფორმებში თუ ვთარგმნით, ასეთ რამეს მივიღებთ, დრულაკს სექსი იმიტომ არ აქვს, რომ საამისოდ საჭირო "ინსტრუმენტი" აკლიაო. იკითხავთ, კი, მაგრამ რა დაუშავა ამისთანა დრულაკმა ჩეხ ფეხბურთელებსო. ეროვნულ გუნდს ის მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში აკრიტიკებდა, ამტკიცებდა, ევროპის ჩემპიონატის საგზურს ვერ მოვიპოვებთო. ბუნებრივია, ეს კადრები კამერებმა დააფიქსირეს. გულშემატკივარს შეუძლია მისი ნახვა იუთუბზე, თუკი საძიებო ფანჯარაში Radek Drulak Nema Curaka-ს ჩაუწერს. "ასეთი სოლიდური თანხით დაჯარიმება იმითია გამოწვეული, რომ ისინი უნდა მიხვდნენ, ასეთ გამოხტომას მეორედ ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. თუკი რამე ამის მსგავსი კიდევ მოხდება, მაშინ ბევრად უფრო მკაცრ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ამჯერად ფეხბურთელები კიდევ დავინდეთ. მათ მიერ გადახდილ თანხას ჩვენ ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას მოვახმართ," – განაცხადა ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მიროსლავ პელტამ**.

ჩეხეთის ნაკრების კაპიტანმა **ტომაშ როსიცკიმ** გულშემატკივარს ბოდიში საჯაროდ მოუხადა. ის შეეცადა ფანებისთვის მათი საქციელი მეტ-ნაკლებად აეხსნა და ყოველივე ევრო 2012-ზე მოხვედრით გამოწვეულ "საერთო ეიფორიას" დააბრალა. ტომაშმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩეხი ფეხბურთელები იმ დღეს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყვნენ. მისი თქმით, მათ ლუდი დალიეს, მაგრამ ზომიერად, რადგან უზომოდ დასალევად მათ ელემენტარულად დრო არ ეყოფოდათ.



15 ნოემბერს პოდგორიცაში გამარჯვებამ ჩეხი ფეხბურთელები ჭკუიდან გადაიყვანა

**ლევან ბიბილაშვილი**

ფიორენტინა

# იებს ბროკი არ უნდათ

ერთი ხანობა აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ „ლაციოს" ნახევარმცველი **კრისტიან ბროკი** „ფიორენტინაში" აპირებდა გადაბარგებას. 35 წლის შუახაზელი იშვიათად ხვდება "ბიანკოჩელესტეს" ძირითად შემადგენლობაში და როგორც ამბობენ, დედაქალაქიდან აბარგების გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს. თუმცა, გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, გარიგება არ შედგება და მეტიც, ფლორენციელებს არც ჰქონიათ არანაირი ინტერესი ბროკის მიმართ. აი, რას ამბობს „ვიოლას" სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო**:

„ბროკი ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მის გადაბირებას ნამდვილად არ ვაპირებთ. კრისტიანი საყრდენი ნახევარმცველია, ჩვენ კი მცველის და გარემარბის დამატება გვსურს. უკვე მონიშნული გვაქვს რამდენიმე ფეხბურთელის გვარი, რომელთა გადაბირებასაც ზამთარში შევეცდებით, თუმცა მათ შორის ბროკი ნამდვილად არ ფიგურირებს. სატრანსფერო გეგმებზე უფრო დეტალურად ვერ ვისაუბრებ, თუმცა მთავარი უკვე გავთქვი: მცველი და გარემარბი უნდა დავიმატოთ".

**ლაშა ნიკლაური**



კრისტიან ბროკი

ლაციო

# რეიას ლედესმა და მაური არ ეთმობა

იტალიურ სპორტულ პრესაში ერთი ამბავია ატეხილი - დიდია შანსი, **სტეფანო მაურიმ** და **კრისტიან ლედესმამ** „ლაციო" დატოვონ. ორივეს მიმართ არაერთი ევროპული გუნდი იჩენს ინტერესს და თუ მართლაც მოისურვებენ რომის დატოვებას, ახალი სამსახურის მოძებნა ნამდვილად არ გაუჭირდებათ. ლედესმას ინგლისში ექაჩებიან აქტიურად, მაურის მიმართ კი თვით "მილანი" იჩენს ინტერსს. მოკლედ, „ლაციალებზე" ტაციაობაა და საინტერესოა, რა პოზიცია უკავია „ბიანკოჩელესტეს" მთავარ მწვრთნელს. მოვუსმინოთ **ედუარდო რეიას:**

„მაური და ლედესმა „ლაციოს" ფეხბურთელები არიან და სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან მახარებს. ორივე კვალიფიციური მოთამაშეა და გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლიათ. სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის გარანტიებს ვერავის მივცემ, რადგან ჩვენ „ლაციოზე" ვსაუბრობთ. თუ ეს პრობლემა უდგას ვინმეს, შეუძლია წავიდეს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მე არავისთან არ მსურს განშორება. თითოეული ფეხბურთელი, რომელიც ჩემს განკარგულებაშია, გუნდისთვის საჭიროა".

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

# კასანო გამოჩნდა



კარგი ამბავი გავრცელდა გუშინ იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც **ანტონიო კასანომ** სარეაბილიტაციო კურსი დაიწყო და თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე ამას ამ დროისთვის ექიმები წინასწარმეტყველებდნენ. კასანო "მილანის" საწვრთნელ ბაზას ესტუმრა, თანაგუნდელებს გაესაუბრა და შემდეგ "მილანელოს" ერთ-ერთ მოედანს რამდენიმე წრეც დაარტყა. დიახ, წაივარჯიშა კიდეც, რის შემდეგაც ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

"სირბილი, რა თქმა უნდა, შემიძლია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მალე მოედანზე გასვლას შევძლებ. ჩემთვის დატვირთვები აკრძალულია იქამდე, სანამ მკურნალობის პროცესი ბოლომდე დასრულდება. სავარაუდოდ, ხუთ თვეში შევძლებ მოედანზე დაბრუნებას და იმედია, ევროპის ჩემპიონატისთვის ეროვნული ნაკრების განაცხადში მოვხვდები".

კასანოს გამოჩენას დიდი სიხარულით შეხვდა "მილანის" მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი**, რომელმაც პრესას შემდეგი განუცხადა: "ბედნიერი ვარ, რომ ანტონიოს "მილანელოზე" ვხედავ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თუ რაოდენ ძლიერი პიროვნებაა და რომ აუცილებლად დაუბრუნდება დიდ ფეხბურთს. არ ვიცი, ზუსტად როდის მოხდება ეს, მაგრამ ჩვენ მას მოუთმენლად ველოდებით".

**ლაშა ნიკლაური**

იუვენტუსი

# ბუფონი: ფავორიტი მილანია კვალიარელა არსად მიდის

მიუხედავად იმისა, რომ XII ტურის შემდეგ, სერია A-ს სატურნირო ცხრილს "იუვენტუსი" უდგას სათავეში, **ჯანლუიჯი ბუფონი** ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად მაინც "მილანს" მიიჩნევს. იტალიის ნომერი პირველი გოლკიპერი "გაძეტა დელო სპორტს" გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

"მიუხედავად იმისა, რომ "მილანმა" სერია A-ს მიმდინარე გათამაშება მთლად ჩემპიონურად ვერ დაიწყო, მგონია, რომ ფავორიტი მაინც მასიმილიანო ალეგრის გუნდია. ჩემი პირადი აზრით, 60% სკუდეტოს სწორედ "როსონერი" მოიგებს, დანარჩენ 40%-ს კი "იუვენტუსთან" ერთად "ნაპოლის" და "უდინეზეს" გავუნაწილებდი. არ მავიწყდება "რომა" და "ინტერი", მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ გუნდების პროგრამა მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრაა".

"იუვენტუსთან" დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება, რომლის მიხედვითაც **ფაბიო კვალიარელას** სხვა გუნდში გადაბარგების შანსი ნულის ტოლია. არადა, ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ კვალი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "იუვეს" დატოვებას და "მილანში" გადაბარგებას აპირებდა. ფეხბურთელის პირადი აგენტი ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს – მოვუსმინოთ **ბეპე პოცოს**:

"ფაბიოს რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე და კარგად ვიცი მისი პოზიცია – არაერთი მეტად საინტერესო შეთავაზების მიუხედავად, არსად წასვლაზე არ ფიქრობს და უნდა, რომ კარიერა "იუვენტუსში" გააგრძელოს. მართალია, ბოლო პერიოდში ტრავმებმა გატანჯეს, მაგრამ მთავარი მწვრთნელისგან უდიდეს ნდობას გრძნობს და მთავარიც ეს არის. ასე რომ, "ბიანკონერის" გულშემატკივრებს შეუძლიათ მშვიდად იყონ, კვალიარელა არსად მიდის".



ჯიჯი ბუფონი

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● მწვრთნელის პრობლემა

# სამსახურიდან გაშვების ფასი


ანდრე ვილაშ-ბოაში

„ჩელსის“ მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** მწვრთნელის, **ანდრე ვილაშ-ბოაშის** გაშვება რომ მოუნდეს, 20 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს. პორტუგალიელ სპეციალისტს დასავლეთლონდონელებთან, კონტრაქტის თანახმად, ჯერ კიდევ აკავშირებს ორი წელიწადი და ექვსი თვე. არადა, იმ დღიდან, როდესაც რუსმა მილიარდერმა ვილაშ-ბოაშს კვირაში 150 ათასი ფუნტი დაუნიშნა, ხოლო მის ყოფილ კლუბ „პორტუს“ მის გამოსაშვებად 13,3 მილიონი ფუნტი ანუ 15,5 მილიონი ევრო გადაუხადა, სულ რაღაც ხუთი თვეა გასული.

„ლივერპულთან“ 1:2 წაგების შემდეგ მიცემულ ინტერვიუში, 34 წლის სპეციალისტმა თქვა, რომ მის სამსახურს საფრთხე სწორედ ფინანსური საკითხის გამო არ ემუქრება - მეპატრონემ ჩემს სანაცვლოდ ამდენი ფული იმიტომ არ გადაიხადა, რომ ახლა გამიშვას და კიდევ კომპენსაცია მიხადოსო. მისი კომპენსაცია, როგორც გითხარით, 20 მილიონ ფუნტს უდრის და თუ ზემოთ ნახსენებ 13,3 მილიონსაც მივამატებთ, გამოვა, რომ „ჩელსის“ ერთი წარუმატებელი მწვრთნელი ძალიან ძვირი დაჯდომია. არადა, „ლურჯების“ თავკაცის საქმე კარგად ნამდვილად არ მიდის. მერსისაიდელებთან დამარცხება გუნდისთვის 12 ტურში მეოთხე იყო. ახლა „ჩელსი“ ცხრილში ლიდერ „მანჩესტერ სიტის“ 12 ქულით ჩამორჩება.

და მაინც, ვინაიდან აბრამოვიჩმა 2004 წლიდან მოყოლებული გაგდებული მწვრთნელებისთვის მიცემულ კომპენსაციებში 69 მილიონი ფუნტი „დაკარგა“, ვილაშ-ბოაშს ჰგონია, რომ მეპატრონე ასეთ ხარჯს აღარ გასწევს. რუსმა ოლიგარქმა „ჩელსი“ 2003 წელს იყიდა და მას მერე ხუთი მწვრთნელი გაუშვა. ერთადერთი, ვინც კონტრაქტით გათვალისწინებული ვადები ამოწურა, დროებითი თავკაცი **გუს ჰიდინკი** იყო. **კლაუდიო რანიერისა** და **ავრამ გრანტს** წესით სამსამი წელიწადი კიდევ „სტემფორდ ბრიჯზე“ უნდა ემუშავათ. **ჟოზე მოურინიოს** წელიწადნახევარი რჩებოდა და რომ გააგდეს, 18 მილიონი ფუნტის გატანებაც მოუხდათ. აბრამოვიჩთან ყველაზე ცოტა ხანი **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** გაძლო. ის თანამდებობიდან სულ რაღაც შვიდ თვეში გაათავისუფლეს, არადა, კონტრაქტში ორი წელიწადი ეწერა. ბრაზილიელს წელიწადში 5 მილიონი ერგო. რაც შეეხება **კარლო ანჩელოტის**, ის დღემდე იღებს კვირაში 130 ათასს.

ზემოთ გუს ჰიდინკი ვახსენეთ. ჰოლანდიელი სპეციალისტი ერთადერთია, ვისაც აბრამოვიჩი დღემდე მისტირის, თუმცა ის არა და არ ბრუნდება. მას მერე, რაც ვილაშ-ბოაშს ცუდი პერიოდი დაუდგა, პრესის ფურცლებზე კვლავ ამოტივტივდა ჰიდინკის გვარი. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი ბოლოს თურქეთის ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა, მაგრამ ევრო 2012-ზე გასვლა ვერ შეძლო და გასულ კვირაში თანამდებობიდან მოხსნეს. ერთი სიტყვით, ვილაშ-ბოაშის ლონდონური წვალება და ჰიდინკის თურქეთიდან წასვლა ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ 65 წლის მწვრთნელმა თქვა, რომ საქმეში ასე მალე დაბრუნებას არ აპირებს:

*„აბრამოვიჩთან ყოველთვის შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. როდესაც ლონდონში ჩავდივარ, „ჩელსის“ საწვრთნელ ბაზასა და სტადიონზე ყოველთვის თბილად მიღებენ. რომ გითხრათ ყოველ კვირა ველაპარაკები-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ აქა-იქ ერთმანეთს ვურეკავთ და ვხედავ, რომ ჩემთან საუბარი სიამოვნებს. რაც შეეხება ახალი სამსახურის დაწყებას, ვფიქრობ, ჯერ დასვენება მჭირდება, მერე კი გადავწყვეტ, რა გზას დავადგები. კაცმა რომ თქვას, 65 წლის კაცი შესაძლოა მუშაობას სულაც უნდა ანებებდეს თავს, მაგრამ ენერგიის ნაკლებობას თითქოს არ განვიცდი და ვფიქრობ, შინ დაჯდომა ჯერ ადრეა“.*

● მანჩესტერ იუნაიტედი

# უელბეკს ხელფასს უმატებენ


დენი უელბეკი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 20 წლის თავდამსხმელმა, **დენი უელბეკმა** განაცხადა, რომ მზად არის კლუბთან ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი. გაირკვა, რომ მოლაპარაკებები უელბეკსა და ინგლისის ჩემპიონთა წარმომადგენლებს შორის დეკემბერში დაიწყება. სავარაუდოდ, ფეხბურთელს კვირაში 45 ათას ფუნტს დაუნიშნავენ.

ინგლისური პრესის აზრით, უელბეკი ხელფასის მომატებას იმსახურებს. მას მერე, რაც გასული სეზონი „სანდერლენდში“ გაატარა და „ოლდ ტრეფორდზე“ დაბრუნდა, თავდამსხმელი ერთიორად ძლიერად თამაშობს. ჯერჯერობით, მისი ხელფასი კვირაში 15 ათასი ფუნტია, ხოლო მოქმედი კონტრაქტის მოქმედების ვადა კიდევ წელიწადნახევარია.

ტაბლოიდები წერენ, რომ უელბეკსა და „იუნაიტედს“ შორის ხელფასის გასამმაგებაზე ლაპარაკი ზაფხულშივე დაიწყო, მაგრამ მაშინ კონკრეტული ვერავინ ვერაფერი თქვა. მიზეზი: იმ პერიოდში კლუბმა ახალი ფეხბურთელები იყიდა და მათი სატრანსფერო თანხებისა თუ ხელფასების საქმე იყო მოსაგვარებელი. გარდა ამისა, ფორმდებოდა ახალი კონტრაქტები **კრის სმოლინგთან, ტომ კლევერლისთან** და **ხავიერ ერნანდესთან.** თუმცა ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უელბეკის ახალ ხელშეკრულებას ვერაფერი დააბრკოლებს. საგულისხმოა, რომ უელბეკის ახალ კონტრაქტში ჩაიწერება რამდენიმე პუნქტი, რომელთა წყალობით თავდამსხმელმა წარმატებული თამაშის შემთხვევაში, შესაძლოა, პერიოდულად, კვირაში 65 ათასსაც კი გამოჰკრას ხელი.

● კრიტიკა

# დავიდ ლუიზი აზრზე არ არის


დავიდ ლუიზი

წარსულში ცნობილმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა, დიდებისდროინდელი „ლივერპულის“ წევრმა და გავლენიანმა ტელემიმომხილველმა, **ალან ჰანსენმა** „ჩელსის“ ბრაზილიელი მცველი, 24 წლის **დავიდ ლუიზი** გააკრიტიკა. ჰანსენმა „ლივერპულთან“ 1:2 წაგებულ შეხვედრაში დასავლეთლონდონელთა დაცვას კატასტროფული უწოდა. მან თქვა:

*„ვფიქრობ, კვირას „ჩელსის“ ძალიან გაუმართლა თამაშის ბოლომდე რომ გაძლო. ის დაცვა, რომელიც მე ამ დღეს „ლურჯების“ შესრულებით ვნახე, არც მეტი არც ნაკლები, კატასტროფული იყო. ლუიზი აზრზე არ არის როგორ უნდა ითამაშოს ერთ ხაზზე განლაგებული ოთხი მცველის სისტემაში. ის იმდენად წინ მოდის, რომ ყოველ წუთს „ჩელსის“ კარში გოლს ელოდები. რაც შეეხება ტერის, ამ ფეხბურთელმა ბოლო რვა შეხვედრაში იმდენი შეცდომა დაუშვა, რამდენიც რვა წლის განმავლობაში არ დაუშვია“.*

# გულნატკენი კაცის დაბრუნება


ჰარი რედნაპი

გულის ოპერაციის შემდეგ საქმეში დაბრუნებულმა **ჰარი რედნაპმა** ნახა, რომ მისი გუნდი ცხრილში მესამე ადგილზე გადავიდა და კმაყოფილმა განაცხადა, ყველაფერი კარგად მიდისო. „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ სამი ქულა 27 წლის ტოგოელი **ემანუელ ადებაიორის** დუბლის წყალობით მოიპოვა. გახარებულმა რედნაპმა თქვა:

*„თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ამაზე კარგად როგორ უნდა ვიყო, ვერც წარმომიდგენია. ისედაც, ბოლო 10 დღის განმავლობაში ყოჩაღად გახლდით. ძალიან მინდოდა საქმეს რაც შეიძლება მალე დავბრუნებოდი და მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩინებულად ვგრძნობდი თავს. ძალიან მესიამოვნა ჩემი ბიჭების ასეთი კარგი თამაშის ცქერა. ამაზე კარგ წამალს ვერც ერთი ექიმი ვერ დამინიშნავდა“.*

„ვილასთან“ გამარჯვების შედეგად „ტოტენჰემ ჰოთსპური“ პრემიერლიგის ცხრილში მესამე ადგილზე გადავიდა, ქულების რაოდენობით „ნიუკასლს“ გაუტოლდა და მეორე ადგილზე მყოფ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ოთხი ქულით ჩამორჩება. თან, „სფურზს“ ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

*„ისე არ გამიგოთ, თითქოს გპირდებოდეთ, რომ ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ შეჯიბრება ისე მიდის, ტიტული შეიძლება ჩვენც მოვიპოვოთ და სხვამაც, მაგალითად „ლივერპულმა“ ან ნებისმიერმა დაწინაურებულმა გუნდმა. მთავარია, საკუთარი ძალებისა გწამდეს და თამაშები მოიგო. მეორე მხრივ, ასეთი კონკურენციის პირობებში ოთხეულში შესვლაც კი ძნელი იქნება“.*

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „დეზების“ ორივე გოლი ადებაიორმა გაიტანა, ორივე პირველ ტაიმში. ჯერ იყო და მას ბირმინგემელების დაბნეულმა დაცვამ საჯარიმოში მაკრატელასმაგვარი დარტყმის საშუალება მისცა, შემდეგ კი თანაგუნდელის უზუსტობით შემცბარმა ვეტერანმა მეკარე **შეი გივენმა** ვერ დაიჭირა ბურთი და კარის ხაზთან დარჩენილ ტოგოელს ბურთის ხაზს მიღმა შეგდების მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

თუმცა, „სფურზის“ გამარჯვების მთავარი შემოქმედი ადებაიორი არ ყოფილა. მთავარი მოქმედი პირი 26 წლის ხორვატი **ლუკა მოდრიჩი** იყო, რომელსაც კლუბის პრეზიდენტი **დენიელ ლივი**, ალბათ, იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. რედნაპმა თქვა:

*„ლუკა ძალიან მიყვარს. მარტო იმიტომ კი არა, რომ ის კარგი ფეხბურთელია, უბრალოდ კარგი ბიჭია. ხომ გასოვთ, რა გადახდა ზაფხულში? მისი ყიდვა „ჩელსის“ უნდოდა და აურია კიდეც ცხოვრება, მაგრამ ლუკას ამის გამო ურთიერთობებში არაფერი შეშლია. მისი უხასიათობა არავის უგრძვნია. ჩვენ ახლაც ვალდებული ვართ, ის „ტოტენჰემში“ დავტოვოთ. ამქვეყნად ლუკა მოდრიჩისნაირი ფეხბურთელი და კაცი ბევრი როდია. და თუ ჩვენ გვინდა დიდ კლუბად ჩამოვყალიბდეთ - ხოლო, მართლა ეს რომ გვაქვს მიზნად დასახული, ზაფხულზე ჩვენმა თავმჯდომარემ ყველას დაუმტკიცა - მის კონტრაქტს რამე უნდა მოვუხერხოთ“.*

„ასტონ ვილას“ თავკაცმა, **ალექს მაკლიშმა** კი თქვა: *„თამაში ძალიან კარგად დავიწყეთ, „ტოტენჰემს“ შევუტიეთ, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ცუდად მოგვიტრიალდა. გოლებიც დასანანი შეცდომების გამო გავუშვით. განსაკუთრებით, მეორე“.*

● არსენალი

# სათადარიგო ვარიანტი: ანჩელოტი


კარლო ანჩელოტი

თუ **არსენ ვენგერი** „არსენალის“ მწვრთნელობიდან გადადგომას გადაწყვეტს, მის ადგილზე, შეიძლება, ცნობილი იტალიელი სპეციალისტი, **კარლო ანჩელოტი** დანიშნონ. შეგახსენებთ, რომ „ჩელსის“ ყოფილმა თავკაცმა ბევრჯერ განაცხადა, მორიგი სამსახურის შოვნა ისევ პრემიერლიგაში მსურსო და არც ის დაუმალავს, რომ ამბიციურ კლუბს უმიზნებს.

წლეულს ანჩელოტი ერთი-ორჯერ „ემირეიტ სთედიუმზეც“ შეამჩნიეს, რასაც, რასაკვირველია, კუდები მოჰყვა. მყისვე გაჩნდა ეჭვი, რომ ვენგერის გადადგომის შემთხვევაში „ტახტს“ მისთვის ამზადებენ. რასაკვირველია, ისიც საქვეყნოდ არის ცნობილი, რომ „მეთოფეთა“ კლუბში ვენგერის გადადგომა არავის უნდა, თუმცა ფრანგმა „კიპთან“ ინტერვიუში თავად ჩამოაგდო ამ თემაზე ლაპარაკი. ვენგერი „ეკიპში“ ამბობს, რომ დარჩება თუ არა „არსენალის“ მწვრთნელად, სეზონის ბოლოს გადაწყვეტს.

შეგახსენებთ, რომ ვენგერის კონტრაქტი 2014 წლამდეა ძალაში.

● სატრანსფერო ამბავი

# 30 მილიონი არსენალისთვის

„არსენალს“ გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის, 19 წლის **მარიო გიოტცეს** ყიდვა უნდა და ამისათვის 30 მილიონი ფუნტი ანუ დაახლოებით 35 მილიონი ევრო სჭირდება. ინგლისური ტაბლოიდებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ „მეთოფეები“ ლონდონში დორტმუნდის „ბორუსიას“ ვიზიტს თავიანთი ინტერესის დასაფიქსირებლადაც გამოიყენებენ — მოგეხსენებათ, „არსენალი“ და „ბორუსია“ ჩემპიონთა ლიგაში ერთ ჯგუფში არიან.


მარიო გიოტცე

ცნობილია, რომ ჩრდილოლონდონელებმა გიოტცეს დასაზვერად ბუნდესლიგის ბოლო ტურში ორი სკაუტი მიავლინეს. სკაუტებმა უყურეს, როგორ გაიტანა მათი დაკვირვების ობიექტმა „ბაიერნის“ კარში გადამწყვეტი გოლი (თამაში დორტმუნდელთა გამარჯვებით, 1:0 დამთავრდა) და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ გიოტცეს ყიდვა ფრიად სასურველია.

„არსენალის“ აღმასრულებელი შეფი, **აივან გაზიდისი** და მოლაპარაკებათა სპეციალისტი, **რიჩარდ ლოუ** ამ კვირის განმავლობაში შეეცდებიან დორტმუნდელი კოლეგები პრინციპულ საკითხებზე დაიყოლიონ. მეორე საკითხია, რომ ამთავითვე ცნობილია — გერმანელები 35 მილიონ ევროს მოითხოვენ. შეგახსენებთ, რომ აქამდე ყველაზე მეტი, რაც „მეთოფეებს“ ფეხბურთელში გადაუხდიათ, ამ თანხის ნახევარი იყო — ასეთ ფასად ჩრდილოლონდონელებმა „ზენიტიდან“, 2009 წელს, **ანდრეი არშავინი** იყიდეს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ევროპული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XII ტურის შეჯამება

# კაცი, რომელმაც 112-წლიანი ისტორია 3 წუთში გადანერა

## მწვრთნელი, რომელიც სტუმრად თამაშს აპირებდა და შინ მოხვდა... მაგრამ მაინც წააგო

რით იყო ეს ტური გამორჩეული? უპირველესად, მესტალიური მატჩით - ლიდერი ვალენსიაში ჩავიდა და 3:2 მოუგო „ვალენსიას", მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში **იკერ კასილიასის** კართან გვარიანად ჩამოცხა. ეს სწორედ ის მატჩია, რომელშიც „რეალის" გოლი **ჟოზე მოურინიოს** ისე გაუხარდა, რომ ზურგზე მოექცა თავისსავე შეგირდს და ისე აღნიშნა სიხარული. ეს ის მატჩია, რომელიც უსკანდალოდ არ დასრულებულა - ბოლო წუთებზე „რეალის" კარში ორი მეკარე ჩადგა! ეს ნახევრად ხუმრობით - სინამდვილეში კი **გონსალო იგუაინმა,** ბევრის აზრით, ხელით ითამაშა, როცა გუნდი 100%-იანი გოლისგან იხსნა კარის ხაზზე. მატჩის შემდეგ ორი სუპერგუნდი უკვე გვრიანად მოსცილდა სხვებს.

ტურში იყო ჩხვლეტა ქოლგით, რომელმაც ერთი მატჩი ჩაშალა - ანდალუსიაში „გრანადას" და „მალიორკას" შეხვედრა 64-ე წუთზე შეწყდა და მერე გაირკვევა, როცა საქმეს გამოიძიებენ. თანამსაჯი გადარჩა, მაგრამ გვარიანად შეშინდა. **ექტორ კუპერმა** კვლავ წააგო. მის თავზე დამოკლეს მახვილივით აღმართულია გაგდების პერსპექტივა, ქართველთა ექსთავკაცის „რასინგი" 9 ქულით ბოლოზეა. არც სხვა ამბებია უინტერესო, წაიკითხეთ...

### რონი vs ლეო

როგორც კი **კრიშტიანო რონალდო** „მესტალიაზე" ბურთს მიიღებდა, ტრიბუნებიდან „*მესი, მესის*" ძახილი ესმოდა, თუმცა თამაშის შემდეგ პორტუგალიელმა განაცხადა, რომ ეს შეძახილები მის თამაშს ვერაფერს დააკლებს - მოკლედ, ორი სუპერვარსკვლავის დუელი გრძელდება. აქამდე 6:6 იყო.

**ლეო მესიმ** 90 წუთი ითამაშა „სარაგოსასთან" 4:0 მოგებულ მატჩში, გოლი გაიტანა, 6-დან 3 დარტყმა ზუსტი იყო, 3-ჯერ მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, ხოლო 4-ჯერ თავად. Goal.com-მა 7,5 ბალი დაუწერა.

კრიშტიანო რონალდომაც სრულად ითამაშა „ვალენსიასთან" 3:2 მოგებულ შეხვედრაში, გოლი მანაც შეაგდო, მისი 5 დარტყმიდან 2 ზუსტი იყო, მის წინააღმდეგ 3-ჯერ იუხეშეს, თავად კი ერთხელ დაჯარიმდა, მაგრამ ყვითელი ბარათი მიიღო. Goal.com-მა 7 ბალი დაუწერა.

ჩვენი ვერდიქტი: ამ ტურში 1:1, სულ კი 7:7, ბრძოლა გრძელდება...

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**Goal.com. 4-4-2**

*კლაუდიო ბრავო (რეალ სოსიედადი, 1) - ანდონი ირაოლა (ბილბაო, 1), კარლეს პუიოლი (ბარსელონა, 1), ჟერარდ პიკე (ბარსელონა, 1), ოსკარ დე მარკოსი (ბილბაო, 1) - იკერ მუნიაინი (ბილბაო, 2), ჩაბი ალონსო (რეალი, 1), ბორხა ვალერო (ვილიარეალი, 1), ხოსე რეიესი (ატლეტიკო, 1) - რობერტო სოლდადო (ვალენსია, 3), ქარიმ ბენზემა (რეალი, 1).*

### ტურის გმირი

**ოსკარ დე მარკოსი (ბილბაო)**

სევილიაში გადამწყვეტი გოლის ავტორი, რომლის წყალობითაც ბილბაოს „ატლეტიკმა" წაუგებელი სერია გააგრძელა.

### ტურის ფრაზები

**ხუან კარლოს გარიდო:** „*ვფიქრობ, მეტისმეტად დაცვითი ფეხბურთი ვითამაშეთ*", - „ვილიარეალის" თავკაცი შინ „ბეტისის" 1:0 დამარცხების შემდეგ.

**პეპე მელი:** „*ყველაფერს ვიფიქრებდი და „ელ მადრიგალზე" თუ თავს საკუთარ კედლებში ვიგრძნობდით, ამას - არა. მით უფრო დასანანია მარცხი*", - „ბეტისის" მწვრთნელი დიდი უპირატესობის მიუხედავად 0:1 წაგების შემდეგ.

**ხავიერ აგირე:** „*როცა ოპონენტი ყველაფერში გჯობს, ამის აღიარება კაცურად უნდა შეგეძლოს*", - „სარაგოსას" მწვრთნელი „კამპ ნოუზე" 0:4 მარცხის მერე.

**უნაი ემერი:** „*რეალს", რომ მოუგო, უნაკლოდ უნდა ითამაშო, ჩვენ დღეს კარგად ვითამაშეთ, მაგრამ უნაკლოდ ვერა*", - „ვალენსიას" თავკაცი 2:3 მარცხის მერე.

**აიტორ კარანკა:** „*დღეს „რეალმა" დაამტკიცა, რომ მოგება შეუძლია მაშინაც, როცა ბრწყინვალედ თამაშობს და როცა მოედანზე ბევრი ვერაფერი გამოსდის*", - „სამეფო კლუბის" მწვრთნელის ასისტენტი „მესტალიაზე" გამარჯვების შემდეგ.

**ჟოზე მოურინიო:** „*ითამაშა თუ არა გონსალო იგუაინმა ხელით? არ ვიცი, არ დამინახავს*", - ჟოზე მოურინიო საკამათო ეპიზოდზე.

**მარსელო ბიელსა:** „*ეს არ იყო იოლი გამარჯვება, მაგრამ - სავსებით დამსახურებული*", - „ბილბაოს" თავკაცი „სევილიას" 2:1 დამარცხების მერე.

### ტურის მსხვერპლნი

**ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა): „სარაგოსასთან" მატჩში ბარძაყის ტრავმა მიიღო - მე-10 ორი სეზონის განმავლობაში! ამჯერად, ინიესტას დაზიანება საგანგაშო არაა.

**მიგელ ტორესი** (ხეტაფე): მადრიდელთა მარცხენა მცველი ოპონენტს შეეჯახა „სპორტინგთან" მატჩში და საკაცით გასაყვანი გახდა.

### ტურის ინციდენტი

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია მალე გამოიძიებს ინციდენტს, რომელიც გრანადაში მოხდა, როცა შეხვედრის თანამსაჯს ტრიბუნიდან ნასროლი ქოლგა სახეში მოხვდა. „გრანადა" „მალიორკას" 2:1-ს უგებდა, ინციდენტი კი 64-ე წუთზე მოხდა. **ხოსე აგილარ როდრიგესი** სერიოზულად არ დაზარალებულა.

### პირველი

**ჟონას რამალიო (ბილბაო)**

ის 18 წლის და 5 თვისაა, ამპლუით მარჯვენა მცველია. 20 ნოემბერს რამალიოს დებიუტი შედგა ლა ლიგაში - „სანჩეს პისხუანზე" ბოლო 3 წუთი (პლუს 2 დამატებული) ითამაშა. რამალიოს გამოსვლით დიდი ტრადიცია დაირღვა - ის პირველი შერეული რასის ფეხბურთელია, ვინც „ბილბაოს" ძირითად გუნდში გამოჩნდა - რამალიოს მამა ანგოლელია, ხოლო დედა - ბასკი. არადა, კლუბი 1898 წელსაა დაარსებული!



იცნობდეთ, ეს ჟონას რამალიოა

### ტურის სტატისტიკა

25 გოლი ტურში (2,5 მატჩში). 4 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრით დასრულდა, სტუმრებმა 3 მოიგეს. ტურში მსაჯებმა 59 ყვითელი და 1 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - არავინ

დუბლი - **რობერტო სოლდადო** (ვალენსია)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ჟონას რამალიო** (ბილბაო, 18 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: **80 000 - „კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **8 000 - „ელ სარდინერო"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **27 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **11 - ბარსელონა, ატლეტიკო**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **23 - ბეტისი**

ყველაზე მეტი კუთხური: **8 - სპორტინგი, მალაგა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **5 - ბეტისი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **66% - ბარსელონა**

**ვილიარეალი-ბეტისი 1:0**

**საუკეთესო:** ბორხა ვალერო (ვილიარეალი)

**ბარსელონა-სარაგოსა 4:0**

**საუკეთესო:** კარლეს პუიოლი (ბარსელონა)

**ვალენსია-რეალი 2:3**

**საუკეთესო:** რობერტო სოლდადო (ვალენსია)

**რეალ სოსიედადი-ესპანიოლი 0:0**

**საუკეთესო:** ვლადიმირ ვეისი (ესპანიოლი)

**სპორტინგი-ხეტაფე 2:1**

**საუკეთესო:** ნაჩო ნოვო (სპორტინგი)

**ოსასუნა-რაიო ვალეკანო 0:0**

**საუკეთესო:** ლასანა ბანგურა (რაიო ვალეკანო)

**სევილია-ბილბაო 1:2**

**საუკეთესო:** ანდერ ერერა (ბილბაო)

**ატლეტიკო-ლევანტე 3:2**

**საუკეთესო:** ხოსე რეიესი (ატლეტიკო)

**გრანადა-მალიორკა 2:1**

*მატჩი შეწყდა*

**რასინგი-მალაგა 1:3**

**საუკეთესო:** ისკო (მალაგა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 12 | 10 | 1 | 1 | 42-9 | 31 |
| 2. ბარსელონა | 12 | 8 | 4 | 0 | 38-6 | 28 |
| 3. ვალენსია | 12 | 7 | 3 | 2 | 19-12 | 24 |
| 4. ლევანტე | 12 | 7 | 2 | 3 | 19-12 | 23 |
| 5. მალაგა | 12 | 6 | 2 | 4 | 15-14 | 20 |
| 6. სევილია | 12 | 4 | 6 | 2 | 12-10 | 18 |
| 7. ბილბაო | 12 | 4 | 5 | 3 | 19-15 | 17 |
| 8. ესპანიოლი | 12 | 5 | 2 | 5 | 9-13 | 17 |
| 9. ატლეტიკო | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 10. ვალეკანო | 12 | 4 | 4 | 4 | 14-13 | 16 |
| 11. ოსასუნა | 12 | 3 | 6 | 3 | 14-24 | 15 |
| 12. ვილიარეალი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-17 | 14 |
| 13. ბეტისი | 12 | 4 | 1 | 7 | 10-16 | 13 |
| 14. სპორტინგი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-17 | 12 |
| 15. ხეტაფე | 12 | 2 | 4 | 6 | 13-19 | 10 |
| 16. მალიორკა | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 17. სარაგოსა | 12 | 2 | 4 | 6 | 12-26 | 10 |
| 18. გრანადა | 11 | 2 | 3 | 6 | 4-12 | 9 |
| 19. სოსიედადი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-18 | 9 |
| 20. რასინგი | 12 | 1 | 6 | 5 | 8-18 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - გონსალო იგუაინი (რეალი); 8 - რობერტო სოლდადო (ვალენსია).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფრანგული ამბები



რაიმონ დომენეკი საყვარელ პროფესიას უბრუნდება

# სკანდალისტის დაბრუნება

## რუდი გარსია სადღაც გარბის

"ლილის" მთავარმა მწვრთნელმა **რუდი გარსიამ** განაცხადა, რომ მისთვის მეტისმეტი პატივია ფიფას მიერ წლის საუკეთესო ათ მწვრთნელს შორის დასახელება. შეგახსენებთ, რომ 47 წლის სპეციალისტმა ჩრდილოფრანგული კლუბი საფრანგეთის ჩემპიონი არსებობის ისტორიაში სულ რაღაც მესამედ გახადა, თანაც 57-წლიანი პაუზის შემდეგ. "*ჩემთვის ეს ძალიან მოულოდნელი იყო*, - განუცხადა გარსიამ "პარიზიენს". – *უსაშველოდ ამაყი ვარ, რომ ასეთ აღიარებული მწვრთნელებში მოვხვდი. ჩემი ეს მიღწევა უამრავი ადამიანის შრომის ნაყოფია. ამჟამად "ლილი" როგორც ორგანიზაცია, ნამდვილად ყველაზე გამართულია საფრანგეთში. იმედი მაქვს, შევძლებთ და ევროპაშიც შევწვდებით გარკვეულ მიღწევებს. ვაცნობიერებ, რომ ჩემს კარიერაში ოდესმე შეიძლება ყველაფერი თვალის დახამხამებაში შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ყველაფერი მშვიდად არის. კარიერის განვითარების შემდგომ ნაბიჯებზე ჯერ არ მიფიქრია. არ გამოვრიცხავ, ოდესმე ჩემი თავი სადმე უცხო ქვეყანაში გამოვცადო*". რუდი გარსია "ლილში" 2008 წლიდან მუშაობს. როგორც ფეხბურთელი კი "ძალლების" ღირსებას 1983/88 წლებში იცავდა.

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რაიმონ დომენეკი** სამწვრთნელო კარიერის განახლებას აპირებს. მისი თქმით, სულერთია, მას კლუბში დაუძახებენ, თუ ნაკრებში. 59 წლის სპეციალისტმა ამის შესახებ ფრანგულ ტელევიზიებთან ინტერვიუს დროს ილაპარაკა. "*მე ყოველთვის მსურდა და ახლაც მინდა მწვრთნელად მუშაობა. ვფიქრობ, კარგი გადაწყვეტილება მივიღე, როცა აქტიური კარიერის განახლება გადავწყვიტე. სიამოვნებით ვიმუშავებდი ვინმე ახალგაზრდა, პერსპექტიულ მწვრთნელთან ერთად,*" – განაცხადა დომენეკმა.

ახლა კი მარსელის "ოლიმპიკის" სატრანსფერო გეგმებზე ვილაპარაკოთ: **დიდიე დეშამის** გუნდს პორტუგალიური "აკადემიკიდან" ივუარელი მცველის, 19 წლის **იბრაჰიმ სისოკოს** შეძენა სურს. პროვანსელთა სკაუტები ფეხბურთელის თამაშს უკვე 4-5 თვეა, აკვირდებიან და მისი პროფესიული ზრდის ტემპებით კმაყოფილები არიან. სისოკოს ყიდვა დეშამს ნამდვილად არ გაუჭირდება, რადგან თინეიჯერ აფრიკელს კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად ნახევარი მილიონი ევრო უწერია.

"მარსელს" ბუნდესლიგური კლუბებიდან **პიერ-ანდრე ჟინიაკის** იჯარის თაობაზე ორი წინადადება აქვს. გერმანული ვებგვერდების მტკიცებით 25 წლის თავდამსხმელით "კიოლნი" და "ვოლფსბურგი" არიან დაინტერესებულნი.

**ლევან ბიბილაშვილი**

რასიზმი

# ბეშიქთაში უარყოფს

"ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს მისი გულშემატკივრების მხრიდან "გალათასარაის" 28 წლის კოტდივუარელი მარჯვენა მცველის **ემანუელ ებუეს** რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფის ფაქტს. ყოფილი არსენალელი გარდა ლანძღვა-გინებისა მეტოქის ფანებმა ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაც მოაქციეს, მიზანმიმართულად ესროდნენ ბოთლებსა და სანთებელებს. "*გულშემატკივართა საქციელს ვერ მოვიწონებთ, მაგრამ მას რასისტული საფუძველი ნამდვილად არ ჰქონია. ყვირილი და ლანძღვა იმ თურქი ფეხბურთელების მისამართითაც ისმოდა, რომლებიც ევრო 2012-ის მიღმა დარჩნენ. ებუეს ჩვენმა გულშემატკივრებმა მხოლოდ ერთ მომენტში შეუტიეს, როცა ის აშკარად მსაჯის დასანახად სიმულანტობდა. დარწმუნებთ, "ბეშიქთაშის" ფანები შავკანიანი ფეხბურთელების მიმართ ყოველთვის ლოიალურად იყვნენ განწყობილები,*" – განუცხადა ჟურნალისტებს კლუბის წარმომადგენელმა **მეტე დურენმა**. შეგახსენებთ, რომ ებუე "გალათასარაიში" 2011 წლის აგვისტოში "არსენალიდან" გადავიდა.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. ოთხშაბათის მატჩების წინ

# კარგი ფეხბურთი სან სიროზე

## მილანი და ბარსა მერვედფინალში არიან, მაგრამ ჯგუფში პირველობა ჯერ კიდევ სასწორზე დევს

### E ჯგუფი

### ლევერკუზენი-ჩელსი

ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი „ლევერკუზენისთვის“ და გერმანელები ჯგუფის ფავორიტთან საშინაო მატჩს ერთობ თავდაჯერებულებიც ხვდებიან. „ბაიერის“ მთავარმა მწვრთნელმა **რობინ დუტმა** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჩვენ არაფერს ვითვლით და მოვლენების განვითარების შესაძლო ვარიანტებზე არც გვიფიქრია, უბრალოდ, ამ თამაშის მოგება გვინდა და ვიცით, რომ ეს ძალიან გვჭირდებაო. მართალია, გერმანელებს ნაგების ან (მით უმეტეს) ფრის შემთხვევაშიც შერჩებათ ჯგუფიდან გასვლის შანსი, მაგრამ სამაგიეროდ, ბოლო ტურში მათი ბედი მათსავე ხელში აღარ იქნება. სწორედ ამიტომ, „ლევერკუზენი“ დღეს მედგრად იბრძოლებს და „ჩელსის“ დამარცხებას შეეცდება. თუ „ფარმაცევტები“ ამას მოახერხებენ, მერვედფინალში თამაშს ფაქტობრივად გაინაღდებენ კიდეც, ბოლო ტურისთვის კი „ჩელსის“ თავსატეხი გაუჩნდება.

ზუსტად ისე, როგორც გასულ პარასკევს, ბუნდესლიგის კალენდარულ მატჩში (2:0 კაიზერსლაუტერნთან), „ლევერკუზენის“ ძირითად შემადგენლობაში კვლავ ვიხილავთ **მიხაელ ბალაკს** და რაც მთავარია, ისევ გამთამაშებლის პოზიციაზე – 35 წლის ნახევარმცველი ძალიან კარგ ფორმაშია და ყოფილი გუნდის (ჩელსის ღირსებას 2006-დან 2010 წლამდე იცავდა) წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადაა. „ფარმაცევტებს“ **ანდრე შიურლე** გამოუჯანმრთელდათ (გრიპი ჰქონდა).

„ლევერკუზენისგან“ განსხვავებით, „ჩელსი“ ამ უქმეებზე დამარცხდა (1:2 საკუთარ მოედანზე, „ლივერპულთან“), რის შემდეგაც **ანდრე ვილაშ-ბოაშის** გუნდი ინგლისის ჩემპიონატში მანჩესტერელ ლიდერებს უკვე გვარიანად ჩამორჩება. „ლივერპულთან“ წაგების შემდეგ დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ **რომან აბრამოვიჩი** ვილაშ-ბოაშს გაათავისუფლებდა, მაგრამ კლუბმა ეს ჭორები უარყო. თუმცა ლონდონელები იმ ფაქტს ვერსად გაექცევიან, რომ ზაფხულში დანიშნული სპეციალისტი წნეხის ქვეშაა. საინტერესო ის არის, რომ „ჩელსის“ მერვედფინალის საგზურის გასანაღდებლად დღეს, შესაძლოა, ფრეც ეყოს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – კასტრო, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი, კადლეცი – ლ. ბენდერი, რაინარტცი – სემი, ბალაკი, შიურლე – კისლინგი.

**ჩელსი (4-1-4-1):** ჩეხი – ივანოვიჩი, ალექსი, ტერი, ე. კოული – მიკელი – სტარიჯი, რამირესი, ლემპარდი, მატა – ტორესი.

**არბიტრი:** ვიქტორ კაშაი (უნგრეთი)

### ვალენსია-გენკი

ჯგუფის პარალელურ მატჩში „ვალენსია“ „გენკს“ მასპინძლობს. ბელგიის ჩემპიონს განვლილ 4 ტურში არც ერთი თამაში არ მოუგია, აუტსაიდერია და მხოლოდ მესამე ადგილზე თუ იოცნებებს – „გენკს“ ამ მიზნის მისაღწევადაც „ვალენსიას“ დამარცხება სჭირდება, რაც ბელგიელებს ძალიან გაუჭირდებათ. მართალია, „ვალენსიელებმა“ ამ უქმეებზე „რეალთან“ წააგეს, მაგრამ მხოლოდ 2:3 და დაადასტურეს, რომ ძალიან კარგ ფორმაში არიან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **უნაი ემერის** გუნდისთვის ეს პრიმერადივიზიონში მხოლოდ მეორე წაგება იყო და „ვალენსია“ მეორე ადგილზეა. მოკლედ, მატჩის ფავორიტი „ვალენსიაა“ და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ „ღამურებს“ სამი ქულა სჭირდებათ.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვალენსია (4-2-3-1):** ალვეში – მიგელი, რაში, რუისი, ალბა – ალბელდა, ტ. კოშტა – ფეგოული, ხონასი, მათიუ – სოლდადო.

**გენკი (4-4-2):** კოტელესი – ნგონგჩა, ვანდენ ბორე, ნადსონი, პუდილი – ბაფელი, დე ბრუინი, ჰილანდი – ვოსენი, ბარდა.

**არბიტრი:** ტონი შაპრონი (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-2 | 8 |
| 2. ლევერკუზენი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 3. ვალენსია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| 4. გენკი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-8 | 2 |

### F ჯგუფი

### არსენალი-ბორუსია (დ)



რობერტ ლევანდოვსკის დორტმუნდს პერ მერტეზაკერის არსენალთან მხოლოდ გამარჯვება სჭირდება

მორჩა, გერმანიის ჩემპიონისთვის ლონდონური მატჩი მერვედფინალში გასვლის შანსის შენარჩუნების უკანასკნელი შანსია და თანაც, დორტმუნდის „ბორუსიას“ ამისათვის ქულაც კი არ ეყოფა – **იურგენ კლოპის** გუნდმა ლონდონში აუცილებლად უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მერვედფინალზე ოცნებას დაემშვიდობება. დორტმუნდელები ბუნდესლიგაში ისევ მოწოდების სიმაღლეზე დგანან – შაბათს „ბაიერნს“ მიუნხენში 1:0 მოუგეს და ლიდერ რეკორდმაისტერს ახლა მხოლოდ 2 ქულითღა ჩამორჩებიან. აი, ჩემპიონთა ლიგაში კი ცუდად აქვთ საქმე...

კლოპი „ემირეითს სთედიუმზეც“ ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს, რაც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დაადასტურა: *„ჩვენ ვიცით, რომ ამ მატჩს მხოლოდ იდეალური დისციპლინა და კარგი დაცვა თუ მოგვაგებინებს,“* - თქვა 44 წლის იურგენმა. „ბაიერნთან“ გამარჯვებამ „ბორუსიას“ თავდაჯერება გაუორმაგა და თანაც, კლოპი მოედანზე ფაქტობრივად საუკეთესო შემადგენლობას გაიყვანს – „ბორუსიას“ მხოლოდ **ნევენ სუბოტიჩი** აკლია, რომელსაც **ფელიპე სანტანას** სახით, დაცვის ცენტრში იდეალური შემცვლელი ჰყავს.

აღსანიშნავია, რომ ეს სეზონი „არსენალმაც“ „დორტმუნდის“ დარად, არასახარბიელოდ დაიწყო, თუმცა მერე **არსენ ვენგერის** გუნდიც გამოსწორდა. ახლა კი, „მეთოფეებს“ ბოლო რვიდან შვიდი ოფიციალური თამაში აქვთ მოგებული.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი (4-1-4-1):** შჩესნი – კოშელნი, მერტეზაკერი, ვერმაელენი, ანდრე სანტოსი – სონგი – უოლკოტი, რემსი, არტეტა, ჟერვინიო – ვან პერსი.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, კელი – გიოტცე, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერე (ბელგია)

### მარსელი-ოლიმპიაკოსი

მეორე შეხვედრაში „მარსელი“ „ოლიმპიაკოსს“ მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში, ფრანგული კლუბი მერვედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს. მეტიც, თუ „დორტმუნდმა“ ლონდონში ვერ მოიგო, სამი ქულის მოპოვების შემთხვევაში მარსელელები პლეი ოფის საგზურს ოფიციალურად გაინაღდებენ. თუმცა ბერძნული კლუბი არ ნებდება და მესამე ადგილისთვის იბრძვის. ამისათვის „ოლიმპიაკოსს“ დღეს მხოლოდ სამი ქულა დააკმაყოფილებს. ასე რომ, „მარსელს“ იოლი გასეირნება არ ელის.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა – ასპილიკუეტა, დიავარა, ნ'კულუ, მორელი – ლუჩო გონსალესი, დიარა, შეირუ – აიუ, რემი, ვალბუენა.

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** კოსტანცო – ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, მელბერგი, ჰოლებასი – ფეისა, მოდესტე – ფუსტერი, ფეტფაციდისი, მირალასი – ჯებური.

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 2. მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| 3. ბორუსია (დ) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |

### G ჯგუფი

### ზენიტი-აპოელ

G ჯგუფის პირველი თამაში 21 საათზე დაიწყება – მეორე ადგილზე მყოფი „ზენიტი“ მოულოდნელ ლიდერ აპოელ-ს მასპინძლობს. ნიქოზიელებს იდეალური შანსი აქვთ, გახდნენ პირველი კვიპროსელები, ვინც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს გადალახავს, მაგრამ მერვედფინალის საგზურის ამავე ტურში განაღდებისთვის მათ მხოლოდ მოგება სჭირდებათ, რაც ძნელი იქნება, რადგან იმავე მიზნის მისაღწევად „ზენიტიც“ იბრძვის. რუსული კლუბის თავკაცმა **ლუჩანო სპალეტიმ** კარგად იცის, რომ აპოელ-ის დამარცხება ძნელია, მაგრამ ამბობს, ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთო. სპალეტის **დანი** უბრუნდება, **კერჟაკოვი** კი ისევ აკლია. აპოელ-ის დამრიგებელი **ივან იოვანოვიჩი** კი **აილტონის** ტრავმაზე ნერვიულობს. თუ 27 წლის ფორვარდი ვერ ითამაშებს, მას **სოლარი** შეცვლის.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ზენიტი (4-4-2):** მალაფეევი – ანიუკოვი, ალვეში, ლომბერტსი, კრიშიტო – ბისტროვი, დენისოვი, ზირიანოვი, შიროკოვი – ბუხაროვი, დანი.

**აპოელ (4-2-2-2):** პარდო – პურსაიტიდისი, ჟორჟე, იაშიჩი, ოლივეირა – მორაისი, პინტუ – მარსინიო, მანდუკა – ტრიკოვსკი, აილტონი (ან სოლარი).

**არბიტრი:** ფელიქს ბრიხი (გერმანია)

### შახტარი-პორტუ

მეორე მატჩში, ერთ დროს ჯგუფის მთავარ ფავორიტად შერაცხილი „პორტუ“ ჯგუფიდან გასვლის უკანასკნელი შანსისთვის იბრძვის - პორტუგალიური კლუბი რთული ამოცანის წინაშე დგას, რადგან დონეცკში უნდა მოიგოს. „შახტარი“ კი მხოლოდ მესამე ადგილისთვის იბრძვის და ამისათვის „პორტუს“ დამარცხება სჭირდება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**შახტარი (4-2-3-1):** რიბკა – კობინი, რაკიცკი, კუჩერი, რაცი – ჰიუბშმანი, მხითარიანი – დუგლას კოშტა, ტეიშეირა, ვილიანი – ლუის ადრიანო.

**პორტუ (4-3-3):** ელტონი – ფუსილე, ოტამენდი, როლანდო, ა. პერეირა – ფერნანდო, მოუტინიო, ბელუში – ჰალკი, კლებერი, როდრიგესი.

**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოელ | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 2. ზენიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 3. პორტუ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 4. შახტარი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |

### H ჯგუფი

### მილანი-ბარსელონა

ამ ჯგუფში კი თითქმის ყველაფერი გარკვეულია – მერვედფინალში „ბარსელონა“ და „მილანი“ ითამაშებენ, ევროპის ლიგის საგზურისთვის კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, ბატე და „ვიქტორია“ იბრძვიან. თუმცა „მილანისა“ და „ბარსელონას“ ულამაზეს მატჩს ინტრიგა მაინც არ აკლია, რადგან „ბარსას“ პირველი ადგილი ჯერაც არ გაუნაღდებია. საკმარისია, „როსონერიმ“ კატალონიური გრანდი დაამარცხოს, რომ პირველ ადგილზე გადაინაცვლებს.

აღსანიშნავია, რომ „ბარსას“ დღეს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდება. **ადრიანო** ტრავმირებულია, **დანი ალვეში** კი დისკვალიფიცირებული. მილანში არც **ანდრეს ინიესტა** გაემგზავრა – 27 წლის ნახევარმცველი დაშავებულია და მართალია, თამაში შეეძლო, მაგრამ **პეპ გვარდიოლამ** მისი დასვენება გადაწყვიტა, რადგან რისკს მოერიდა.

მილანელთაგან, ამ დუელს განსაკუთრებით **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ელოდა - შვედი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უაღრესად მოტივირებულია. პირველ მატჩში (2:2) მან ტრავმის გამო ვერ ისაპარეზა, ახლა კი ჯანმრთელადაა და აუცილებლად ითამაშებს. **მასიმილიანო ალეგრის ალეშანდრე პატო** გამოუჯანმრთელდა. ბრაზილიელმა შაბათს „ფიორენტინასთან“ (0:0) ითამაშა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ასე რომ, „ბარსასთან“ უპრინციპულესი დუელისთვის ისიც სრულ მზადყოფნაშია.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ანტონინი – ნოჩერინო, ვან ბომელი, აკვილანი – კ.-პ. ბოატენგი – იბრაჰიმოვიჩი, პატო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – პუიოლი, პიკე, მასკერანო, აბიდალი – ბუსკეტსი, ჩავი, ფაბრეგასი – სანჩესი, ვილია, მესი.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

### ბატე-ვიქტორია

ბორისოვშიც პრინციპული მატჩია, რადგან ბატე მესამე ადგილისთვის ბრძოლაში მთავარ მეტოქეს, პლზენის „ვიქტორიას“ მასპინძლობს. მატი პირველი პაექრობა ფრედ დამთავრდა, ბატეს კი იმის გამო აქვს ერთქულიანი უპირატესობა, რომ წინა ტურში „მილანთან“ ფრეს გამოჰკრა ხელი.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბატე (4-4-1-1):** გუტორი – ბაგა, შიმიჩი, იურევიჩი, ბორდაჩევი – ვოლოდკო, ბრეშანი, კონტსევოი, ოლეხნოვიჩი – რუდიკი – კეუმანი.

**ვიქტორია (4-5-1):** პავლიკი – ლიმბერსკი, ბისტრონი, სევინსკი, რაიტორალი – პეტრჟელა, ირჟაჩეკი, ჰორვატი, კოლარი, პილარი – ბაკოსი.

**არბიტრი:** კევინ ბლომი (ჰოლანდია)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 13-2 | 10 |
| 2. მილანი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 3. ბატე | 4 | 0 | 2 | 2 | 2-9 | 2 |
| 4. ვიქტორია | 4 | 0 | 1 | 3 | 1-9 | 1 |

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# მანჩესტერელთა შავი დღე



ედინსონ კავანი

გუშინ ჩემპიონთა ლიგის ოთხ ჯგუფში (A-დან D-მდე) ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა. ყველაფერი თოვლიან მოსკოვში დაიწყო, სადაც ცსკა-მ გაირთულა მდგომარეობა - „ლილთან" 0:2 წააგო. ბრწყინვალედ ითამაშეს ფრანგული გუნდის შუახაზის ლიდერებმა, ინგლისელმა **ჯო კოულმა** და ბელგიელმა **ედენ აზარმა**. 49-ე წუთზე კოულის ჩამოწოდებულის გამოტანა **ვასილი ბერეზუცკის** სურდა, მაგრამ საკუთარ კარში კი ჩაჭრა. 64-ე წუთზე აზარის პასით კოული გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ინგლისელის დარტყმული ძელმა აისხლიტა, დამატებაზე კი **მუსა სოვმა** იყოჩაღა, ფრანგებმა პლეი ოფში გასვლის შანსები შეინარჩუნეს.

მილანის „ინტერმა" თურქეთში 1:1 ითამაშა და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. **კლაუდიო რანიერის** გუნდს ტრაბზონში კარგად არ უთამაშია, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში იყო შედეგი - **რიკი ალვარესმა** „ნერაძურის" ფორმით პირველი გოლი გაიტანა. მართალია, „ტრაბზონმა" **ჰალილ ალთინთოპის** წყალობით გაათანაბრა, მაგრამ მეტი მასპინძლებმა ვერ შეძლეს. „ინტერი" პლეი ოფში განთესილია.

„მანჩესტერმა" 2:2 ითამაშა „ბენფიკასთან" და პლეი ოფის საკითხი ბოლო ტურისთვის გადადო. არადა, მეორე ტაიმში ინგლისელთა უპირატესობა აშკარა იყო. **ფრანკ რიბერის** დუბლით და **მარიო გომესის** გოლით, „ბაიერნმა" 3:1 მოუგო მაჩანჩალა „ვილიარეალს" და პირველი ადგილი დაიბევა.

„რეალმა" მეორე შემადგენლობითაც შავი დღე აყარა ზაგრების „დინამოს", მხოლოდ ბოლოსკენ მოეშვა და 2 გოლი გაატანინა - 6:2. „რეალი" კვლავ უდანაკარგოა და ბუნებრივია, მის პირველ ადგილს არაფერი ემუქრება. ნეაპოლში ძალზე დაძაბულ შეხვედრაში **ედინსონ კავანიმ** გაიბრწყინა, „ნაპოლიმ" კი „მანჩესტერ სიტის" სძლია - 2:1. „სტად ჟერლანზე" კი „ლიონმა" და „აიაქსმა" 0:0 ითამაშეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## A ჯგუფი

### ბაიერნი–ვილიარეალი 3:1

**ბაიერნი:** ნოიერი – რაფინია, ბოატენგი, ვან ბუიტენი, ლამი – ტიმოშჩუკი, ალაბა, რობენი (ოლიჩი 75), კროოსი, რიბერი (პრანიჩი 81) – გომესი (მიულერი 72)

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი – გ. მარიო, მ. მუსაკიო, მარჩენა, ხ. ორიოლი – ბორხა ვალერო (ხოსელუ 78), ბრუნო სორიანო, ჰ. პერესი, დე გუზმანი (ვაკასო 63), ანხელ ლოპესი (მ. სენა 70) – მ. რუბენი

**გოლები:** 1:0 რიბერი (3) 2:0 გომესი (24) 2:1 დე გუზმანი (50), 3:1 რიბერი (69),

**გაფრთხილება:** - ბორხა ვალერო, მ. რუბენი, ანხელი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 16-7 (6-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 66 000

### ნაპოლი–მანჩესტერ სიტი 2:1

**ნაპოლი:** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა, დოსენა (ფ. ფერნანდესი 88) – მაჯო, ინლერი (ჯემაილი 59), გარგანო – ჰამშიკი, ლავეცი – კავანი (პანდევი 83)

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი – საბალეტა (ე. ჯონსონი 85), კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი – იაია ტურე, დ. სილვა, ნ. დე იონგი (ნასრი 70), მილნერი – ბალოტელი, ჯეკო (აგუერო 81)

**გოლები:** 1:0 კავანი (17) 1:1 ბალოტელი (33) 2:1 კავანი (49)

**გაფრთხილება:** – ბალოტელი, დ. სილვა, კომპანი, კოლაროვი

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12-15 (6-7); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| 2. ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 4. ვილიარეალი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-12 | 0 |

## B ჯგუფი

### ცსკა–ლილი 0:2

**ცსკა (4-4-2):** გაბულოვი - ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი (74. შჩენიკოვი), ა. ბერეზუცკი - სეკუ, მამაევი, ალდონინი, ცაუნია (87. სერდეროვი) - ძაგოევი, ვაგნერ ლავი.

**ლილი (4-3-2-1):** ლანდრო - დებუში, როზენალი, ჩეჯუ, ბერია - მავუბა, ბალმონი, გიე - ჯ. კოული (87. პაიე), აზარი (90. დე მელო) - სოვი (74. იელენი).

**გოლები:** 0:1 ვ. ბერეზუცკი (49 ს.კ.), 0:2 სოვი (64)

**გაფრთხილება:** ნაბაბკინი - როზენალი, დებუში

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 11-17; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 6-10 (3-6); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 19 100

### ტრაბზონი–ინტერი 1:1

**ტრაბზონი (4-3-2-1):** ზენგინი - ჩელუსტკა, გლოვაცკი, კაჩარი, ჩეხი - ბალჩი (64. მიერჟეივსკი), ზოკორა, კოლმანი - ალთინთოპი, ალანზინიო (85. ენრიკე) - ილმაზი.

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - ნაგატომო, სამუელი, ლუსიო, კივუ - ძანეტი, კამბიასო, ალვარესი (89. ფარაონი) - სტანკოვიჩი - სარატე (69. კოუტინიო), მილიტო (85. პაცინი).

**გოლები:** 0:1 ალვარესი (18), 1:1 ალთინთოპი (23)

**გაფრთხილება:** გლოვაცკი, ბალჩი - კივუ, ალვარესი

**კუთხური:** 6-9; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-6 (7-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 24 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 2. ტრაბზონი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-5 | 6 |
| 3. ცსკა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-7 | 5 |
| 4. ლილი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 5 |

## C ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი–ბენფიკა 2:2

**მანჩესტერი (4-4-2):** დე ხეა – ფაბიო (82. სმოლინგი), ჯონსი, ფერდინანდი, ევრა – ვალენსია (80. ერნანდესი), ქერიკი, ფლეტჩერი, ნანი – იანგი, ბერბატოვი

**ბენფიკა (4-3-3):** არტური – პერეირა, ლუისაო (58. ვიტორი), გარაი, ემერსონი – ვისტელი, გარსია, სესარი – აიმარი (83. ამორიმი), როდრიგო, გაიტანი (68. მატიჩი)

**გოლები:** 0:1 ჯონსი (3 ს.კ.), 1:1 ბერბატოვი (30), 2:1 ფლეტჩერი (59), 2:2 აიმარი (61)

**გაფრთხილება:** ფლეტჩერი, ქერიკი – გარაი, არტური, პერეირა

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 18-22; **თამაშგარე:** 9-0; **კარში დარტყმა:** 10-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 70 000

### ოცელული–ბაზელი 2:3

**ოცელული (4-3-3):** გრაჰოვაცი – რაპა, სარგი, პერენდია, სალაგეანუ – ნეგაუ (67. ვიგლიანტი. 83. პარაშივი), ფილიპი, გიურგიუ – ანტალი, პენა, იორგა (66. ილიე)

**ბაზელი (4-4-2):** სომერი - შტაინჰოფერი, აბრაჰამი, დრაგოვიჩი, პარკი – შაქირი (83. ზოუა დაოგარი), ჰაგელი (44. კაბრალი), ქსაკა, ფ. ფრეი – ა. ფრეი (74. ჩიპერფილდი), შტრელერი

**გოლები:** 0:1 ფ. ფრეი (10), 0:2 ა. ფრეი (14), 0:3 შტრელერი (37), 1:3 გიურგიუ (75), 2:3 ანტალი (86)

**გაფრთხილება:** სალაგეანუ – დრაგოვიჩი, კაბრალი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 18-25; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 8-9 (4-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 6 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 5 | 2 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 3. ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 4. ოცელული | 5 | 0 | 0 | 5 | 3-10 | 0 |

## D ჯგუფი

### ლიონი–აიაქსი 0:0

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო - გურკუფი, კალსტრიომი - ბრიანი (85. ლაკაზე), ლოპესი (73. ედერსონი), ბაშტოში - გომისი.

**აიაქსი (4-1-2-3):** ვერმეერი - ვან დერ ვილი (66. ბლინდი), ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ანიტა - ენო - ერიქსენი, იანსენი - სულეიმანი, ლოდეირო (88. ლუკოკი), ებესილიო (85. კლაასენი).

**გაფრთხილება:** რევეიერი, კრისი - ენო, იანსენი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 14-11 (7-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 38 500

### რეალი–დინამო 6:2

**რეალი (4-4-2):** ადანი - ლ. დიარა, ვარანი, სერხიო რამოსი (46. ალბიოლი), კოენტრაო - შაჰინი, ჩაბი ალონსო (46. გრანერო), იოზილი (46. ალთინთოპი), კალეხონი - ბენზემა, იგუაინი.

**დინამო (4-1-4-1):** კელავა - კუფრე, ვიდა (63. ადემი), ტონელი, იბანიესი - კალელიო - კოვაჩიჩი, ბადელი, სამირი (82. ტომეჩაკი), ალისპაჰიჩი (46. ლეკო) - ბეჩირაი.

**გოლები:** 1:0 ბენზემა (2), 2:0 კალეხონი (7), 3:0 იგუაინი (9), 4:0 იოზილი (20), 5:0 კალეხონი (49), 6:0 ბენზემა (66), 6:1 ბეჩირაი (81), 6:2 ტომეჩაკი (90)

**გაფრთხილება:** ბეჩირაი, კუფრე

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 17-4 (13-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-2 | 15 |
| 2. აიაქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 3. ლიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-6 | 5 |
| 4. დინამო (ზ) | 5 | 0 | 0 | 5 | 2-15 | 0 |



შეტევაზეა ფრანკ რიბერი




ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა

მედცენტრი Shine

გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?



გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე

მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში

დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა

ჩაწერა წინასწარ

ტელ: 2 230 330

მის: კეკელიძის 14

www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვილდოსნობა. ნაკრები

# ისრები მოზიდულია, ვნახოთ, რა იქნება...

## კორეული შეკრება დაიწყო

როგორც იქნა, სავიზო პრობლემების მოგვარების გაჭიანურებული პროცესი საბოლოოდ დამთავრდა და საქართველოს მშვილდოსან ქალთა ეროვნული ნაკრები უკვე კორეაშია, სადაც სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გაივლის. შეგახსენებთ, რომ ანალოგიურ ვარჯიშებზე აზიაში ხანგრძლივად წასვლა კორეელ მწვრთნელ **ან ჰიუნ სანის** იდეა იყო, რომელსაც იქ 2-თვიანი შეკრების გავლა სურდა, თუმცა მდგომარეობის ანალიზის შემდეგ ობიექტურ მიზეზთა გამო საბოლოოდ 1-თვიან ვარიანტზე შეჩერდნენ. მწვრთნელმა თავის სამშობლოში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე** და **ნათია ცინცაძე** წაიყვანა. ჩვენები ამ ერთი თვის განმავლობაში სეულში მშვილდოსნობის აკადემიაში ივარჯიშებენ. სწორედ იქ, სადაც თავის დროზე თავად ან ჰიუნ სანი ვარჯიშობდა და სწავლობდა. ცხადია, პრაქტიკულ თუ თეორიულ მეცადინეობებში მისი მაშინდელი მასწავლებლებიც მიიღებენ მონაწილეობას. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ან ჰიუნ სანი შორეულ კორეაში საქართველოს დიდ პოპულარიზაციას უწევს. მას თვითონაც იმდენად მოეწონა აქაურობა, მალევე მოინათლა მართლმადიდებლურად და ჯერ კიდევ ნაკრების მწვრთნელად ოფიციალურად დამტკიცებამდე შობა-ახალი წლის სადღესასწაულო დღეების გასატარებლად სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, ხოლო აქაურებმა სიმარტივისთვის ქართული სახელიც შეარქვეს - არჩი. ახლა სანი ნაცნობებში საქართველოს უნებლიე რეკლამას კორეაშიც უწევს და უახლოეს პერიოდში რამდენიმე მათგანის თბილისში ჩამოყვანასაც აპირებს. მათ შორის, იმ მწვრთნელთაგან ზოგიერთისაც, რომლებიც ახლანდელ შეკრებაზე ჩვენს გუნდთან იმუშავებენ.

როგორც საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **არტემ სანიშვილმა** გვითხრა, მასპინძლებმა ჩვენს გუნდს სეულში ჩინებული სავარჯიშო თუ საცხოვრებელი პირობები დაახვედრეს. მან ნარიმანიძის სიტყვებიც გადმოგვცა, ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთ კარგ პირობებში თუ შეიძლებოდა შეკრების გავლაო. კორეელმა მწვრთნელმა თავისი ხელი უკვე დაატყო ნაკრებს, რის დასტურადაც ესებუას მსოფლიოს ვერცხლიც გამოდგება. იმედია, ახლანდელი შეკრება გუნდს კიდევ უფრო წაადგება და ქართულ მშვილდოსნობაში დაწყებული სასიკეთო ძვრები მომავალშიც გაგრძელდა.

### სამაგალითო და რეფორმატორი

ამ რეფორმებმა მედალი ხომ მოგვიტანა და თურმე უცხოეთში სხვა მხრივაც გაგვითქვა სახელი. სანიშვილი ახალი დაბრუნებულია ლოზანადან, სადაც მსოფლიო ფედერაციის (ახლა ასე ეწოდება მშვილდოსნობის საერთაშორისო გაერთიანებას) მიერ გამართულ სემინარში მონაწილეობდა, რომლის მთავარი მიმართულებაც ეროვნული ფედერაციების მარკეტინგი, მენეჯმენტი, პიარი და მსგავსი საკითხები იყო. სანიშვილის თქმით, იქ თურმე არაერთხელ ახსენეს ჩვენი ფედერაცია, როგორც სამაგალითო და რეფორმატორი. სანიშვილმა ისიც გვითხრა, რომ თურმე მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებს მასთან კორეელი მწვრთნელის შესახებაც უსაუბრიათ და გაკვირვება გამოუთქვამთ, კორეული ფედერაცია ამ დონის სპეციალისტის სხვაგან გაშვებას როგორ დათანხმდაო და მათი ეს ნაბიჯი გაუმართლებლად შეუფასებიათ. კორეელების პრობლემა მათვე იდარდონ, ჩვენ კი კარგი მწვრთნელი მივიღეთ, ოღონდ კიდევ უფრო უკეთესი იქნება და საქმესაც ათმაგად წაადგება, სანის ჩამოყვანას ადგილობრივ მწვრთნელთა გადამზადებასაც თუ მიაბამენ. მით უფრო, რომ ის აქ ჩამოსვლამდე მსოფლიო ფედერაციაში სწორედ მწვრთნელთა ინსტრუქტორად მუშაობდა და სხვადასხვა ქვეყანაში მეცადინეობებსაც ატარებდა. საქართველოშიც ამგვარად მოხდა - საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ადგილობრივი ფედერაციის მიმართვის საფუძველზე მსოფლიო ფედერაციას სთხოვა, ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის ფარგლებში მწვრთნელთა სემინარების ჩასატარებლად წამყვანი სპეციალისტი გამოეგზავნათ, მათ კი კორეელის კანდიდატურა შემოგვთავაზეს. მოგვიანებით, როცა ამ მწვრთნელის საქართველოს ნაკრების თავკაცად დანიშვნა გადაწყდა, ეროვნულ გუნდთან მუშაობის ნაცვლად ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მწვრთნელთა გადამზადებაც კვლავ დაუსახეს და ამ მხრივ მუშაობა მართლაც მიდის, მაგრამ ცოტა ტემპი თუ დაჩქარდება და მასშტაბებიც გაიზრდება, 2-3 წელიწადში მშვილდოსნობის გეოგრაფია კიდევ უფრო გაიზრდება, ანუ კონკურენციაც მოიმატებს.

### ლობჟანიძე და პრობლემები

ამასობაში ისევ ღიად რჩება უკრაინიდან **იულია ლობჟანიძის** გადმოყვანის საკითხი. უფრო სწორად, წინასწარი შეთანხმება მიღწეულია და განგაშის საფუძველი არ გვაქვს, საქმეს მხოლოდ ოფიციალური დასრულებაღა აკლია. შეგახსენებთ საქმის ვითარებას - გადმოსვლა ლობჟანიძის სურვილიცაა, მაგრამ მსოფლიო ფედერაციის დებულებიდან გამომდინარე, ოლიმპიადაში მის მონაწილეობას საფრთხე შეექმნა. გარკვეული შიში თუ გაუგებრობაც ამან გააჩინა, რადგან ლობჟანიძის უმთავრესი მიზანიც თამაშებში გამოსვლაა და თუ ამის საშუალება არ მიეცემა, ვაითუ, თავი შეიკავოსო. ამ დებულებით, სპორტსმენი სალიცენზიო


იულია ლობჟანიძე

ტურნირებში ახალი ქვეყნის სახელით მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუ ერთი წელი მაინც არ არის იმ ქვეყნის მოქალაქე. ჩვენს შემთხვევაში ლობჟანიძე სწორედ ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს - დღესვე რომც მისცენ ქართული პასპორტი, ვადებში მაინც ვერაფრით ჩაეტევა. ამის მიუხედავად, ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი მაინც რჩება - საამისოდ ჩვენებმა გაისად სალიცენზიო ტურნირებში უნდა იყოჩაღონ. მშვილდოსნობაში საგზურს ფედერაცია იღებს და მონაწილის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ აქ საქმეში კორეელი მწვრთნელის პირადი პოზიცია ჩაერია - მას არ სურს იმ მონაწილის შეცვლა, ვინც ლიცენზიას მოიპოვებს. ამაში მართლაც არის ლოგიკა - დაგვეთანხმებით, ასეთი სპორტსმენის ოლიმპიადაზე წაუყვანელობა მორალურად მართლაც არ იქნება გამართლებული. მოკლედ, რომ არა მსოფლიო ფედერაციის დებულება მოქალაქეობის შეცვლის შესახებ, ლობჟანიძეს ჩვენს ნაკრებში გამოსვლაში ხელს ვერაფერი შეუშლიდა, რადგან უკრაინის სახელით ორი წელიწადი უცხოეთში არ უასპარეზია. ამდენად, სოკ-ის რეგლამენტი მოქალაქეობის შეცვლის შესახებ ვერ დააბრკოლებდა, თუმცა ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ახლა მთავარია, თვითონ ლობჟანიძემ არ იუაროს საქართველოში გადმოსვლა, თუმცა ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი - ოლიმპიადაზე თუ ვერ გამოვა, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე მონაწილეობას მაინც შეძლებს, რისი პერსპექტივაც უკრაინის ძლიერ გუნდში ნაკლებად უჩანს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს გუნდში ეს ლამის გარანტირებული ექნება. არადა, მისი დონის მშვილდოსანი ნამდვილად გაგვაძლიერებს. ის ახლა მშობლიურ ლვოვშია, სადაც დაიბადა და დღემდე ცნობილ მწვრთნელ **მონიკა სიმუნსთან** ვარჯიშობს. ჩვენების შეთავაზება კვლავაც ძალაშია და წასვლის წინ საწინააღდეგო არც მას უთქვამს რამე. ლობჟანიძეს ნააახალწლევს დაუკავშირდებიან და ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვევა. აქვე გეტყვით, მსოფლიო ფედერაციის ის წესი რომ არა, ან ჰიუნ სანი კორეაში შეკრებაზე მის წაყვანასაც აპირებდა.

**ირაკლი თავაძე**

ათლეტიზმი




# სამი მედლით და ორი რეკორდით

ორმოცი ქვეყნის 600-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა ძალისმიერ სამჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც ლატვიის დედაქალაქმა უმასპინძლა. მედლებისთვის 5 ქართველი ათლეტიც იბრძოდა. განსაკუთრებით **გიორგი მიქელაშვილმა** იყოჩაღა - 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს და ევროპის რეკორდები მან 7,5 კილოგრამით გააუმჯობესა, რითაც ოქროს მედალიც დაიმსახურა.

110 კილოგრამ წონით კატეგორიაში 251 კილოგრამით მსოფლიოს რეკორდი დაამყარა **გია ბეროშვილმა,** მაგრამ ეს შედეგი მას მხოლოდ მეორე ადგილისთვის ეყო. 75 კილოში **გიორგი ბეჟაშვილმა** 185-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და მასაც ვერცხლის მედალი ხვდა. 110 კილოში მეოთხე იყო **ივანე კობიაშვილი.**

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ათი საგზურისთვის იბრძვიან

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 68 ქალ-ვაჟი ჩაება. ისინი 10 საგზურისთვის იბრძვიან. უკვე გათამაშდა ექვსი ტური. გუშინ შალვა ნადირაშვილმა გიორგი მუჯირიშვილი დაამარცხა, ლევან ბახტაძემ ლიკა კობეშავიძეს, სერგო ცომაიამ კი გუგა ბურდულს სძლია. დაზავდნენ: ნიკა ღვამბერია - გიორგი სიბაშვილი, დიმიტრი კვარაცხელია - ანა კუჭავა, ოთარ მანგიაშვილი - ნათია ჯალაბაძე.

ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით კუჭავა, ბახტაძე, სიბაშვილი, ნადირაშვილი და ღვამბერია მეწინავეობენ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჭოლაძე, ცომაია და კვარაცხელია ჩამორჩებიან. მე-7 ტურში ისინი ასე დაწყვილდნენ: კუჭავა - ღვამბერია, ბახტაძე - ნადირაშვილი, სიბაშვილი - ჭოლაძე, ცომაია - კვარაცხელია.

**ვაჟა დანელია**

# ისევ საუნინა ლიდერობს

ხორვატიაში დასასრულს უახლოვდება სენიორ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. გუშინ მე-7 ტურში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის - **ნონა გაფრინდაშვილისა** (იგი სენიორებში 2009 წლის მსოფლიოს და 2010 წლის ევროპის ჩემპიონიცაა) და **ნინო მელაშვილის** დაპირისპირება 38-ე სვლაზე ზავით დამთავრდა. ყაიმზე შეთანხმდნენ რიმა ბილუნოვა-ელენა ფატალიბეკოვა, ლუდმილა საუნინა-გალინა სტრუტინსკაია, სვეტლანა მედნიკოვა-ვალენტინა კოზლოვსკაია, **თამარ ხმიადაშვილმა** კი შავი ფიგურებით 61-ე სვლაზე აჯობა ნატალია ტიტორენკოს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 5,5 ქულით ისევ საუნინა მეწინავეობს ერთპიროვნულად. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს გაფრინდაშვილმა, მელაშვილმა, ხმიადაშვილმა და სტრუტინსკაიამ.

დღეს ბოლოსწინა ტურში ითამაშებენ: მელაშვილი-საუნინა,ხმიადაშვილი-გაფრინდაშვილი, სტრუტინსკაია-ფატალიბეკოვა, კოზლოვსკაია-ბილუნოვა, ტიპსეი-მედნიკოვა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ორნი, ანთალიაში

თურქულ ანთალიაში 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევას 18 წლის **ალექსანდრე მეტრეველი** ცდიდა. პირველ წრეში მან შვეიცარიელი **ტიმ სრკალა** დაამარცხა - 6:3, 6:2, მეორეში კი პირველ ნომრად განთესილ ავსტრიელ **მაქსიმილიან ნოიხრისტთან** (828) წააგო - 1:6, 3:6.

ანთალიაში ქალთა ტურნირიც მიმდინარეობს, სადაც საკვალიფიკაციო ბადეში **თამარ ჭალაგანიძე** თამაშობდა. 16 წლის ქართველმა რუს **ალიონა კარპოვასთან** წააგო - 6:3, 3:6, 2:6. ამის მიუხედავად, ძირითადი ბადის ბატალიები უქართველოდ არ ჩაივლის: **ეკა გორგოძე** (403) მე-3 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში მასპინძელ **სულთან გონენს** ხვდება, **ანი გოგვაძის** (1012) მეტოქე კი უკრაინელი **ვიქტორია ლუშკოვაა.** აღსანიშნავია, რომ გოგვაძე და ლუშკოვა 15-15 წლისანი არიან.



ანი გოგვაძე

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მკითხველი - გაზეთი

# ქართული სპორტი და ჩვენ!

მთავრდება 2011 წლის სპორტული სეზონი. როგორი იყო იგი ქართული სპორტისთვის, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ უფრო შთამბეჭდავი წარმატებებისა და მსოფლიო სპორტულ სამყაროში უფრო ღრმა ინტეგრაციისთვის?

მოდით, ერთად შევაფასოთ 2011 წლის მონაგარი და ასევე ერთად დავსახოთ პერსპექტივა. ქვემოთ შემოთავაზებულ სამ შეკითხვაზე თქვენი აზრი შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში გამოქვეყნებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით. მაშ ასე:

**1. როგორ აფასებთ ქართული სპორტის 2011 წლის შედეგებს. რამ გაგახარათ და რამ დაგწყვიტათ გული?**

**2. სადაც არ გაგვიმართლა, თქვენი აზრით, რა არის მთავარი მიზეზი?**

**3. რა ღონისძიებების გატარება მოგვიტანს უფრო საამაყო შედეგებს 2012 წელს. მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარდა მაღალი სპორტული მიღწევებისა, ქვეყანაში უნდა შემუშავდეს სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის პროგრამა - „სპორტი ყველასთვის“ და როგორ გესახებათ „ლელოს“ როლი ქართული სპორტის წინსვლაში...**

გმადლობთ ყურადღებისთვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# შიდაქართლელთა ახალი რაუნდი

**ახლახან ქუთაისში კრივში ახალგაზრდებს შორის გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე შიდა ქართლის გუნდმა, რომელიც გორელი და ვარიანელი მოკრივეებით იყო დაკომპლექტებული, ერთი ოქროს, ორი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს შედეგი ცოტა ხნის წინათ აქაურთათვის განსაკუთრებულ მიღწევად არ ჩაითვლებოდა, თუმცა რამდენიმეწლიანი ჩავარდნის შემდეგ იგი კვლავ მნიშვნელოვანი გახდა. მით უფრო, რომ ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი ამყარებდა ხოლმე ქართლელებზე იმედებს საერთაშორისო არენაზე და კრიზისის დაძლევა მათთვისაც სასიხარულო იქნება.**



ავთანდილ შოშიაშვილი

- წლეულს კრივის სკოლაში ჩემი დაბრუნების შემდეგ ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველობაზეც კარგად ვიასპარეზეთ. ალეკო ლურსმანაშვილმა, ჯერ ჭაბუკებში, მერე კი ახალგაზრდებშიც პირველი ადგილი მოიპოვა და ევროპის ჩემპიონატზეც არ გამოსულა ურიგოდ - მე-5 ადგილი დაიკავა და სულ ცოტა დააკლდა მედლამდე. წლეულსვე გორის უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც ძირითადად ჩვენი მოკრივეებით დაკომპლექტდა, საუკეთესო იყო უნივერსიადაზეც. ახალგაზრდული ჩემპიონატის შედეგების შემდეგ კი შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი საქმე უკეთესობისკენ მიდის - გვითხრა კრივის სკოლის დირექტორმა ავთანდილ შოშიაშვილმა.

**- მიგაჩნიათ, რომ ქუთაისში გუნდმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა?**

- შვიდი მედალი ურიგო არაა (სამი ვარიანელი, ოთხი კი გორელი მოკრივეების მონაგარია), მაგრამ მეტის პოტენციალი გვქონდა. პირველ ყოვლისა, გულდასაწყვეტი იყო გორელი დავით გოგიაშვილის (91 კგ) მარცხი ფინალში ფოთელ დათა კვირკველიასთან. ფინალში გასვლას იმსახურებდა ვარიანელი გიორგი ურჯუმელაშვილიც (81), რომელსაც, სამწუხაროდ, მესამე ადგილით დაკმაყოფილებამ მოუწია.

**- რატომ გადაწყვიტეთ გორისა და ვარიანის ერთობლივი გუნდით გამოსვლა?**

- სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. მიგვაჩნია, რომ ასე ახლოს მდებარე ორი ძლიერი სკოლა რომ არ თანამშრომლობდეს, დიდი შეცდომა იქნებოდა. ახალგაზრდული ჩემპიონატის წინაც ერთობლივი მოსამზადებელი გეგმა შევადგინეთ და პერიოდულად, ხან გორში და ხანაც ვარიანში ერთობლივ წვრთნებს ვატარებდით. შედეგით კმაყოფილი ვართ და ახლა, დიდებში მოახლოებულ საქართველოს ჩემპიონატზე შარშანდელზე უკეთ გამოსვლას ვგეგმავთ.

**- დიდებში ბოლოს 2006 წელს გქონდათ მნიშვნელოვანი წარმატება...**

- დიახ, მაშინ ყველა წონითი კატეგორიის თითქმის ნახევარში ოქროს მედლები ჩვენ გვერგო. მის შემდეგ თაობათა ცვლის პროცესმა მომდევნო წლებში ჩავარდნა მოგვიტანა. მერე მეც დროებით ჩამომაცილეს კრივის სკოლას. სამწუხაროა, რომ მაშინდელი ჩემპიონები ბექა ლობჟანიძე, ვასილ ყაზიშვილი, ვახტანგ წინამძღვრიშვილი და ვარიანელი რეზო ქარელიშვილი ახლა აღარ არიან აქტიურ სპორტში. თუმცა ამ უკანასკნელს, როგორც გავიგეთ, ვარჯიში დაუწყია და თუ სათანადო ფორმას აღიდგენს, იმედია, საქართველოს ჩემპიონატზე დაგვეხმარება. ამასთან, გაახალგაზრდავებულ გუნდს ლიდერი სჭირდება და ქარელიშვილი საამისოდაც ძალიან გამოგვადგება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი

# ისევ ყველამ წააგო

გუშინ წლის უკანასკნელ ბაშოს პირველად ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მონღოლის მთავარმა კონკურენტმა **კოტოშოგიკუმ** პირველი მარცხი იწვნია, მას ესტონელმა ჩემპიონმა **ბარუტომ** აჯობა.

ქართველებზე კარგი სიახლე, სამწუხაროდ, არა გვაქვს - გუშინ **გაგამარუმაც (თეიმურაზ ჯუღელი)** გაიფორმა უარყოფითი ბალანსი (რაც დაქვეითების აუცილებელი წინაპირობაა). 199-კილოიანი ქართველი ელიტის უმძიმესი ფალავანია, ხოლო ოძეკი **ჰარუმაფუჯი** 128 კილოგრამს იწონის და ის ელიტაში ყველაზე მსუბუქია. მიუხედავად ამისა, ზედმეტმა 71-მა კილოგრამმა ვერ უშველა ქართველს - „მზიურმა ცხენმა" ცაციათი შეძლო გაგამარუს მავაშის მოგდება, შემდეგ მონღოლი თავით ჩააფრინდა ქართველს მკერდში და ამხელა კაცი დააბზრიალა და თიხნარზე დააგდო. თქმა არ უნდა, ჰარუმაფუჯი უმაღლესი კლასის სუმოისტია, მაგრამ, როცა ამხელა უპირატესობა გაქვს წონაში, ასე ბავშვურად არ უნდა აგებდე. გაგამარუს 2-8 ბალანსი აქვს და დღეს ბარუტოს ხვდება.

**ტოჩინოშინის (ლევან გორგაძე)** მეტოქე **კისენოსატო** ოძეკის ტიტულისთვის იბრძვის. იაპონელს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ქართველის კიდემდე მისაყვანად, შემდეგ ლევანის შიტატენაგე მოიგერია და ის დოჰიოდან გაიყვანა. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე კომუსუბი **ტოიონოშიმაა**. **კოკაიმ (ლევან ცაგურია) იოშიკაძესთან** წააგო და დღეს **ამინიშიკის** ხვდება.



### X დღე

ჰაკუჰო-კაკურიუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-**გაგამარუ** (უვატედაშინაგე), კოტოოშუ-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ბარუტო-კოტოშოგიკუ (იორიკირი), კისენოსატო-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), კიოკუტენჰო-ჰომაშო (სუკუინაგე), ტოიონოშიმა-არანი (იორიკირი), გოეიდო-ოკინოუმი (უვატენაგე), ვაკაკოიუ-ტოჩიოძანი (ოშიდაში), იოშიკაძე-**კოკაი** (ჰატაკიკომი), კიტატაიკი-ტაკაიასუ (იორიკირი), მიაბიამა-კაისეი (ჰატაკიკომი), ფუჯიაზუმა-ამინიშიკი (იორიკირი), მიოგირიუ-ტაკეკაძე (ოშიდაში), დაიდო-ტოკიტენკუ (უვატენაგე), ტოიოჰიბიკი-აოიამა (ოშიდაში), საგაცუკასა-კიმურაიამა (ოშიდაში), ასასეკირიუ-ცურუგიდაკე (ჰატაკიკომი), შოჰოზანი-ტამავაში (უვატედაშინაგე), სადანოფუჯი-ტაკარაფუჯი (ოშიდაში).

### სატურნირო მდგომარეობა

**10-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**9-1**: კოტოშოგიკუ (ოძეკი).
**8-2**: კისენოსატო (სეკივაკე), ვაკაკოიუ (მაეგაშირა 9)...
**2-8**: **გაგამარუ** (მ 2)... **1-9**: **ტოჩინოშინი** (მ 2), **კოკაი** (მ 10).

### XI დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტოოშუ-ჰომაშო, კოტოშოგიკუ-ტოჩინოვაკა, ბარუტო-**გაგამარუ**, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, ტოიონოშიმა-**ტოჩინოშინი**, ოკინოუმი-არანი, გოეიდო-ტოჩიოძანი, კიოკუტენჰო-კიტატაიკი, იოშიკაძე-ფუჯიაზუმა, **კოკაი**-ამინიშიკი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

შეხვედრა წარსულთან

# ამბავი კოსტა მაისურაძისა...

*„ჩვენ ვართ მოსული ათასი წლების ლურჯი ნისლიდან"*
*მურმან ლებანიძე*



კოსტა მაისურაძე

ზემო რაჭველებს მუდამ ჰყავდათ თავისი საყვარელი გმირები განთქმულნი ძლიერი ჯან-ღონით.

1900-იანი წლების რაჭამ, სადაც ჩემი წინაპრების აკვანი დაირწა, ვაჟკაცებით განთქმული არაერთი სახელოვანი გვარის წარმომადგენელთა ისტორია შემოუნახა დღევანდელობას. ლეგენდარულ ფალავან კოსტა მაისურაძეზე ალბათ გაგიგონიათ ხალხის მიერ შეთხზული ექსპრომტი: „გოლიათი ცერაძე, რათ გამოდი ვერაზე, ხომ იცოდი წაგაქცევდა **კოსტა მაისურაძე**". ან კიდევ, „ეს რკინა ისე დავგრიხე, ვით მოზელილი თასმაო, მაყურებელი გაგიჟდა, უყურე კოსტამ რა ჰქნაო". ლექს-ექსპრომტები ცნობილმა მწვრთნელმა და ვეტერანმა მოჭიდავემ ალექსანდრე (შურა) მაისურაძემ გადმომცა. მასივე მცირე მონათხრობი კოსტასა და ალდგომელაზე შევეცადე ჩემეული ინტერპრეტაციით გადმომეცა მკითხველთათვის.

კოსტა მაისურაძე გახლდათ ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავის, შოთა დაუშვილის ბაბუა. დაიბადა 1881 წელს სოფ ცხმორში, ზემო რაჭის ერთ-ერთ უმშვენიერეს სოფელში. ჰყავდა უფროსი ძმა ნესტორი, ისიც მაისურაძეების გვარის დამახასიათებელი ფიზიკური ძალით გამორჩეული, დინჯი და დარბაისელი კაცი. ნესტორს 15-16 წლის კოსტა თბილისში ჩამოუყვანია და ორთაჭალაში ნახევრადმიწურ პურის საცხობში დამხმარე ბიჭად აუყვანია, თანაც პურის ცხობას ასწავლიდნენ (ამ ხელობას რაჭველებს ვერავინ წაართმევს). ერთ მშვენიერ დღეს სალამოს ყველა შინ წასულა. მარტოხელა კოსტას დილისთვის ცომი მოუზელია და წასასვლელად გამზადებულს შეუმჩნევია, რომ ადრე წასულებს ბოქლომის გასაღები თან გაჰყოლიათ. არ დაბნეულა კოსტა, იქვე ყოფილა დიდი ზომის ქვა, დაახლოებით 200 კგ-მდე. ამ ჩვენს პატარა გოლიათს ეს ქვა ზედ საცხობის კარზე მიუყუდებია. დილით, უთენიაზე მოსულან მცხობელები. გულზე შემოყრიათ, ეს რა გვიყო ჩვენმა კოსტამო, ძვრა ვერ უქნიათ ქვისთვის. ამასობაში კოსტაც გამოჩენილა, გასცინებია და ქვა ერთი ამოსუნთქვით თავის ადგილას გადაუგორებია. ყოჩაღ, ჩვენო კოსტაო, შეუქიათ რაჭველ მცხობელებს. ამ საინტერესო ეპიზოდს შესწრებია თავადი ვინმე წერეთელი, გაოცებულა მისი ძალ-ღონით, არავისთვის უკითხავს, ისე წაუყვანია ცირკში, სადაც ფალავნები ერკინებოდნენ ერთმანეთს. ასე დაიწყო მისი კარიერა ჭიდაობაში. მანამდე კიდევ მისი ჭაბუკობის პერიოდის ერთი-ორი ეპიზოდი მინდა შევახსენო მკითხველს კოსტაზე და მის თანასოფლელ ცხმორელებზე.




ერთ დღეს შქმერელების სალოცავ ეკლესიას ერთდროულად ჯვარდასაწერ წყვილთა სამი მაყრიონი მიადგა მეზობელი სოფლებიდან. შქმერიდან მიჰყავდათ სამი საპატარძლო იქვე ახლომდებარე სოფლებში შხივანაში, ბარსა და ცხმორში.

ეკლესიის მღვდელმსახური გუმანით მიმხვდარა, რომ ესენი ყველა მოითხოვდნენ პირველს დაეწერათ ჯვარი. ცილობაში ჩხუბი რომ არ ამტყდარიყო, მღვდელი არ დაბნეულა და უცბათ გამოუნახავს გამოსავალი. ეკლესიის ეზოში თურმე დიდი საჯილდაო ქვა დებულა და მიუმართავს მაყრიონებისთვის, რომლის წარმომადგენელიც მეტ სიმაღლეზე ასწევს ქვას, ჯვარს პირველად იმ საქორწილო წყვილს დავწეროო. ცხმორელ კოსტას ყველა იცნობდა. რომ დაინახეს, დამარცხებას შეეგუენ. ვილაცამ კოსტაზე არანაკლები ჯანის „ჯორა" ალექსი შეიცნო მეზობელი სოფლიდან. მათ ორივეს არც ალექსი კობერიძე ჩამოუვარდებოდა. ეს მეპურე კაცი, ქალაქ გროზნოში მუშაობდა თურმე და ქორწილში მაყრად ყოფილა მიწვეული. წარმოიდგენთ ალბათ მათ ჭიდილს საჯილდაო ქვის აწევაში. ეკლესიის ეზო გადავსებულა მაყრიონით, მღვდელმსახურს არბიტრობა თავად უკისრია. მართლაც სასწაული სცენა იქნებოდა. ღმერთმა გვიმრავლოს ქორწილებიც და ღონიერებიც გონიერებთან ერთად.

სცენა ასე განვითარებულა: ჯერ შხივანელთა მაყრიონის წარმომადგენელს მოუსინჯავს ძალა. საჯილდაო ქვა მუხლამდე აუწია, შემდეგ ბარელთა მაყრიონის წარმომადგენელს უფრო მაღლა აუწევია, აჯობა შხივანელებს. ჯერი მიდგა ცხმორელებზე. აქ უკვე სასწაული ხდება: კოსტამ „ჯორა"



ალექსი ეკლესიის გალავანს იქით გადაიყვანა და უთხრა, მკლავები გალავანზე გადმოეყო (გალავანი საკმაოდ მაღალი კაცის მკერდის სიმაღლისა ყოფილა). ასწია თურმე კოსტამ საჯილდაო ქვა, მკერდზე მიიკრა და მკერდის ერთი დარტყმით მკლავებზე გადაუგდო „ჯორა" ალექსას, თან მიუძახებია, დაიჭირეო. „ჯორასაც" არ დაუხანებია, გადმოუგორებია უკან კოსტასთვის და თან დაუყოლებია, - დაიბრუნეო. მკითხველს შევახსენებ, რომ საჯილდაო ქვა სულ ცოტა 100-120 კგ-ს იწონის და მოყვანილობით უხერხული ასაწევია. ასე რომ, შემჭიდებელი მოხერხებულიც უნდა იყოს და ძალიან ღონიერიც. ამაშია მთელი მულამი. შემდეგ, კოსტას მიუწოდებია ქვა „ჯორა" ალექსასთვის და უთქვამს: შემოატარე ეკლესიის გალავანსა და თავის ადგილზე დადეო. ასე მშვიდობიანად დაამთავრებულა „სამთა მაყრიონთა" ჯვრისწერა. მღვდელმსახურიც გახარებული ყოფილა.

უძლიერესი ფალავანს კოსტა მაისურაძეს დამარცხებული ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი უძლიერესი მოჭიდავეები გრიგორი კამიშჩევი, კლემენს ფოლი, პავლო ზამარუიკო, ალექსი მარაგილოვი, კაზბეკ გარა - ჩრდილო ოსეთის ცნობილი გოლიათი, იოსებ ცერაძე თედო ლილოელი და მრავალი სხვა. იწვევდნენ მსოფლიო ტურნეებზე, მიღებული ჰქონდა ირანის, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის და კიდევ მრავალი ქვეყნის სამახსოვრო ჯილდოები და ქამრები.

ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. 1918 წელს ბაქოში ტიფით გარდაცვლილა. ბაქოშივე დაუკრძალავთ, მაგრამ, სად და რა ადგილზე, დღემდე უცნობია.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ახლაც შემონახულია მაჯის სიმსხო გრძივი ზოდი, კოსტას მიერ თავისივე მაჯაზე დახვეული...

**გურამ სალარაძე**
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი
თავისუფალ ჭიდაობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



გილერმო დიასი

## ევროჩელენჯი. III ტური

# არმია-ლეიდენი 74:71

22:15, 14:22, 18:21, 20:13

8000 მაყურებელი

*მსაჯები:* გეორგიოს ტანაზისი (საბერძნეთი), დრაგან კრალი (ბოსნია), მარეკ მალიშევსკი (პოლონეთი)

| არმია | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.მეზ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეზ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. რიჩარდსონი | 36 | 6/15 | 40.0 | 5/11 | 45.5 | 1/4 | 25.0 | 2/3 | 66.7 | 1 | 6 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 5 | 15 |
| 5. ბაბიაშვილი | 8 | 0/4 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 |
| 6. ა. ბოისა | 11 | 2/2 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 5 |
| *10. ტომასი | 37 | 6/10 | 60.0 | 5/9 | 55.6 | 1/1 | 100.0 | 1/2 | 50.0 | 3 | 10 | 13 | 2 | 1 | 0 | 2 | 1 | 1 | 14 |
| *14. შელბომი | 32 | 2/2 | 100.0 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 5/6 | 83.3 | 3 | 6 | 9 | 1 | 0 | 0 | 2 | 4 | 4 | 9 |
| *15. დიასი | 37 | 4/8 | 50.0 | 2/5 | 40.0 | 2/3 | 66.7 | 0/2 | 0.0 | 2 | 1 | 3 | 6 | 2 | 2 | 0 | 3 | 2 | 10 |
| 21. საყვარელიძე | 3 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |
| *24. გეინსი | 36 | 4/14 | 28.6 | 2/7 | 28.6 | 2/7 | 28.6 | 10/12 | 83.3 | 1 | 3 | 4 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 10 | 20 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 1 | 3 | | 3 | | | 0 | | |
| ჯამი | | 24/56 | 42.9 | 17/38 | 44.7 | 7/18 | 38.9 | 19/27 | 70.4 | 12 | 30 | 42 | 15 | 10 | 4 | 4 | 18 | 24 | 74 |

| ლეიდენი | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.მეზ. | მ.საკ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეზ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. სლაგთერი | 27 | 4/7 | 57.1 | 2/2 | 100.0 | 2/5 | 40.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 1 | 0 | 5 | 1 | 12 |
| *5. ჯეძსონი | 32 | 3/6 | 50.0 | 3/4 | 75.0 | 0/2 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 8 |
| *6. დე იონგი | 24 | 2/5 | 40.0 | 2/5 | 40.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0 | 6 | 6 | 2 | 1 | 2 | 0 | 2 | 1 | 4 |
| *7. კენედი | 26 | 6/17 | 35.3 | 6/15 | 40.0 | 0/2 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 4 | 0 | 1 | 3 | 2 | 13 |
| 9. სასი | 6 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 |
| *10. ბოძსლი | 30 | 5/8 | 62.5 | 4/7 | 57.1 | 1/1 | 100.0 | 0/1 | 0.0 | 2 | 8 | 10 | 3 | 1 | 0 | 0 | 3 | 4 | 11 |
| 11. ხერაზი | 10 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 |
| 13. ჰოლიმანი | 14 | 3/7 | 42.9 | 3/7 | 42.9 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 3 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 | 2 | 4 | 6 |
| 14. კანინგემი | 25 | 4/8 | 50.0 | 1/2 | 50.0 | 3/6 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 3 | 4 | 0 | 2 | 0 | 1 | 3 | 2 | 11 |
| *15. შევარდი | 6 | 1/4 | 25.0 | 1/3 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 3 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 1 | 1 | | 0 | | | 0 | | |
| ჯამი | | 29/64 | 45.3 | 22/46 | 47.8 | 7/18 | 38.9 | 6/10 | 60.0 | 8 | 25 | 33 | 14 | 9 | 4 | 4 | 24 | 18 | 71 |



სანდიატა გეინსი

# გემრიელად...

## ჰოლანდიელებმა არმია უკვე ფავორიტად შერაცხეს

საქართველოს ნაკრებს დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წამებზე რომ მოუგია, **ზაზა ფაჩულიას** უთქვამს - ასეთ გამარჯვებას სულ სხვა გემო აქვს, განსხვავებულ ემოციებს იწვევსო.

გუშინ, სპორტის სასახლეში შეკრებილმა 8 ათასმა და ტელეეკრანებთან მჯდომმა კიდევ უამრავმა ქართველმა ქომაგმა ბევრი ინერვიულა, ხუმრობა ხომ არ არის, ჰოლანდიური „ლეიდენი“ არმიელებს გასაქანს არ აძლევდა და ბოლო წამებამდე დაჭრილი ხარივით იბრძოდა, წაგებას არ ეგუებოდა. თუმცა მაინც დაეცა და „გემრიელი“ გამარჯვებით გულშემატკივარმა ძალიან გაიხარა. ასეთი სანახაობის შემდეგ იოლი წარმოსადგენია, რამდენი დაუკარგავს კალათბურთის ქომაგს - 21-ე საუკუნეში, 2011 წლამდე ევროტურნირები ორად ორ ქართულ მოგებას ითვლიდა, ორივე შემთხვევაში აზერბაიჯანულ „ნტდ დევონთან“...

„არმიამ“ კი გერმანულ „გოტინგენს“ ჰოლანდიური „ლეიდენი“ მიაყოლა და მეორე ჯგუფური ეტაპისკენ მეორე ნაბიჯი გადადგა. დარჩენილია სამი მატჩი და ჯგუფიდან გასვლის ფავორიტებს ჯერაც ვერ დავასახელებთ, მაგრამ სამი ტურის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ „არმია“ მომდევნო ეტაპისკენ მიმავალ ბილიკს გეგმაზომიერად მიუყვება.

■ ■ ■

უშუალოდ გუშინდელი მატჩის მსვლელობაზეც ბევრია სალაპარაკო. ჯერ მატჩის ოქმს გადავხედოთ და ჰოლანდიურ-ქართულ რამდენიმე სხვაობას გავუსვათ ხაზი.

6:32 - „ლეიდენის“ სასარგებლოდ. მაინც რაში ჰქონდათ ჰოლანდიელებს ასეთი უპირატესობა? თუ დავფიქრდებით, პასუხის გაცემა რთული არ იქნება: სათადარიგოების მოგროვილ ქულებში. მასპინძელთა მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა** სასტარტო შემადგენლობაში ხუთივე უცხოელი დააყენა. მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო **ანატოლი ბოისა,** რომელმაც ჩვეულად, გულიანად იბრძოლა და 11 წუთში თითო ორქულიანი და სამიანი ასპროცენტიანი სიზუსტით ისროლა. მის 5 ქულას 3 წუთით შესულმა **დავით საყვარელიძემ** ერთიც მიამატა და სულ ეს იყო სათადარიგოების მონაგარი. როცა შვედმა **იოაკიმ შელბომმა** მეოთხე ჯარიმა მიიღო, მის ნაცვლად თამაშში **ზვიად ბაბიაშვილი** (სულ 8 წუთი) ჩაერთო და დაცვაში კარგად დადგა. ქართველთა მწვრთნელი შეცვლებისას მეტად ფრთხილობდა, მით უმეტეს მას მერე, რაც მეორე პერიოდში **უილიამ ტომასის** სათადარიგოთა სკამზე დასმას „ლეიდენის“ 9:0 გაქცევა მოჰყვა და „არმიას“ 10-ქულიანი უპირატესობა -1-ად იქცა (27:28). შემთხვევით, როდი თქვა „ლეიდენის“ თავკაცმა - ტომასი გუნდში ყველაზე სასარგებლოაო. უმთავრესად სწორედ უილიამის (13 მოხსნა) დამსახურებაა ქართველებმა მოხსნებში 42:33 რომ იმარჯვეს.

საინტერესო სანახავი იყო შეცვლების პროცესი: თუ „არმიაში“ მეოთხედში 2-3 შეცვლა ხორციელდებოდა, „ლეიდენში“ კალათბურთელები 10 წუთში 6-7-ჯერ იცვლებოდნენ, მწვრთნელი ხშირად ერთბაშად ორ მოთამაშეს უშვებდა მოედანზე... სწორედ ამან განაპირობა მატჩის დაძაბულობა - ლეიდენის კალათბურთელებს არც ჯარიმის მიღებისა ეშინოდათ (ხუთი ფოლის გამო) და ბოლო წუთებამდე ისეთი ენერგიით თამაშობდნენ, როგორითაც დასაწყისში. ალბათ, ამიტომაც გამოიყენეს გადამწყვეტ მომენტში ორი სამქულიანი და „არმიას“ 3-ზე მეტი სხვაობით გამარჯვება არ დაანებეს.

სადაც მეტოქის მიერ ჩატარებულ ბოლო წუთებზე ვლაპარაკობთ, ჩვენიც უნდა ვთქვათ. მწვრთნელმა კოტე ტულუშმა მესამე პერიოდის ბოლოს გამთამაშებლობა **გილერმო დიასს** დაავალა და ზუსტად 3 წუთით დაასვენა ნიუჯერსელი **სანდიატა გეინსი**, რომლის გამოჩენის შემდეგ, მეოთხე პერიოდში სასწორის პინა მასპინძელთა მხარეს გადაიხარა. სწორედ მაშინ, როცა თამაშის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო, ერთმანეთს დაუპირისპირდა არმიელთა კლასი და გამოცდილება და „ლეიდენის“ ენერგია. საბოლოოდ პირველმა გადაწონა: ჯერ დიასმა ორი ღირებული ჩაჭრით თანაგუნდელებს 4 ქულა ჩააგდებინა. ამას **ჯერემი რიჩარდსონმა** ეფექტური ჩატენვა მიაყოლა და „არმია“ 69:60 დაწინაურდა. სირენამდე ოთხ-ნახევარი წუთით ადრე 9-ქულიანი სხვაობა დიდი უპირატესობაა, მით უმეტეს, როცა გუნდში გამთამაშებლად სანდიატა გეინსია, რომელსაც თამაშის რიტმის კონტროლი არ ეშლება. რიტმის ხსენებაზე: არმიელთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ „ლეიდენმა“ თავისი მთავარი კოზირი, სწრაფი შეტევა სათანადოდ ვერ გამოიყენა. ამ კომპონენტში, მეოთხე პერიოდში მასპინძლებმა ჰოლანდიელებს საგრძნობლად აჯობეს: თუ 30 წუთში პირველი შეტევის შედეგად არმიელებს მხოლოდ 4 ქულა ჰქონდათ ჩაგდებული, ბოლო რაუნდში 9 „სწრაფი“ ქულა მიითვალეს.

■ ■ ■

ნამატჩევს ორივე გუნდის წარმომადგენლებმა ხალხმრავალ ტრიბუნებზე ილაპარაკეს.

კოტე ტულუში („არმიას“ მწვრთნელი):

- მოსალოდნელი შედეგი დაფიქსირდა, რადგან შინ, მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე ვთამაშობდით. ჩვენი ქომაგი ყოველთვის ძალიან გვეხმარება. მოსალოდნელი იყო ისიც, რომ „ლეიდენი“ დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევდა, მებრძოლი გუნდია. ეს წინა ტურში „გოტინგენის“ გერმანიაში ძლევით დაამტკიცა.

გილერმო დიასი („არმიას“ უკანახაზელი):

- საინტერესო თამაში გამოვიდა. შინ ვთამაშობდით და ეს უპირატესობა ტაბლოზე უნდა დაგვეფიქსირებინა. მძიმე ბრძოლის შედეგად მიზანს მივაღწიეთ. ამაზე არ უნდა შევჩერდეთ.

ტონ ვან ჰელფტერენი („ლეიდენის“ მწვრთნელი):

- მეტოქეს კომპლიმენტი ეკუთვნის. მისი თამაში თურქებთანაც ვნახე და გერმანელებთანაც, მაგრამ დღეს მაინც ვერ მოვახერხე „არმიას“ პლუსების შეზღუდვა. ქართულ გუნდს უამრავი იარაღი აღმოაჩნდა, რამაც მათი გამარჯვება განაპირობა. განმეორებითი შეხვედრისთვის განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ, თუმცა დღეს უკვე შემიძლია ვთქვა, რომ „ბეშიქთაშთან“ ერთად „არმია“ ჯგუფის ფავორიტია.

სიმუს ბოძსლი („ლეიდენის“ ფორვარდი):

- დარბაზში საოცარი ატმოსფერო დაგვხვდა. მატჩის შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა სავსე ტრიბუნებმა. „არმია“ მართლაც ძლიერი გუნდია, მაღალი კლასის შემსრულებლებით დაკომპლექტებული.

### B ჯგუფი

ბეშიქთაში-გოტინგენი 105:94

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბეშიქთაში | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. არმია | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. ლეიდენი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. გოტინგენი | 3 | 0 | 3 | 3 |

ვაჟა სიმონიშვილი



ჯერემი რიჩარდსონი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

უილიამ ტომასი




ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება



# მიდი ოლიმპიკის ოსკარი მამუკა გორგოძეს

პარიზში, „ელისეს მინდვრებზე“ მდებარე ყოველდღიური სარაგბო გაზეთის „მიდი ოლიმპიკის“ პავილიონში სეზონის ლაურეატების დაჯილდოება გაიმართა. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** „მიდი ოლიმპიკმა“ საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელ მორაგბედ აღიარა და სპეციალური პრიზი - „ოქროს ოსკარი“ გადასცა.

მამუკას კონკურენტები „კლერმონის“ სამხრეთაფრიკელი მესამეხაზელი **გერხარდ ვოსლოო** და „კასტრის“ ახალზელანდიელი მესამეხაზელი **კრის მასო** იყვნენ. ქართველმა „გულივერმა“ ორივეს დიდი უპირატესობით აჯობა და გამომცემლობის მეპატრონე **ჟან-მიშელ ბაილეტმა** „ოსკარი“ პირადად გადასცა.

საქართველოს ნაკრების ლიდერისთვის ეს კიდევ ერთი აღიარებაა. მისი წლევანდელი მონაგარი ამ ოსკარის გარდა ასეთია: საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელ მორაგბედ დაასახელა ყოველდღიურმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“. ორჯერ (ინგლისისა და რუმნეთის ნაკრებებთან დაპირისპირებაში) დასახელდა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ახალზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე. საგულისხმოა, რომ „ბორჯღალოსნები“ ინგლისის ეროვნულ გუნდთან დამარცხდნენ, თუმცა ამის მუხედავად, გორგოძე მაინც საუკეთესოდ აღიარეს.

მერე ინგლისური „გარდიანის“ ერთ-ერთმა სარაგბო მიმომხილველმა ის მსოფლიოს თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მორაგბედ დაასახელა. სამწუხაროდ, მსოფლიოს თასზე ეს ნომინაცია არ თამაშდება, თორემ ისიც ჩვენი „გულივერას“ ნადავლი გახდებოდა.

სულ ახლახან, ევროთასებზე კი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, „ჰეინეკენის თასის“ გათამაშების პირველ ტურში სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, რაც ზემოჩამოთვლილ მიღწევებზე არანაკლები აღიარებაა.

*„ძალიან გახარებული ვარ. პარიზში გამართული ეს დაჯილდოების ცერემონიალი არასდროს დამავიწყდება. ყველაზე მეტად ის გამიხარდა, რომ ამ უმაღლესი დონის ღონისძიებაში საქართველოს სახელმაც გაიჟღერა. ამიტომ ვიყავი ამაყი. ალალად გეუბნებით, ამას უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვიდრე იმას, რომ ჯილდო პირადად მე გადმომცეს. ყველა ქართველ მორაგბეს ვუსურვებ ამის მიღწევას.*

*მიმაჩნია, რომ რადგან ჩემმა გუნდმა, „მონპელიემ“ წარმატებულად ითამაშა, მეც მაგის გამო გამომარჩიეს. ყველაზე მეტი პრიზიც მონპელიელებმა ავიღეთ“* - გვითხრა მამუკა გორგოძემ, რომელსაც საფრანგეთში დავუკავშირდით.

ფრანგებს შორის საუკეთესოდ „ტულუზის“ გარემარბი **ვინსან კლერი** დაასახელს, მას „ოქროს ოსკარი“ გადაეცა. ვერცხლისა კი „კლერმონის“ მესამეხაზელი **ჟულიენ ბონერს** ერგო, იერარქიაში მესამე **მამუკა გორგოძის** თანაგუნდელი **ფულენსე უოდრაოგო** გახდა.

„მიდი ოლიმპიკმა“ მწვრთნელთა საუკეთესო შტაბად **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეს“ სამეული, **გალტიე-ბეშუ-ბესი** დაასახელა.

ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გაზეთის ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი, „ტულუზის“ მესამეხაზელი **ტიერი დუსოტუარია**. აღსანიშნავია, რომ ვინსან კლერის გარდა, ყველა ნომინანტი მესამეხაზელია.

მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად „მიდი ოლიმპიკმა“ „ოლ ბლექსის“ ყოფილი თავკაცი **გრემ ჰენრი** დაასახელა.

### ოსკარის ლაურეატები

**საუკეთესო უცხოელი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე)

**ოქროს ოსკარი:** ვინსენ კლერი (ტულუზი)

**ვერცხლის ოსკარი:** ჟულიენ ბონერი (კლერმონი)

**ბრინჯაოს ოსკარი:** ფულენსე უოდრაოგი (მონპელიე)

**საუკეთესო შტაბი:** გალტიე-ბეშუ-ბესი (მონპელიე)

**მსოფლიოში საუკეთესო:** ტიერი დუსოტუარი (საფრანგეთი)

**საუკეთესო მწვრთნელი:** გრემ ჰენრი (ახალი ზელანდია)

მსოფლიოს თასის ექო

# პომებს სტიუარტ ლანკასტერი უხელმძღვანელებს

მსოფლიოს თასის მფლობელის, ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** ინგლისის ეროვნული გუნდის გაწვრთნაზე უარი თქვა.

*„ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა არარეალურია. 65 წლის ვარ და ამჟამად ახალ ზელანდიაში ვცხოვრობ. მინდა ევროპაში გადავბარგდე და რომელიმე ევროპული კლუბის მწვრთნელი გავხდე. ნაკრებში მუშაობას აღარ ვაპირებ“* - თქვა გრემ ჰენრიმ.

ამასთან ერთად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგლისის ნაკრებს დროებით ამ ქვეყნის A ნაკრების მწვრთნელი **სტიუარტ ლანკასტერი** უხელმძღვანელებს, მანამ, სანამ ინგლისის რაგბის კავშირი ეროვნული ნაკრების თავკაცის ვინაობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

ლანკასტერი აპირებს მწვრთნელთა შტაბში დატოვოს დაცვის მწვრთნელი **მაიკ ფორდი** და შერკინების მწვრთნელი **გრემ რაუნტრი.** გუნდთან გამოთხოვება მოუწევთ უკანა ხაზის მწვრთნელ **ჯონ ველშს,** ფორვარდების მწვრთნელ **ბრაიან** სმითს და ფეხით თამაშის მწვრთნელ **დეივ ოლრედს.**

იმავდროულად, ინგლისური კლუბის „ნორსჰეპთონის“ მწვრთნელი **ჯიმი მალინდერი** ნაკრების თავკაცობის კანდიდატებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. ის 2006 და 2007 წლებში ინგლისის A ნაკრებს წვრთნიდა და 16 შეხვედრიდან 15 მოიგო.

# სამოას მენეჯერი 100 ლორით დასაჯეს

სამოას ეროვნული ნაკრების მენეჯერი **ტუალა ვაეა** მსოფლიოს თასის გათამაშებაში პროფესიული მოვალეობის ცუდად შესრულების გამო 100 ლორით დასაჯეს, რაც სამოას ეროვნული ვალუტით 2000 ტალას ექვივალენტია.

აღსანიშნავია, რომ საქმეს მსვლელობა სამოელთა კაპიტნის **მაჰონრი შვალგერის** ბრალდების შემდეგ მიეცა. ის ამბობდა, რომ:

*„ტუალა სასტუმროში კვირაობით არ ჩანდა. მოთამაშეები მას არ აფასებდნენ და არასდროს არ მიდიოდნენ მასთან რაიმეს სათხოვნელად. მისი არავის სჯეროდა.*

*როცა მორაგბეები მას სახელით მიმართავდნენ, ტუალა განრისხებული იბღვირებოდა. ის ცუდად ან საერთოდ არ ასრულებდა ხოლმე თავის მოვალეობას“.*

ტუალა ვაეა, ცხადია, ყოველივეს უარყოფს და ადგილობრივ რადიოში განაცხადა:

*„სამოა, თუ მე რაიმე შეცდომა დავუშვი, გთხოვ, მომიტევე“.*

# მალეტი ივნისამდე ისვენებს

იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი, სამხრეთაფრიკელი **ნიკ მალეტი** ჯიუტად უარყოფს ინგლისის ნაკრების გაწვრთნის სურვილს. არადა ინგლისის რაგბის კავშირში კანდიდატთა შორის მასაც მოიხსენებენ. მიაჩნიათ, რომ მას შემდეგ, რაც „პომების“ თავკაცობაზე უარი თქვეს **გრემ ჰენრიმ** და **რიჩარდ კოკერლიმ,** მალეტის შანსი გაიზარდა.

თავად სამხრეთაფრიკელი კი ამჟამად სამშობლოში იმყოფება და ივნისის ბოლომდე მუშაობას არ აპირებს.

*„რომელიმე ნაკრების მწვრთნელობაზე არავისთან მილაპარაკია. საერთოდ, მინდა ცოტა დავისვენო. თვალს მივადევნებ მომავალი წლის ექვსი ერის გათამაშებას და გადაწყვეტილებას, თუ სად განვაგრძო კარიერა, ზაფხულის დასაწყისისთვის მივიღებ.*

*გამორიცხული არ არის საფრანგეთის ჩემპიონატის რომელიმე გუნდთან გავაფორმო კონტრაქტი. შემოთავაზებები აქ, სამხრეთ აფრიკაშიც მაქვს. არსად მეჩქარება. ზაფხულამდე სულს მოვითქვამ და მერე ვნახოთ“,* - თქვა ნიკ მალეტმა.

# ლიონელ ნალე ლივერმონს გამოესარჩლა

საფრანგეთის ნაკრების მეორეხაზელმა **ლიონელ ნალემ** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე **იმანოლ არინორდოკის** მიერ გაკეთებულ განცხადებას, ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე საფრანგეთის ნაკრებში არსებულ მდგომარეობაზე, სულელური უწოდა.

*„მიმაჩნია, რომ არინორდოკს ეს არ უნდა გაეკეთებინა. ამ თემაზე საუბარი საჭირო არ იყო. ის უნდა დავივიწყოთ და გზა განვაგრძოთ.“* - თქვა ლიონელ ნალემ.

შეგახსენებთ, რომ არინორდოკმა, რომელიც „ლე ბლოს“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა განაცხადა, რომ ჯგუფური ტურნირის შემდეგ, ნაკების მთავარ მწვრთნელს, **მარკ ლივერმონს** ყურს აღარავინ უგდებდა და მთელი პასუხისმგებლობა თავად მორაგბეებმა იკისრეს.

დაბრუნება

# სიპრიანი პომებისკენ მიილტვის

ზე რაგბის გუნდის, „მელბურნ რებლზის“ ინგლისელ მგეზავ **დენი სიპრიანის** საშუალება ეძლევა ეროვნულ ნაკრებში დაბრუნდეს. ის „ბარბაროსების“ მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** 26 ნოემბერს, „თვიქნემზე“ ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში სათამაშოდ მიიწვია.

ინგლისის ეროვნულ გუნდში განვითარებულმა მოვლენებმა სიპრიანის მეტი თავდაჯერებულობა და იმედი გაუჩინა, რომ „პომების“ კვართს მომავალშიც არაერთხელ მოირგებს. ის მზად არის ყველაფერი ილონოს, რათა 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ძირითადი მგეზავი იყოს.

შეგახსენებთ, რომ ნაკრებიდან სიპრიანი „პომების“ ან უკვე ყოფილმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** მოკვეთა. რის შემდეგაც გლამურული ცხოვრების მოყვარული დენი შორეულ ავსტრალიაში გადაიხვეწა და იქ ზე რაგბის ახალ გუნდ „მელბურნ რებლზში“ ერთი სეზონი გაატარა. სიპრიანი კონტრაქტით ამ გუნდში კიდევ ერთი სეზონი უნდა დარჩეს. ცხადია, ამ ეტაპზე უცნობია, რას გადაწყვეტს ის, ხელშეკრულებას გაახანგრძლივებს თუ ევროპაში დაბრუნდება.

*„ჩემი მიზანია 2015 წლის მსოფლიოს თასზე ნაკრების ძირითადი მგეზავი ვიყო. როცა ინგლისის ნაკრების თამაშს ვუყურებ, ყოველთვის ამ გუნდში თამაშის სურვილი მიმძაფრდება. ეს ყოველთვის ჩემი ოცნება იყო.*

*მჯერა, რომ შევძლებ ჩემს სარაგბო კარიერაზე გავაკეთო კონცენტრაცია. მოკლევადიან პერსპექტივაში მინდა ახალი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩავატარო და ნაკრებში თამაშის უფლება მოვიპოვო. იმედი მაქვს, „პომების“ მომავალი მწვრთნელები გამონაკლისს დაუშვებენ და იმ მორაგბეებსაც გამოიძახებენ, რომლებიც საზღვარგარეთ თამაშობენ.*

*არასდროს მიმაჩნდა, რომ ჯონსონი პიროვნულად მერჩოდა. აქ ავსტრალიაში ყოფნისას დავრწმუნდი, რომ ყველაფრის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ვეძებო. მე ბევრი შეცდომა დავუშვი და ამიტომაც ვერ მოვხვდი ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე. ამჯერად ვეცდები, შეცდომა გამოვასწორო“,* - თქვა დენი სიპრიანიმ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



msy.gov.ge

კალათბურთი


მარცინ გორტატი

# ნავარო ბარსას ერთგულია

გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე „ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტრაქტი გააგრძელა ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელ **ხუან-კარლოს ნავაროსთან**. ახალი ხელშეკრულება 2015 წლის ბოლომდე იქნება ძალაში.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნათამაშები ერთი სეზონის გარდა, ტიტულოვან მცველს მთელი კარიერა „ბარსელონაში" აქვს გატარებული. ამ გუნდის რიგებში ის ორჯერ გახდა ევროლიგის ჩემპიონი და ექვსჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი. სანაკრებო დონეზე ნავარო ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონია.

უნდა დავამატოთ, რომ ხუან-კარლოსს 14 ქულის დაგროვება დარჩა იმისთვის, რომ ევროლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს.

■ ■ ■

თურქეთის „ბეშიქთაში" აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებისთვის ზრუნვას. მას შემდეგ, რაც ამ კლუბს ტრანსფერზე უარი უთხრა „მინესოტას" მძიმე ფორვარდმა და NBA-ის საუკეთესო მომხსნელმა **კევინ ლავმა**, ახლა „ბეშიქთაშმა" 27 წლის პოლონელი ცენტრი **მარცინ გორტატი** ამოიღო მიზანში.

ამ კალათბურთელმა 2010-11 წლების სეზონში „ფინიქსის" რიგებში 55 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 13,0 ქულა და 9,3 მოხსნა დააგროვა, თუმცა თავის გუნდს პლეი ოფში გასვლაში ვერ დაეხმარა.

■ ■ ■

ისრაელის ჩემპიონატში მოთამაშე „ბნეი ჰაშარონმა" NBA-დან მეორე კალათბურთელი შეიძინა.

**ჯეი ჯეი ჰიქსონთან** წარუმატებელი თანამშრომლობის შემდეგ, კლუბმა 24 წლის **ეკპე უდოსთან** გააფორმა ხელშეკრულება. კონტრაქტი ერთწლიანია, თუმცა კალათბურთელს უფლება აქვს NBA-ში ლოკაუტის დასრულებისთანავე გაემგზავროს ამერიკაში.

უდოს შარშან სადებიუტო სეზონი ჰქონდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. მან 51-ჯერ მოირგო „გოლდენ სტეიტის" მაისურა და საშუალოდ მატჩში 4,1 ქულა, 3,1 მოხსნა და 1,5 დაფარება დააგროვა.

ფორმულა 1


პედრო დე ლა როსა

# ესპანელი ესპანურ გუნდში

გუშინ ფორმულა 1-ში ერთი საინტერესო ტრანსფერის შესახებ გახდა ცნობილი. ესპანელმა **პედრო დე ლა როსამ** აუტსაიდერ გუნდთან - HRT-სთან გააფორმა კონტრაქტი და მომავალ სეზონში რბოლებს საპრიზო პილოტის რანგში დაუბრუნდება.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩემს სპორტულ კარიერაში, რომელზეც ბევრს ვფიქრობდი. მზად ვარ მივიღო ახალი გამოწვევა და ეს ძალიან დიდ მოტივაციას მმატებს.

ამ პროექტში ჩართვას ორი ფაქტორის გამო დავეთანხმე: ბრძოლაში დაბრუნება მინდოდა და თან HRT ესპანური საჯინიბოა, სადაც ძალიან ბევრ თანამშრომელს ვიცნობ.

დღევანდელ შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, ძალიან დაძაბული მუშაობა მომიწევს, მაგრამ მე იმაზე უფრო ვფიქრობ, ორი წლის შემდეგ რა შედეგები გვექნება. ჩემთვის ეს არის უძლიერეს გუნდებში ყოფნისას დაგროვილი გამოცდილების გამოყენების შესანიშნავი შანსი.

ვამაყობ იმით, რომ ესპანეთს საკუთარი გუნდი ჰყავს ფორმულა 1-ში და მე შემიძლია მისი ბოლიდით სტარტზე გასვლა. მინდა მადლობა გადავუხადო HRT-ს ამ ნდობისთვის, ხოლო „მაკლარენის" ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ სხვა გუნდში წასვლის ნება დამრთო. ამ გუნდთან გატარებული რვა სეზონის განმავლობაში გავიზარდე როგორც პილოტი და როგორც ადამიანი. მათ გარეშე მე დღეს აქ არ ვიქნებოდი", - განაცხადა პედრო დე ლა როსამ.

პედრო დე ლა როსას 1999 წელს ჰქონდა დებიუტი, მაგრამ მხოლოდ რვა სეზონში მონაწილეობდა რბოლებში. ამ დროის განმავლობაში მან ხუთი გუნდი გამოიცვალა - „ეროუზი", „იაგუარი", „მაკლარენი", „BMW-ზაუბერი" და „ზაუბერი". ბოლო წლებში პედრო „მაკლარენის" სარეზერვო პილოტი იყო.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ის დაბრუნდა!

ჰოკეის მილიონობით მოყვარული, როგორც იქნა, ელირსა **სიდნი კროსბის** დაბრუნებას. თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „პიტსბურგის" კაპიტანმა ტვინის შერყევა მიიღო. ამ ხნის განმავლობაში იყო მომენტი, როცა ვარსკვლავის კარიერის დასრულებაზეც კი ლაპარაკობდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და სიდი ყინულზე დაბრუნდა.

მისგან ყველა სუსტ სტარტს ელოდა, რადგან გასათვალისწინებელი იყო ამდენი ხანი სათამაშო პრაქტიკის გარეშე ყოფნა და ახალი ტრავმის მიღების შიში. მაგრამ „ნიუ იორკ აილენდერსის" წინააღმდეგ კროსბიმ პირველივე წუთებიდან სწრაფი და უმაღლესი დონის თამაში აჩვენა. მოკლედ, დაბრუნება არა უბრალოდ კარგი, არამედ ბრწყინვალე გამოდგა!

მატჩის დაწყებიდან მხოლოდ ხუთი წუთი იყო გასული და კროსბი უკვე სეზონში სადებიუტო გოლს ზეიმობდა. მან თავის სტილში გაიტანა: შუა ზონაში მიიღო შაიბა, მეტოქის მთელი ზონა გაიარა და ზედა ახლო კუთხეში შეაგდო. ამით კროსბი არ დაკმაყოფილდა და სასტარტო 20-წუთეულის დასრულებამდე კიდევ ერთ გოლში მიიღო მონაწილეობა, როცა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **ბრუქს ორპიკი**. მისი დაბრუნება საბოლოოდ მაშინ შედგა, როცა სიდნის წინააღმდეგ ძალისმიერი ილეთი გამოიყენა **ტრევის ჰამონიკმა**. კროსბი ბარიერს მიეჯახა, მაგრამ მშვიდად წამოდგა და თამაში გააგრძელა.

მეორე პერიოდში კროსბისგან ესტაფეტა **ევგენი მალკინმა** გადაიბარა. თავიდან რუსმა მესამე წუთზე გამოიყენა **ენდრიუ მაკდონალდის** გაძევება, თუმცა ამ გოლშიც მონაწილეობა სიდნიმ მიიღო. მეხუთე წუთზე კი მალკინმა **სტივ სალივანს** გაატანინა და მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო - 4:0.

ამ შეხვედრის ბოლო აკორდი გახდა „პიტსბურგის" მეხუთე შაიბა ბოლო პერიოდის მესამე წუთზე. ეს გოლიც თავის ანგარიშზე კროსბიმ ჩაიწერა: „კუნძულელთა" კარის უკან ბრძოლის შემდეგ სიდი ბარიერის გასწვრივ გასრიალდა, მაგრამ მოულოდნელად მკვეთრად შემობრუნდა და მახვილი კუთხიდან ბექჰენდი შეასრულა. შაიბა მეკარეს მოხვდა და კარში აღმოჩნდა - 5:0! დანარჩენი საქმე კი „პიტსბურგის" მეკარე **მარკ-ანდრე ფლერიმ** გააკეთა, რომელმაც 29 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეორე შათაუტი გაიფორმა. კროსბიმ კი 16 წუთი სათამაშო დროში დუბლი შეასრულა და ორი საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

■ ■ ■

ამ წაგებით „აილენდერსმა" კიდევ უფრო გაიუარესა მდგომარეობა, რადგან „კოლამბუსმა" დამაჯერებლად დაამარცხა „კალგარი" (4:1) და ახლა მხოლოდ ერთ ქულას აგებს ნიუიორკულ კლუბთან. გუნდის ლიდერმა **ჯეფ კარტერმა** ამჯერად დუბლი შეასრულა და ბოლო ორ მატჩში სამი შაიბა ჩაიწერა აქტივში.

პატარა სასწაულები ჩაიდინეს ამ დღეს „ვაშინგტონმა" და „ფლორიდამ". „კეპიტალზი" შინ 0:2-ს აგებდა „ფინიქსთან", მაგრამ თამაშის ბოლომდე შეძლო ჩამორჩენის გაბათილება და 4:3 გამარჯვება. „ფლორიდამ" კი ასეთივე ანგარიშით „ნიუ ჯერსი" დაამარცხა, მაგრამ დედაქალაქური კლუბისგან განსხვავებით, „პანტერებმა" 0:3-დან შემოატრიალეს მატჩის ბედი. გამარჯვებულთა რიგებში უნდა გამოვყოთ **კრის ვერსტიგი**, რომელმაც დუბლი შეასრულა, სულ კი ბოლო ექვს მატჩში 11 ქულა დაუგროვდა.

სტუმრად მატჩები მოიგეს „ბოსტონმა" და „კაროლინამ". ბოსტონელებმა ერთი შაიბა გაიტანეს „მონრეალის" კარში, მაგრამ ესეც საკმარისი გახლდათ ზედიზედ მეცხრე (!) შეხვედრის მოსაგებად. ამის წყალობით სტენლის თასის მფლობელი ჩრდილო-აღმოსავლეთ დივიზიონის ლიდერი გახდა. ამ მატჩში ერთადერთი შაიბა **ენდრიუ ფერენსმა** გაიტანა, **ტიმ ტომასმა** კი 33 დარტყმა მოიგერია და სეზონში მესამე შათაუტი შეასრულა. „კაროლინამ" კი „ფილადელფიას" არ დაუტოვა შანსი - 4:2. სტუმრების მთავარი დამრტყმელი ძალა იყო **ალექსეი პონიკაროვსკი**, რომელმაც ორი შაიბა გაიტანა და ერთი შედეგიანი პასი შეასრულა.

წარმატებული დებიუტი ჰქონდა „დალასის" ახალ მფლობელს **ტომ გალიარდის**. მისმა „ვარსკვლავებმა" „ედმონტონი" დაამარცხეს (4:1) და შეწყვიტეს ხუთმატჩიანი წაგებათა სერია. „დალასის" ჰოკეისტებმა კარგი გუნდური თამაში აჩვენეს და ერთბაშად 11-მა ჰოკეისტმა მინიმუმ ერთი ქულით დატოვა ყინული. პრესტიჟის გოლი კი „ედმონტონის" მხრიდან **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსმა** გაიტანა - 18 წლის ფორვარდმა მერვე შაიბა ჩაიწერა აქტივში და ახლა 20 მატჩში 20 ქულა აქვს.

## კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველ ვარსკვლავად აღიარეს „მონრეალ კანადიენსის" მეკარე **კერი პრაისი**. ამ გოლკიპერმა სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ორში „შათაუტი" შეასრულა. ის საშუალოდ მატჩში 0,65 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.3 პროცენტს იგერიებდა.

მეორე ვარსკვლავი გახდა „სან ხოსეს" მცველი **მარკ-ედუარდ ვლასიჩი**. ის თავის გუნდს სამიდან სამ მოგებაში შვიდი ქულით (1+6) დაეხმარა. მესამე ვარსკვლავის სტატუსი კი „ფილადელფიას" ფორვარდ **მეტ რიდს** ერგო, რომელმაც სამ შეხვედრაში ოთხი გოლის გატანა შეძლო.

**კოლამბუსი–კალგარი 4:1**

**2:0: 1:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 ჯ. კარტერი-2 (პროსპალი-10, ნიკიტინი-4), 2:0 ვერმეტი-2 (დორსეტი-1, ტიუტინი-7), 3:0 ჯ. კარტერი-3 (პროსპალი-11, ვიშნიევსკი-7), 3:1 ჯორდანო-3 (ტანგეი-11, რ. ბურკი-1), 4:1 ნეში-5 (პროსპალი-12).

**ვაშინგტონი–ფინიქსი 4:3**

**0:1, 2:1, 2:1**

**გოლები:** 0:1 ვრბატა-9, 0:2 კორპიკოსკი-4 (ბულიტი), 1:2 ჯ. კარლსონი-3, 2:2 იკინი-2 (შულცი-5), 3:2 ბექსტრიომი-6 (ჯ. უორდი-4, ოვეჩკინი-8), 4:2 ლეიჩი-4 (ბექსტრიომი-16), 4:3 კორპიკოსკი-5 (რეი უიტნი-10, ბ. გორდონი-7).

**პიტსბურგი–აილენდერსი 5:0**

**2:0, 2:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 კროსბი-1 (დუპუი-11, ენგელანდი-4), 2:0 ორპიკი-2 (კროსბი-1, დუპუი-12), 3:0 მალკინი-6 (ლეტანგი-15, კროსბი-2), 4:0 სალივანი-2 (მალკინი-10, ჯ. ნილი-9), 5:0 კროსბი-2 (დუპუი-13, ზ. მიხალეკი-3).

**ფილადელფია–კაროლინა 2:4**

**0:2, 2:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 პონიკაროვსკი-4 (ლაროუზი-7, ი. იოკინენი-10), 0:2 სკინერი-9 (ტ. რუუტუ-3, ჰარისონი-7), 1:2 ვან რიმსდიკი-8, 1:3 ლაროუზი-6 (ტ. კაბერლე-5, პონიკაროვსკი-3), 2:3 რიდი-9 (power play) (ვან რიმსდიკი-8, ტიმონენი-12), 2:4 პონიკაროვსკი-5 (ლაროუზი-8, ი. იოკინენი-11).

**მონრეალი–ბოსტონი 0:1**

**0:1, 0:0, 0:0**

**გოლი:** 0:1 ფერენსი-2 (პევერლი-7, კ. კელი-7).

**ფლორიდა–ნიუ ჯერსი 4:3**

**0:3, 2:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 კოვალჩუკი-4 (ტალინდერი-2, ე. გრინი-7), 0:2 სიკორა-4 (ა. ლარსონი-4, გრინი-8), 0:3 ზუბრუსი-6 (ელიაში-11, ბროდო-2), 1:3 ვერსტიგი-10 (უეისი-12, კულიკოვი-14), 2:3 ვერსტიგი-11 (გარისონი-3), 3:3 უეისი-8 (გარისონი-4, ვივერი-8), 4:3 ფლიშმანი-9 (უეისი-13, ვერსტიგი-14).

**დალასი–ედმონტონი 4:1**

**1:0, 2:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 პეტერსენი-1 (უენდელი-1, ნისტრიომი-1), 2:0 ოტი-3 (რიბეირო-11, მოროუ-6), 2:1 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-8 (ებერლე-13, რ. სმიტი-9), 3:1 რაიდერი-7 (გროსმანი-1, ლ. ერიქსონი-10), 4:1 დვორაკი-1 (ფიდლერი-5).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი* | 21 | 12 | 6 | 3 | 27 |
| 2. ფლორიდა* | 20 | 11 | 6 | 3 | 25 |
| 3. ბოსტონი* | 19 | 12 | 7 | 0 | 24 |
| 4. ფილადელფია | 20 | 11 | 6 | 3 | 25 |
| 5. ბაფალო | 20 | 12 | 8 | 0 | 24 |
| 6. ტორონტო | 21 | 11 | 8 | 2 | 24 |
| 7. რეინჯერსი | 17 | 10 | 4 | 3 | 23 |
| 8. ვაშინგტონი | 19 | 11 | 7 | 1 | 23 |
| 9. ოტავა | 21 | 10 | 9 | 2 | 22 |
| 10. ნიუ ჯერსი | 19 | 10 | 8 | 1 | 21 |
| 11. მონრეალი | 21 | 9 | 9 | 3 | 21 |
| 12. ტამპა ბეი | 19 | 9 | 8 | 2 | 20 |
| 13. ვინიპეგი | 20 | 8 | 9 | 3 | 19 |
| 14. კაროლინა | 22 | 8 | 11 | 3 | 19 |
| 15. აილენდერსი | 18 | 5 | 10 | 3 | 13 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მინესოტა* | 20 | 12 | 5 | 3 | 27 |
| 2. ჩიკაგო* | 21 | 12 | 6 | 3 | 27 |
| 3. სან ხოსე* | 18 | 12 | 5 | 1 | 25 |
| 4. ნეშვილი | 19 | 10 | 5 | 4 | 24 |
| 5. დალასი | 20 | 12 | 8 | 0 | 24 |
| 6. დეტროიტი | 19 | 11 | 7 | 1 | 23 |
| 7. ფინიქსი | 19 | 10 | 6 | 3 | 23 |
| 8. ლოს ანჯელესი | 20 | 10 | 7 | 3 | [illegible] |
| 9. სტ. ლუისი | 19 | 10 | 7 | 2 | 22 |
| 10. ედმონტონი | 20 | 10 | 8 | 2 | 22 |
| 11. ვანკუვერი | 20 | 10 | 9 | 1 | 21 |
| 12. კოლორადო | 21 | 9 | 11 | 1 | 19 |
| 13. კალგარი | 19 | 8 | 10 | 1 | 17 |
| 14. ანაჰაიმი | 20 | 6 | 10 | 4 | 16 |
| 15. კოლამბუსი | 20 | 5 | 13 | 2 | 12 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 29 (16+13) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 26 (11+15) |
| კრის ვერსტიგი (ფლო) | 25 (11+14) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 25 (10+15) |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 24 (11+13) |
| დანიელ სედინი (ვან) | 24 (6+18) |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 23 (9+14) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 23 (9+14) |
| ჯეისონ პომინვილი (ბაფ) | 23 (8+15) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 16 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 12 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 12 |
| რაიან სმიტი (ედმ) | 11 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 11 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 11 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 11 |
| ტაილერ სეგუინი (ბოს) | 11 |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 11 |
| კრის ვერსტიგი (ფლო) | 11 |

**პასები**

| | |
|---|---|
| დანიელ სედინი (ვან) | 18 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 17 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 16 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 16 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 15 |
| კრის ლეტანგი (პიტ) | 15 |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 15 |
| ჯეისონ პომინვილი (ბაფ) | 15 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 15 |
| ტომაშ პლეკანეცი (მონ) | 15 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 15 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სიდნი კროსბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ATP-ის ტური

# ენდის სენსაცია და ნოლეს გადარჩენა

ლონდონში წლის შემაჯამებელი ტურნირი სენსაციით გაგრძელდა. A ჯგუფში მასპინძელმა **ენდი მიურეიმ დავიდ ფერერთან** ორ სეტში წააგო, **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** კი მატჩბოლი მოიგერია და **ტომაშ ბერდიხი** დაამარცხა.

მიურეისა და ფერერის მატჩი ორგანიზატორებმა ადგილობრივი დროით 14 საათზე დანიშნეს, მაგრამ O2-ის არენა მაინც სავსე იყო. ჩოგბურთელები მეცხრედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ამ მატჩამდე შედეგი ყოველთვის კორტის საფარზე იყო დამოკიდებული - ჰარდზე ხუთივე შეხვედრა ენდიმ მოიგო, გრუნტზე სამივე მატჩი - დავიდმა. ისინი ლონდონში შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს და ბრიტანელმა ძალიან დამაჯერებლად მოიგო - 6:2, 6:2.

რა თქმა უნდა, მიურეი ფავორიტი იყო, მაგრამ კორტზე გამოსვლისას გულშემატკივრებმა ენდის სახეზე შეშფოთება შეატყვეს. იმ მომენტში მხოლოდ ჩოგბურთელმა და მისმა გუნდმა იცოდნენ, რაშიც იყო საქმე. ბრიტანელმა ადრეული ბრეიკი გააკეთა, მაგრამ ამასთან, ცუდად გადაადგილდებოდა კორტზე და საერთოდ არ მისდიოდა პირველი მოწოდება. ფერერი კი თავის ჩოგბურთს თამაშობდა, საიმედოდ და სტაბილურად მოქმედებდა. როცა მიურეი საკუთარ თავზე იღებდა თამაშს, ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, ხოლო პასიური თამაშისას უკანა ხაზზე ფერერის ძლევა არ გამოსდიოდა. პირველი სეტის წაგების შემდეგ ენდიმ სამედიცინო შესვენება აიღო.

უნდა ითქვას, რომ ამ პაუზამ მას უშველა. ფერერმა მეორე პარტიის სტარტზე ოდნავ დაკარგა კონცენტრაცია, უხეში შეცდომით დათმო საკუთარი მოწოდება, მაგრამ მიურეიმ, ისევე როგორც პირველ სეტში, ახლაც ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა. სეტის მეორე ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა მილებაზე უფრო მეტი შანსი დავიდს ჰქონდა. მან საქმე ტაი-ბრეიკამდე არ მიიყვანა და პარტია 7:5 მოიგო. ბრიტანელმა 44 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც მისთვის უჩვეულო მაჩვენებელია.

მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი მიურეის სუსტი თამაშის მიზეზი: *„დავიდმა კარგი ჩოგბურთი აჩვენა და დამსახურებულად გაიმარჯვა. მე კი ბოლო ვარჯიშზე მიღებული საზარდულის ტრავმის გამო ვერ ვაჩვენე ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი. ამ მატჩში ტრავმა გავიმიზეზე და დარწმუნებული არ ვარ, რომ გავაგრძელებ აქ გამოსვლას. ეს რომ წლის შემაჯამებელი ტურნირი არ ყოფილიყო, სტარტამდე გამოვიტანდი განაცხადს“.*

თუ მიურეი ჩემპიონატს მიატოვებს, მას სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** შეცვლის.

■ ■ ■

დღის მეორე მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი და ტომაშ ბერდიხი. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ სერბი უფრო ძლიერია, მაგრამ ამ კონკრეტულ მომენტში მისი სპორტული ფორმის შესახებ არაფერი იყო ცნობილი, რადგან ამერიკის ღია პირველობის შემდეგ მას ტრავმები აწუხებდა. სტატისტიკურად, ბერდიხი სერბისთვის მოხერხებული მეტოქეა. ტომაშმა ერთადერთხელ შარშანდელ უიმბლდონზე მოიგო და მას შემდეგ ჯოკოვიჩმა ხუთჯერ აიღო რევანში.

თუმცა სეზონის ბოლოს ბერდიხმა კარგი ფორმა აკრიფა. მან შესანიშნავად დაიწყო შეხვედრა და 4:0 წაიყვანა ანგარიში. ჩეხი ყველაფერს სწრაფად აკეთებდა, არ ერიდებოდა რისკიან თამაშს, აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას, ნოვაკს კი ხშირად უწევდა ნახევრად შპაგატში ბურთების მოგერიება, რადგან ვერ ასწრებდა მეტოქის დარტყმებს. რალაც მომენტში ბერდიხს თავად შეეშინდა საკუთარი „თავხედობის“ და საკუთარი გეიმი წააგო. ჯოკოვიჩი არ შეუშინდა სოლიდურ ჩამორჩენას, მისთვის არადამახასიათებელ შეცდომებს უკლო და გრძელი დარტყმებით ბერდიხს შეტევის საშუალება მოუსპო. სერბს შეეძლო მინიმუმამდე შეემცირებინა სხვაობა, მაგრამ ტომაშმა კარგი მოწოდების წყალობით სამი ბრეიკ-პოინტი მოიგერია. წაგებული სეტის გადარჩენის მეორე შანსი ჯოკოვიჩმა მეცხრე გეიმში მიიღო. ბერდიხი 30:0 დაწინაურდა, მაგრამ ანერვიულდა და კინაღამ დაკარგა უპირატესობა, თუმცა მაინც მოიგო სეტი - 6:3.

მიუხედავად ამისა, ცხადი იყო, რომ მეორე სეტში ბერდიხს ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან ნოვაკი ბოლომდე ჩაერთო თამაშში. ასეც მოხდა. სერბმა მაშინვე წაიყვანა ანგარიში - 3:0 და სეტის ბოლომდე დამაჯერებლად შეინარჩუნა საკუთარ მოწოდება - 6:3.

პირველი პარტიის შემდეგ ბერდიხს მეტოქის მოწოდებაზე თითქმის არ ჰქონდა შანსი, მაგრამ მესამე სეტის მეექვსე გეიმში მოულოდნელად ყველაფერი გამოუვიდა და უმნიშვნელოვანესი ბრეიკი გააკეთა. მაგრამ მაშინვე ანერვიულდა, ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკუთარი გეიმი დათმო. და მაინც, ჩეხი ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან. 5:6-ზე და 30:30-ზე ჯოკოვიჩმა ორმაგი შეცდომა დაუშვა და ტომაშმა მატჩბოლი მიიღო. შემდეგ გათამაშებაში უკანა ხაზზე ხანგრძლივი ბრძოლა გაიმართა. არც ერთი არ მიდიოდა რისკზე, მაგრამ პირველმა ბერდიხმა ვერ მოითმინა და ბადეს გაარტყა ბურთი. შესაძლოა, იმ მომენტში ტომაშმა გაიფიქრა კიდეც, რომ საბოლოოდ გაუშვა საკუთარი შანსი. ყოველ შემთხვევაში, ტაი-ბრეიკზე მან თავიდანვე მისცა მეტოქეს ფორა - 5:1, თანაც თავისი შეცდომების ხარჯზე. ბერდიხის მიერ მილებისას დაშვებული შეცდომით დასრულდა ეს ლამაზი და დაძაბული მატჩი - 3:6, 6:3, 7:6(2).


ნოვაკ ჯოკოვიჩი

# ხორვატიას გორანი ჩაიბარებს?

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **გორან ივანიშევიჩმა**, შესაძლოა, დევისის თასზე ხორვატიის ნაკრების კაპიტნის ვაკანტური ადგილი დაიკავოს, - წერს საჩოგბურთო ვებგვერდი 10sballs.com. როგორც უკვე ვწერდით, გასულ კვირას ხორვატიის ქალთა და მამაკაცთა ნაკრებების კაპიტანმა **გორან პრპიჩმა** პოსტიდან გადადგომის შესახებ გამოაცხადა.

პრპიჩი ოთხი წელი ხელმძღვანელობდა დევისის თასზე მამაკაცთა ნაკრებს, აგრეთვე 2000 წლიდან ფედერაციის თასზე ქალთა გუნდს წვრთნიდა. ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციას სასწრაფოდ სურს ახალი კაპიტნის პოვნა, რათა გუნდი დევისის თასის 2012 წლის გათამაშების მერვედფინალისთვის მაქსიმალურად კარგად მოემზადოს. ამ ეტაპზე ხორვატიის ნაკრების მეტოქე იაპონია იქნება.

■ ■ ■

არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **ტიტო ვასკესმა** თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა დევისის თასის ფინალური მატჩისთვის, რომელიც 2-4 დეკემბერს ესპანეთის ქალაქ სევილიაში გაიმართება.

შემადგენლობა შემდეგმა ჩოგბურთელებმა დააკომპლექტეს: მსოფლიოს მე-11 ჩოგანმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**, **ხუან მონაკომ** (26), **ხუან-იგნასიო ჩელამ** (29) და **დავიდ ნალბანდიანმა** (64).

ასე რომ, ნაკრების მიღმა აღმოჩნდა მსოფლიოს 143-ე ნომერი **ედუარდო შვანკი**. მას სარეზერვო წევრის სტატუსი ექნება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

### 23 ნოემბერი. ოთხშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ბაიერნი-დორტმუნდი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ინტერი-კალიარი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტური. ნიცა-სენტ ეტიენი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტური. მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XIII ტური. სევილია-ბილბაო.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მონპელიე-მარსელი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.
**14:40** სუპერკოლაჟი,
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერაკლესი-ტვენტე.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური. კასტრი-მანსტერი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** სუპერკოლაჟი.
**20:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ჟალგირისი (LIVE).
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**22:30** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ლონდონი. ინგლისი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბრესტი-სოშო.
**14:45** სპორტული ტანვარჯიში. კაცები. გუნდური. შტუტგარტი. გერმანია.
**17:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ენდი მიურეი-ტომაშ ბერდიხი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბამბერგი-პანათინაიკოსი.
**22:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-დავიდ ფერერი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

#### I არხი

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. არსენალი-დორტმუნდი (LIVE).

#### რუსთავი 2

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მილანი-ბარსელონა (LIVE).
**03:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

**20:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზენიტი-აპოელ (LIVE).
**23:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. არსენალი-დორტმუნდი (LIVE).

#### HTB-პლუსი (სპორტი)

**19:45** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ცსკა-ჟალგირისი (LIVE).
**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მილანი-ბარსელონა (LIVE).

#### HTB-პლუსი (ონლაინი)

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE-ტრანსლიაცია. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლევერკუზენი-ჩელსი (LIVE).

#### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ენდი მიურეი-ტომაშ ბერდიხი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-დავიდ ფერერი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

#### HTB-პლუსი (კალათბურთი)

**16:55** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ქალები. უგმკ-სეატი (LIVE).
**20:55** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ოლიმპიაკოსი-ბილბაო (LIVE).
**23:40** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მონტეპასკი-უნიქსი (LIVE).

#### SPORT+

**16:55** კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. უგმკ-სეატი (LIVE).
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზენიტი-აპოელ (LIVE).
**23:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შახტარი-პორტუ (LIVE).

#### EUROSPORT

**20:00** ფეხბურთი. ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი. აზია. კატარი-ს. კორეა (LIVE).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ვილიარეალი | 3:1 |
| ნაპოლი-მანჩესტერ სიტი | 2:1 |
| ცსკა-ლილი | 0:2 |
| ტრაბზონი-ინტერი | 1:1 |
| მანჩესტერ იუნ-ბენფიკა | 2:2 |
| ოცელული-ბაზელი | 2:3 |
| ლიონი-აიაქსი | 0:0 |
| რეალი-დინამო (ზ) | 6:2 |

#### ინგლისი

##### ჩემპიონშიპი

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-ბარნლი | 2:1 |
| ქოვენთრი-კარდიფი | 1:1 |

#### ინგლისის თასი

| | |
|---|---|
| სტოუბრიჯი-პლიმუტი | 2:0 |
| ალდერშოტი-მეიდენჰედი | 2:0 |
| ჯილინგემი-ბორნმუთი | 3:2 |
| გრიმსბი-პორტ ვეილი | 1:0 |
| ოქსფორდი-რედბრიჯი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| სკანთორპი-უიმბლდონი | 0:1 |
| საუთენდი-პრესტონი | 1:0 |
| ტამუორტი-ჰინკლი | 1:0 |
| რექსჰემი-კემბრიჯი | 2:1 |

#### გერმანია

##### რეგიონალლიგა (სამ)

| | |
|---|---|
| ფიურტი A-მემინგენი | 1:0 |

#### საფრანგეთი

##### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| არლი-გინგამი | 1:2 |

#### შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| მონროუზი-ეირი | 1:2 |

#### საბერძნეთის თასი

| | |
|---|---|
| პრუდეფტიკი-ანაგენისი (ი) | 1:0 |
| ოიკონომოსი-პანსერაიკ. | 1:1 პენ. 5:6 |
| კალამარია-ანაგენისი (ე) | 1:2 |

#### ხორვატიის თასი

| | |
|---|---|
| სიბალია-ვინოგრადარი | 2:1 |

#### მაკედონია

| | |
|---|---|
| სილექსი-ტეტექსი | 4:0 |
| ოჰრიდი-ბრეგალნიცა | 0:0 |
| რენოვა-ვარდარი | 0:0 |

#### ეკვადორი

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-ლიგა დე კიტო | 2:0 |

### კალათბურთი

#### ევროთასი

| | |
|---|---|
| ხიმკი-ვეფ რიგა | 90:70 |
| ლოკომოტივი-ბანვითი | 75:67 |
| ლუკოილი-ვილერბანი | 66:62 |
| ნიმბურკი-გრონინგენი | 93:60 |
| რუდუპისი-არისი | 60:71 |
| ჰაპოელი (ი)-ციბონა | 89:73 |
| ლეტუვოს რიტასი-აზოვმაში | 83:55 |
| ცედევიტა-ბაიერნი | 70:64 |
| პაოკ-შოლე | 74:62 |
| ტუროვი-მონსი | 67:66 |
| სკაილაინერსი-გრან კანარია | 58:71 |
| ალბა-ბუდუჩნოსტი | 86:68 |
| გრაველინი-დონეცკი | 78:53 |
| ვალენსია-ოსტენდე | 75:62 |
| ლე მანი-კრკა | 65:84 |
| ბენეტონი-სპარტაკი | 78:87 |

#### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| ენისეი-კლუჟი | 73:81 |
| ტრიუმფი-ოლინი | 70:61 |
| მინსკი-ტურკ ტელეკომი | 74:93 |
| ატომერომუ-ხიმიკი | 73:76 |
| ვენტსპილსი-ნ. ნოვგოროდი | 77:75 |
| ნიტრა-ფუენლაბრადა | 75:86 |
| პროსტეიოვი-როანი | 85:87 |
| ჟოლნოკი-კერაუნოსი | 81:93 |
| ენკომი-აალსტი | 61:80 |
| ბეშიქთაში-გოტინგენი | 105:94 |
| ნორჩოპინგი-ოლდენბურგი | 73:95 |
| პინარი-ბონი | 66:65 |
| არტლანდი-პო ორტეზი | 87:81 |
| შალონი-ანტვერპენი | 65:90 |

### ფრენბურთი

#### მსოფლიოს თასი

##### კაცები

| | |
|---|---|
| ჩინეთი-ეგვიპტე | 0:3 |
| ირანი-სერბეთი | 3:2 |
| პოლონეთი-არგენტინა | 3:1 |
| იტალია-ბრაზილია | 3:2 |
| იაპონია-კუბა | 0:3 |
| აშშ-რუსეთი | 0:3 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ამური | 1:2 |
| ბარისი-დინამო (მნ) | 2:6 |
| სკა-ლევ პოპრადი | 5:2 |
| ატლანტი-ვიტიაზი | 3:2 |
| სპარტაკი-სევერსტალი | 3:5 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-ზაგრები | 0:5 |
| ალბა-ლინცერი | 3:4 |
| გრაცი-ვენა | 2:3 (ო) |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 0:1 |
| ოლიმპია-ზნოიმო | 5:2 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| კიოლნი-დიუსელდორფი | 3:4 (ბ) |

#### დანია

| | |
|---|---|
| ჰერნინგი-ოლბორგი | 2:1 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 5:3 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| მარტინი-სლოვანი | 3:2 |
| პოპრადი-კოშიცე | 7:3 |
| სკალიცა-ზვოლენი | 4:1 |
| ტრენჩინი-ნიტრა | 6:3 |
| ბისტრიცა-ჟილინა | 2:1 (ბ) |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-კერპეტი | 4:1 |
| იოკერიტი-ტაპარა | 6:1 |
| ლუკო-ბლუზი | 3:1 |
| პელიკანსი-ესეტი | 2:3 |
| საიპა-ჰიფკ | 0:1 |
| ტპს-კალპა | 0:5 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 3:0 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ლუგანო-ცუგი | 5:2 |
| ციურიხი-დავოსი | 1:3 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ფრიოლუნდა-იურგორდენი | 4:3 (ბ) |

### ჩოგბურთი

#### ATP. ლონდონი

| | |
|---|---|
| ცონგა-ფიში | 7:6, 6:1 |
| ფედერერი-ნადალი | 6:3, 6:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# კლიჩკოები მიუზიკლს იღებენ

პროფესიულ კრივში სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონები, უკრაინელი ძმები **ვიტალი** და **ვლადიმერ კლიჩკოები** შოუბიზნესში ცდიან ბედს. ისინი თანაპროდიუსერები არიან მიუზიკლისა, რომელსაც **როკი ბალბოაზე** შექმნილი ფილმების მოტივებზე გადაიღებენ.

„როკის" ექვსივე ფილმში მთავარ როლს ჰოლივუდის ვარსკვლავი **სილვესტერ სტალონე** ასრულებდა. ისიც კლიჩკოებთან ერთად მიუზიკლის პროდიუსერი გახლავთ. „როკის" მუსიკალური ვერსიის პრეზენტაცია გუშინ გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გაიმართა. პრემიერა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში მომავალ წელს არის დაგეგმილი.

მოკრივე როკი ბალბოაზე ექვსი ფილმი 1976-2006 წლების პერიოდში შეიქმნა, თუმცა მიუზიკლს საფუძვლად უდევს სერიალის პირველი ნაწილი, რომელმაც, თავის დროზე სამი „ოსკარი" და ერთი „ოქროს გლობუსი" მოიპოვა. არაოფიციალური მონაცემებით, მიუზიკლის ბიუჯეტი 15 მილიონი დოლარია.

ძმები კლიჩკოები და სტალონე დიდი ხანია მეგობრობენ. ჰოლივუდელი მსახიობი და პროდიუსერი იმედოვნებს, რომ მიუზიკლი „როკი" კომერციულად ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც იყო წელს ეკრანებზე გამოსული ფილმი ძმებ კლიჩკოების შესახებ.



პროდიუსერები

კალათბურთი

# ლებრონი ტურნეში მიდის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავები - **ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი, კრის პოლი** და **კარმელო ენტონი** ამერიკული ტურნეს გამართვას აპირებენ. დაგეგმილია 4 მატჩის ჩატარება აკრონში, ნიუ ორლეანში, ჩიკაგოსა და ისტ-რუზერფორდში. შეხვედრები 1, 4, 7 და 10 დეკემბერს გაიმართება.

ამ ღონისძიებიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

*„ძალიან ვამაყობ იმ სამუშაოთი, რომელსაც აკრონში ვასრულებთ. კარგად ვიცი, რას ნიშნავს ბევრი კალათბურთელისთვის ეს საქველმოქმედო ტურნე"*, - განაცხადა იდეის ერთ-ერთმა ავტორმა ლებრონ ჯეიმსმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ლებრონი, კარმელო და უეიდი

კალათბურთი


უილიამსი თურქეთში

# დერონი ბეშიქთაშში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი **დერონ უილიამსი** ლოკაუტის პერიოდში სტამბოლის „ბეშიქთაშში" თამაშობს. NBA-ის ვარსკვლავი საკუთარი ვებგვერდის (www.deronwilliams.com) მეშვეობით გვიყვება თურქული ცხოვრების შთაბეჭდილებებს...

სტამბოლში ცხოვრებითა და „ბეშიქთაშში" თამაშით დიდ სიამოვნებას ვიღებ. სანამ ამ გუნდში გადავიდოდი, ბევრი სხვა წინადადება განვიხილეთ, მაგრამ კლუბებს, ძირითადად, ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურდათ, ეს კი არ იყო ჩემი ვარიანტი: მე ლოკაუტის დასრულებისთანავე ასოციაციაში დაბრუნებას ვაპირებ.

თურქეთში გადასვლა მხოლოდ კალათბურთის გამო არ მინდოდა. მაინტერესებდა ახალი გამოცდილება, ახალი ქვეყანა, სხვა ქალაქში ცხოვრება... ბევრი კარგი მქონდა გაგებული სტამბოლზე და ეს იყო ქალაქი, რომელშიც საკუთარი თავი წარმომედგინა.

აქ თითქმის სამი თვეა ვცხოვრობ და ნელ-ნელა თურქულ ენას ვსწავლობ. უკვე ბევრი სიტყვა ვიცი: Ne haber - What's up? Merhaba Nasilsiniz - Hi, how are you?.. ჯერ წერა არ მიცდია. თავდაპირველად ლაპარაკი უნდა ვისწავლო, რაც, თავისთავად, უკვე სერიოზული გამოწვევაა.

■ ■ ■

რაც შეეხება უშუალოდ კალათბურთს, შესანიშნავად ვთამაშობთ. უკვე ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოვიგეთ და ამის გამო ჩემი პარტნიორები უნდა შევაქო. მათ მართლაც შესანიშნავად ჩაატარეს ეს შეხვედრები, რითაც ძალიან გამიადვილეს საქმე.

აქ ჩამოსვლისას ბევრი ამბობდა, რომ აღფრთოვანებულია ჩემს გვერდით თამაშის პერსპექტივით. ეს მართლაც ლირებული იყო ჩემთვის, რადგან ამ სიტყვებს პროფესიონალი კალათბურთელები ამბობდნენ. მათ იცოდნენ ჩემი თამაშის შესახებ და პატივს სცემდნენ ჩემს პროფესიონალიზმს.

ჩვენთან შესანიშნავი ბიჭების მთელი ჯგუფია და ისინი ადაპტაციაში მეხმარებოდნენ. თურქეთში გუნდის წევრობა სულ სხვა ცნებაა. როცა გასვლით მატჩებზე მივდივართ, მუდმივად ერთად ვართ, განსაკუთრებით სადილის დროს. NBA-ში სხვა ქალაქში ჩასვლისას საკუთარ თავს ეკუთვნი და აკეთებ იმას, რაც გსურს. აქ კი საერთო საუზმე, სადილი და ვახშამია - ყველაფერს გუნდურად ვაკეთებთ. ეს შესანიშნავია,.რადგან კალათბურთელები უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. არ მგონია, რომ NBA-ში ასეთი რამ შესაძლებელი იყოს.

ხშირი მიმოწერა და სატელეფონო საუბრები მაქვს **მეჰმეთ ოქურთან** (ამჟამად „თურქ ტელეკომში" თამაშობს). მასთან ერთად „იუტაში" ექვსი წელი ვთამაშობდი. სანამ აქ ჩამოვიდოდი, ძალიან ბევრს მიყვებოდა სტამბოლის შესახებ. ყოველთვის უნდოდა, რომ მასთან სტუმრად ჩავსულიყავი. მეუბნებოდა, რომ ეს შესანიშნავი ქალაქია, მაგრამ დაავიწყდა ჩემი გაფრთხილება, რომ თავიდან ყველაფერი უცხო იქნებოდა და ადაპტაცია დამჭირდებოდა.

■ ■ ■

NBA-სთან შედარებით აქ საშინაო მატჩებზე სულ სხვა ატმოსფეროა. სასტარტო მოთამაშეების წარდგენისთვის მატჩის წინ არ იმართება სპეციალური შოუ კვამლისა და პიროტექნიკის გამოყენებით. ყველა მოთამაშეს მაისურზე ნომრების მიხედვით აცხადებენ. იწყებენ პატარებით და ამთავრებენ დიდი ნომრებით. აცხადებენ ყველას - არა მხოლოდ სასტარტოებს, არამედ სათადარიგოებსაც.

სხვანაირად არის ყველაფერი უშუალოდ მატჩის დროსაც. აქაური ფანები - ფეხბურთის გულშემატკივრებივით არიან, სასტარტო სადავო გდებიდან საფინალო სირენამდე ხმაურობენ. სკანდირებენ ფრაზებს, მღერიან და თითქმის მთელი მატჩი ფეხზე დგანან, რაც ძალიან განსხვავდება NBA-სგან, სადაც ფანები ძირითადად სხედან და გუნდის გასამხნევებლად მხოლოდ მაშინ დგებიან, როცა თამაშში რაღაც განსაკუთრებული ხდება. გარდა ამისა, აქ არ არიან ჩირლიდერები და არ წყობენ შოუს ტაიმ-აუტებისა და შესვენებების დროს. მხოლოდ კალათბურთი.

ეს ყველაფერი ამაღელვებელ ატმოსფეროს ქმნის. ვერ ვიტყვი, რომ ჩემ გამო დამატებითი ინტერესი გაჩნდა. შარშან აქ არ ვყოფილვარ, მაგრამ დასწრება იგივე იყო. ჩვენს თამაშებზე ბევრი ხალხი დადის, მაგრამ ანშლაგი ჯერ არ ყოფილა. ჩემი აზრით, საშუალოდ დარბაზში 2500 კაცი იკრიბება, არენა კი 3200 მაყურებელს იტევს.

■ ■ ■

უსაფრთხოების პრობლემა აქ გაცილებით მწვავეა, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. პატარა მოედნებზე, სადაც ძირითადად გვიწევს თამაში, არც ისე ბევრი გასასვლელია და ფანებს მარტივად შეუძლიათ კალათბურთელებთან „ურთიერთობა" იმ დროს, როცა NBA-ში მატჩის დასრულებისთანავე ტრიბუნების ქვეშ ვიყავით.

გასახდელიდან მაშინვე ავტობუსში მივდივართ და ყველგან პოლიციაა. მე მყავს მძღოლი და პირადი დაცვა, ხოლო გუნდს გასვლით მატჩებში სპეციალური დაცვის ესკორტი მიჰყვება. ამასთან, არასოდეს დავფრინავთ. სულ ავტობუსში ვართ.

„ქარსიაქასთან" შეხვედრაში 15 პოლიციელი ჩვენი გასახდელის წინ იჯდა. ადგილობრივი არენა ერთ-ერთი ყველაზე რთულია სტუმარი გუნდისთვის. მისი გულშემატკივრები მთელი მატჩის განმავლობაში პრაქტიკულად ყურში ჩაგყვირიან. ვერ გეტყვით, რომ ეს ცუდია, ხოლო აქაური გულშემატკივრები სავსებით ნორმალურები არიან.

■ ■ ■

ჩვენი საცხოვრებელი ბინის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ მეზობლად სავაჭრო ცენტრი გვაქვს. იქ არის Best Buy-ს („საუკეთესო ფასები") ტიპის მაღაზიები, პროდუქტის დახლები, ბაზარი... იქვეა დიზაინერთა მაღაზიები - Quiksilver-დან დაწყებული, „ლუი ვიტონითა" და „გუჩით" დამთავრებული. იქ ხშირად დავდივართ, რადგან ყველაფერია, რაც გვჭირდება.

ხალხი მუდმივად მეკითხება - როგორ ვიკვებები. მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყანაში ვარ, ჩემი დიეტა არ შეცვლილა. შემიძლია ბაზარში იგივე პროდუქტები შევიძინო - თევზი, ქათამი, ბოსტნეული. მათ ისევე ვამზადებ, როგორც ამას შინ ვაკეთებდი. მხოლოდ ერთხელ, რომელიღაც გასვლით შეხვედრაში ვჭამე „ფასტფუდში".

ჯერჯერობით ჩემი საყვარელი თურქული კერძია - kebap (ავტორის ორთოგრაფია). ეს ის არის, რასაც ამერიკაში kebab-ს (ავტორის ორთოგრაფია) ვეძახით. კიდევ არის იოგურტის მსგავსი სოუსი, რომელშიც ათასნაირ კერძს აწყობენ. ეს დაახლოებით იმ სოუსის მსგავსია, რომელსაც gyros-ზე (შაურმის ამერიკული ანალოგი) უსვამენ.

კერძების უმრავლესობა, რომელიც აქ გავსინჯე, მომეწონა. ძალიან კარგია თურქული პიცები. მაგრამ ბევრი კერძის სახელწოდება დღემდე არ ვიცი, ზოგიერთის წარმოთქმა ძალიან რთულია. აქ ჩამოსვლამდე თურქულ სამზარეულოს არ ვიცნობდი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ის ბერძნულ კერძებს მომაგონებს. ბერძნული სამზარეულო კი მიყვარს, ასე რომ, ყველაფერი ლოგიკურია.

ამასთან დაკავშირებით ერთი სახალისო ისტორია გამახსენდა. თურქული კერძები მოგვწყინდა და გადავწყვიტეთ ბავშვები რესტორანში წაგვეყვანა და ნამდვილი ამერიკული კერძებით დაგვენაყრებინა. მივედით ადგილობრივ T.G.I. Friday's-ში. მენიუ ზუსტად იგივე იყო, როგორიც აშშ-ში, მაგრამ კერძებს სულ სხვა გემო ჰქონდა. ჯეკ დენიელსის სოუსი შევუკვეთე და მხოლოდ მეოთხე ცდაზე მომიტანეს ის, რასაც ვითხოვდი, თუმცა მასაც არ ჰქონდა ჩემთვის ნაცნობი სოუსის გემო. ამიტომაც ცოტათი განაწყენებული დავრჩი. თუმცა ამან შეგვახსენა, რომ შინ არ ვიყავით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

